ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0130—1624

# ლიტერატურული საქართველო

აპრილი
№ 4 1985 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი
მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი

# საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1985 წლის 11 მარტს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს გარდაცვალებასთან დაკავშირებით პლენუმის მონაწილეებმა წუთიერი სამგლოვიარო დუმილით სცეს პატივი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ხსოვნას.

პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა დიდი დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, თანამიმდევრული მებრძოლი კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისა და ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ მთელი თავისი სიცოცხლე შეალია ლენინური პარტიის საქმეს, საბჭოთა ხალხის ინტერესებს. სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას, იგი უველგან მისთვის ჩვეული თავდადებით იბრძოდა სკკპ პოლიტიკის განხორციელებისათვის.

დიდ ყურადღებას უთმობდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო იმ კურსის თანამიმდევრულ გატარებას, რომლის მიზანია განვითარებული სოციალიზმის სრულყოფა, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლება, მასების შემოქმედებითი აქტიურობის შემდგომი გაზრდა, იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესება, დისციპლინის, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცება.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ დიდი წვლილი შემატა ძმაძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განხორციელებას, სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციების განმტკიცებას. მისი ხელმძღვანელობით მტკიცედ და თანამიმდევრულად ხორციელდებოდა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, საკადრისი პასუხი ეძლეოდა იმპერიალიზმის აგრესიულ ზრახვებს, წარმოებდა დაუღალავი ბრძოლა იმპერიალიზმის მიერ თავსმოხვეული გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, ხალხთა საიმედო უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

თვალისჩინივით უფრთხილდებოდა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო ჩვენი კომუნისტური პარტიის ერთიანობას, ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს საქმიანობის კოლექტიურ ხასიათს. იგი მუდამ ისწრაფოდა, რომ პარტიას ყველა დონეზე ემოქმედა როგორც შეკრულ, აწყობილ და მებრძოლ ორგანიზმს. მას კომუნისტთა აზრებისა და საქმეების ერთიანობა მიაჩნდა ყველა ჩვენი წარმატების, ნაკლოვანებათა დაძლევის საწინდრად, განუხრელი წინსვლა-განვითარების საწინდრად.

პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ ამ გლოვის დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს გარშემო, საბჭოთა ადამიანები სრულიად საფუძვლიანად რაცხენ პარტიას საზოგადოების ხელმძღვანელ, წარმმართველ ძალად და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, თავდადებით იბრძოლონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის რეალიზაციისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა სამძიმარი გამოუცხადეს განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლობელ-ნათესავებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

პოლიტბიუროს დავალებით ამ საკითხზე სიტყვა წარმოთქვა პოლიტბიუროს წევრმა ამხ. ა. ა. გრომიკომ. მან შეიტანა წინადადება აირჩიონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ამხ. მ. ს. გორბაჩოვი.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთსულოვნად აირჩია ამხ. მ. ს. გორბაჩოვი.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. მ. ს. გორბაჩოვი. მან უღრმესი მადლობა მოახსენა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს დიდი ნდობისათვის და აღნიშნა, რომ ძალზე კარგად ესმის, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ამასთან დაკავშირებით.

ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა ერთგულად ემსახუროს ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს, დიად ლენინურ საქმეს, რათა განუხრელად ხორციელდებოდეს სკკპ საპროგრამო მითითებები, უზრუნველყოფილ იქნეს მემკვიდრეობითობა სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მშვიდობის დამკვიდრების ამოცანების გადაწყვეტაში, რათა განუხრელად ხორციელდებოდეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

# მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი დაიბადა 1931 წლის 2 მარტს სტავროპოლის მხარის კრასნოგვარდეისკის რაიონის სოფელ პრივოლნოეში, გლეხის ოჯახში.

მალე 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის შემდეგ 15 წლისამ დაიწყო შრომითი საქმიანობა. მუშაობდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორად. 1952 წელს შევიდა სკკპ რიგებში. 1955 წელს დაამთავრა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (იურიდიული ფაკულტეტი), ხოლო 1967 წელს — სტავროპოლის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და მიიღო სწავლული აგრონომ-ეკონომისტის სპეციალობა.

1955 წლიდან მ. ს. გორბაჩოვი კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზეა. მუშაობს სტავროპოლის მხარეში: ალკაჰ სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, კომკავშირის სამხარეო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ, ხოლო შემდეგ — მეორე და პირველ მდივნად.

1962 წლის მარტში მ. ს. გორბაჩოვი დააწინაურეს სტავროპოლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ-საწარმოო სამმართველოს პარტორგად, ხოლო ამავე წლის დეკემბერში დაამტკიცეს სკკპ სამხარეო კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგედ.

1966 წლის სექტემბერში იგი აირჩიეს პარტიის სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1968 წლის აგვისტოდან მ. ს. გორბაჩოვი მუშაობს სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის მეორე მდივნად, ხოლო 1970 წლის აპრილში აირჩიეს პირველ მდივნად.

მ. ს. გორბაჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრია 1971 წლიდან. იყო პარტიის XXII, XXIV, XXV და XXVI ყრილობების დელეგატი. 1978 წელს აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად, 1979 წელს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად. 1980 წლის ოქტომბერში მ. ს. გორბაჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან გადაყვანილ იქნა პოლიტბიუროს წევრად.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

არის სსრ კავშირის მე-8-11 მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, რუსეთის სფსრ მე-10-11 მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეა. ყველა პოსტზე, რომლებიც მისთვის პარტიას მიუნდვია, შრომობს მისთვის ჩვეული ინიციატივით, ენერგიითა და თავდადებით, თავის ცოდნას, დიდ გამოცდილებასა და ორგანიზატორულ ნიჭს ახმარს პარტიის პოლიტიკის განხორციელებას, უანგაროდ ემსახურება ლენინის დიად საქმეს, მშრომელი ხალხის ინტერესებს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე გაწეული ღვაწლისათვის მ. ს. გორბაჩოვი დაჯილდოებულია სამი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 11 მარტის პლენუმზე

ძვირფასო ამხანაგებო!

ყოველ ჩვენგანს, მთელ ჩვენს პარტიას და ქვეყანას დიდი გლოვის ჟამი დაუდგათ. გარდაიცვალა ერთგული ლენინელი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, ფაქიზი სულის, დიდი ორგანიზატორული ნიჭის მქონე ადამიანი — კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო.

დიდი და სახელოვანი გზა განვლო კონსტანტინე უსტინის ძემ, ყოველ უბანზე, რომელიც მისთვის პარტიას მიუნდვია, სულ უფრო სრულად ვლინდებოდა მისი ნიჭი, ადამიანებთან მუშაობის უნარი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე ყოფნისას კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო მთელ თავის ძალასა და ცოდნას ახმარდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის ზრდას, სამშობლოს უშიშროების უზრუნველყოფას, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებასა და დამკვიდრებას.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ჩვენი კომუნისტური პარტიის ერთიანობას, ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს საქმიანობის კოლექტიურ ხასიათს. იგი მუდამ ისწრაფვოდა, რომ პარტიას ყველა დონეზე ემოქმედა როგორც შეკრულ, აწყობილ და მებრძოლ ორგანიზმს. კომუნისტთა აზრებისა და საქმეების ერთიანობას რაცხდა იგი ყველა წარმატების, ნაკლოვანებათა დაძლევის საწინდრად, შემდგომი წინსვლა-განვითარების საწინდრად.

სტრატეგიული გეზი, რომელიც XXVI ყრილობაზე, ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმებზე შევიმუშავეთ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვისა და კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს აქტიური მონაწილეობით, კვლავაც უცვლელი დარჩება. ამ გეზის მიზანია დავაჩქაროთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, სრულვყოთ საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარე. საქმე ეხება წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდაქმნას. საქმე ეხება საზოგადოებრივი ურთიერთობის, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური ურთიერთობის სისტემის სრულყოფას. საქმე ეხება თვით ადამიანის განვითარებასაც, მისი ცხოვრებისა და შრომის მატერიალური პირობების, მისი სულიერი სახის თვისებრივ გაუმჯობესებას.

ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ გადამწყვეტი შემობრუნება სახალხო მეურნეობის გადაყვანაში ინტენსიური განვითარების რელსებზე. ჩვენ მოკლე ვადაში უნდა მივაღწიოთ, მოვალენი ვართ მივაღწიოთ ყველაზე მოწინავე მეცნიერულ-ტექნიკურ პოზიციებს, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების უმაღლეს მსოფლიო დონეს.

იმისათვის, რომ უფრო წარმატებით და სწრაფად გადავწყვიტოთ ეს ამოცანა, ჩვენ გვმართებს კვლავაც შეუპოვრად სრულვყოთ სამეურნეო მექანიზმი და მართვის მთელი სისტემა. ამ გზით წინსვლისას, ოპტიმალურ გადაწყვეტათა შერჩევის დროს ჩვენ შემოქმედებითად უნდა გამოვიყენოთ სოციალისტური მეურნეობრიობის ფუძემდებელი პრინციპები. ეს კი ნიშნავს — განუხრელად ვახორციელებდეთ ეკონომიკის გეგმიან განვითარებას, განვამტკიცებდეთ სოციალისტურ საკუთრებას, ვაფართოებდეთ საწარმოთა უფლებებს, ვამაღლებდეთ მათს დამოუკიდებლობას და პასუხისმგებლობას, ვაძლიერებდეთ მათს დაინტერესებას მუშაობის საბოლოო შედეგებით. ეს ნიშნავს დავუქვემდებაროთ მთელი ეკონომიკური განვითარება, საბოლოო ანგარიშით, საბჭოთა ადამიანის ინტერესებს.

პარტია განუხრელად განახორციელებს სოციალურ პოლიტიკას, რომელიც მან შეიმუშავა. ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის — ამ საპროგრამო დებულებას სულ უფრო ღრმა და კონკრეტული შინაარსი უნდა ენიჭებოდეს. გასაგებია, რომ ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება უნდა ეფუძნებოდეს საერთო საქმეში მისი წვლილის ზრდას. იქ, სადაც ამ პრინციპის გადახვევებს ურიგდებიან, გარდაუვალად ირღვევა სოციალური სამართლიანობა, რომელიც სოციალისტური საზოგადოების ერთიანობისა და სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

პარტიას საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირეულ ამოცანად მიაჩნია დემოკრატიის, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის მთელი სისტემის შემდგომი სრულყოფა და განვითარება. ამოცანები აქ მრავალმხრივია. ამ თვალსაზრისით ბევრი რამ კეთდება. მხედველობაში მაქვს საბჭოების როლის შემდგომი გაზრდა, პროფკავშირების, კომკავშირის, სახალხო კონტროლის, შრომითი კოლექტივების გააქტიურება, მაგრამ კიდევ მოგველის დაჟინებით მუშაობა, როგორც დასახული, ისე ახალი მიმართულებებით.

სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავება განუყრელად არის დაკავშირებული საზოგადოებრივი შეგნების ამაღლებასთან. აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის მანიშნებელია ის, თუ როგორ მონაწილეობენ მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია დიდი თუ მცირე პრობლემების გადაჭრაში, როგორ ირჯებიან, როგორ იბრძვიან ნაკლოვანებათა წინააღმდეგ. საბჭოთა ადამიანების შრომითი და სოციალური აქტიურობის გაზრდა, დისციპლინის განმტკიცება, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გამომუშავება — აი, რა არის მთელი იდეოლოგიური საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი ამოცანა.

ამასთან უწინდებურად განხორციელდება გადამწყვეტი ღონისძიებები, რათა კვლავაც დამყარდეს წესრიგი, გაიწმინდოს ჩვენი ცხოვრება უცხო მოვლენებისაგან, საზოგადოებისა და მის მოქალაქეთა ინტერესების ყოველგვარი ხელყოფისაგან, განმტკიცდეს სოციალისტური კანონიერება. ამ საქმეში საბჭოთა სახელმწიფო მტკიცე და თანამიმდევრული უნდა იყოს.

მოვალენი ვართ, კვლავაც გავაფართოოთ საჯაროობა პარტიული, საბჭოთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში. ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ სახელმწიფო ძლიერია მასების შეგნებით. ჩვენმა პრაქტიკამ მთლიანად დაადასტურა ეს დასკვნა. რაც უფრო უკეთ არიან ინფორმირებული ადამიანები, მით უფრო შეგნებულად მოქმედებენ ისინი, მით უფრო აქტიურად უჭერენ მხარს პარტიას, მის გეგმებსა და საპროგრამო მიზნებს.

საგარეო პოლიტიკის დარგში ჩვენი კურსი ნათელი და თანამიმდევრულია. ეს არის მშვიდობისა და პროგრესის კურსი.

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს პირველი მცნებაა ვუფრთხილდებოდეთ და ყოველი ღონისძიებით განვამტკიცებდეთ ძმურ მეგობრობას ჩვენს უახლოეს თანამოსაგრეებთან და მოკავშირეებთან —

დიადი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა გავაფართოოთ თანამოქმედება სოციალისტურ სახელმწიფოებთან, გავზარდოთ სოციალიზმის როლი და გავლენა მსოფლიო საქმეებში. ვისურვებდით, სერიოზულად გაუმჯობესებულიყოს ურთიერთობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, და მიგვაჩნია, რომ ნაცვალგების პირობებში ეს სავსებით შესაძლებელია.

საბჭოთა კავშირი უჭერდა მხარს ხალხთა ბრძოლას კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, და დღესაც ჩვენი სიმპათიები აზია-აფრიკისა და ლათინური ამერიკის იმ ქვეყნების მხარეზეა, რომლებიც თავიანთი დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური განახლების გზას ადგანან. მათ მეგობრებად და პარტნიორებად მივიჩნევთ მტკიცე მშვიდობის, ხალხთა შორის უკეთესი, სამართლიანი ურთიერთობისათვის ბრძოლაში.

რაც შეეხება კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობას, მინდა ვთქვა შემდეგი. ჩვენ მტკიცედ განვაგრძობთ მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ კურსს. კეთილ ნებას საბჭოთა კავშირი მუდამ უპასუხებს კეთილი ნებით, ნდობას — ნდობით. მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენი სამშობლოსა და მისი მოკავშირეების ინტერესებს არასდროს არ დავთმობთ.

ჩვენ ვაფასებთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების წარმატებებს, რომლებიც 70-იან წლებშია მიღწეული, და მზად ვართ, ვმონაწილეობდეთ სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი, ორმხრივ ხელსაყრელი თანამშრომლობის მოგვარების პროცესის განგრძობაში, რომელიც თანასწორუფლებიანობის, ორმხრივი პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საწყისებზე განხორციელდება. ამ მიმართულებით გადადგმული ახალი ნაბიჯებით შეგვეძლო ღირსეულად აღგვენიშნა ჰიტლერულ ფაშიზმსა და იაპონიის მილიტარიზმზე დიადი გამარჯვების ორმოცი წლისთავი.

კაცობრიობა ჯერ არასდროს მდგარა ისეთი საშინელი საფრთხის წინაშე, როგორიც დღეს არის. შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გონივრული გამოსავალია, მოპირისპირე ძალები მორიგდნენ, რომ დაუყოვნებლივ შეწყვეტენ გამალებულ შეიარაღებას —უწინარეს ყოვლისა, ბირთვულს — დედამიწაზე, და არ დაუშვებენ მას კოსმოსში. მორიგდნენ პატიოსან და თანასწორუფლებიან საფუძველზე, ისე, რომ არ მოუნდომონ მეორე მხარეს დაჯაბნა და თავისი პირობების თავსმოხვევა. მიაღწიონ მორიგებას, რომელიც ყველას დაგვეხმარება მივუახლოვდეთ ნანატრ მიზანს — ბირთვული იარაღის სრულ მოსპობას და სამუდამო აკრძალვას, ბირთვული ომის საფრთხის სრულ აღკვეთას. ამაში მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი.

ხვალ ჟენევაში იწყება მოლაპარაკება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. კარგად არის ცნობილი საბჭოთა კავშირის მიდგომა ამ მოლაპარაკებისადმი. შემიძლია მხოლოდ ერთხელ კიდევ დავადასტურო: ჩვენ არ ვესწრაფვით ცალმხრივი უპირატესობის მიღწევას შეერთებული შტატების, ნატოს ქვეყნების წინაშე, არ ვესწრაფვით სამხედრო უპირატესობის მოპოვებას მათთან შედარებით; ჩვენ გვინდა კი არ გაგრძელდეს, არამედ შეწყდეს გამალებული შეიარაღება, და ამიტომ წინადადებას ვაყენებთ გავყინოთ ბირთვული არსენალები, შევწყვიტოთ რაკეტების შემდგომი განლაგება; ჩვენ გვინდა კი არ შეიქმნას ახალ-ახალ სისტემათა იარაღი, იქნება ეს კოსმოსში თუ დედამიწაზე, არამედ ნამდვილად და მნიშვნელოვნად შემცირდეს დაგროვილი იარაღი.

ვისურვებდით, ჟენევის მოლაპარაკების მონაწილე ჩვენს პარტნიორებს გაეგოთ საბჭოთა კავშირის პოზიცია და თანხმობით ეპასუხოთ. მაშინ შეთანხმება შესაძლებელი გახდებოდა და მსოფლიოს ხალხები შვებით ამოისუნთქავდნენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავისი ბუნებით ინტერნაციონალურია. ჩვენს საზღვარგარეთელ თანამოაზრეებს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ: მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში ლენინის პარტია, როგორც ყოველთვის, მჭიდროდ ითანამშრომლებს მომძმე კომუნისტურ, მუშათა და რევოლუციურ-დემოკრატიულ პარტიებთან, იღვაწებს მთელი რევოლუციური ძალების ერთიანობისა და აქტიური თანამოქმედებისათვის.

ამხანაგებო, ჩვენს წინაშე მდგომი რთული ამოცანების გადაწყვეტა გულისხმობს პარტიის შემდგომ განმტკიცებას, მისი მაორგანიზებელი და წარმმართველი როლის გაძლიერებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მუდამ ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს იმ ლენინური დებულებით, რომ პრინციპული პოლიტიკა ერთადერთი სწორი პოლიტიკაა. ასეთი პოლიტიკა, რომლის შემუშავება კოლექტიურად ხდება, თანამიმდევრულად და განუხრელად განხორციელდება. პარტია სწორედ ის ძალაა, რომელსაც შეუძლია გაითვალისწინოს ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ინტერესები, შეაკავშიროს და გააერთიანოს ისინი, მოახმაროს ხალხის მთელი ენერგია კომუნისტური აღმშენებლობის საერთო საქმეს.

პარტიის პოლიტიკა ემსახურებოდა და მოემსახურება მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის კავშირის განმტკიცებას, ჩვენი დიადი მრავალეროვანი სახელმწიფოს ხალხთა მეგობრობის განუხრელ დამკვიდრებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველმხრივ განავითარებს ახალგაზრდობის შემოქმედებითს ინიციატივას, არ მოაკლებს მზრუნველობას ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ომისა და შრომის ვეტერანთა მოთხოვნილებებს.

რთულ საერთაშორისო ვითარებაში დღეს განსაკუთრებით საჭიროა ვიქონიოთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობა ისეთ დონეზე, რომ პოტენციურმა აგრესორებმა კარგად იცოდნენ: — საბჭოეთისა და მისი მოკავშირეების **უშიშროების** საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი ცხოვრების ხელყოფა წააწყდება შემმუსვრელ საპასუხო დარტყმას. ჩვენს სახელოვან შეიარაღებულ ძალებს კვლავაც ყველაფერი ექნებათ საამისოდ.

ახლა ფართოდ მიმდინარეობს მზადება სკკპ XXVII ყრილობისათვის. ყრილობაზე განვიხილავთ პარტიის პროგრამის ახალ რედაქციას, განვსაზღვრავთ შემდეგი ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდისათვის ქვეყნის განვითარების პერსპექტივებს.

დრო მოითხოვს, რომ დაძაბულ, შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდეს ყველა პარტიული ორგანიზაცია, თავიდან ბოლომდე ყველა უბანზე, ყველგან და-ყველაფერში — კომუნისტები სამაგალითონი უნდა იყვნენ. მოქალაქეობრივი ვალის მოხდით, საზოგადოების საკეთილდღეო კეთილსინდისიერი შრომით, ყველგან ამკვიდრებდნენ მუშაობის ლენინურ სტილს. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხებათ პარტიის კადრებს, პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განუხრელად გაატარებს მომთხოვნელობის, დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების გეზს.

პლენუმის დამთავრების შემდეგ ცენტრალური კომიტეტის წევრები, საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები, პლენუმის ყველა მონაწილენი თავ-თავიანთ ადგილებს მიაშურებენ, რათა ახალი ენერგიით მოჰკიდონ ხელი საქმეს. საქმე კი ბევრი გვაქვს. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა წარმატებით დავამთავროთ მუშაობა ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლევანდელი გეგმების შესასრულებლად და ამით უზრუნველვყოთ მომდევნო ხუთწლედის მტკიცე სტარტი.

სუსხიანმა ზამთარმა რამდენადმე დააბრკოლა საგეგმო დავალებათა რეალიზაცია მთელ რიგ დარგებში. მაშასადამე, ახლა საჭიროა დავირაზმოთ, თავი მოვუყაროთ რეზერვებს, დავძაბოთ მთელი ძალები, რათა შევავსოთ ხარვეზი და წლის დამლევს მივაღწიოთ დასახულ მიჯნებს.

ამხანაგებო, ამ დღეებში ჩვენ კიდევ უფრო მძაფრად ვგრძნობთ, რაოდენ მძლავრი და მონოლითურია კომუნისტთა რიგები, რაოდენ დარაზმული და ერთიანია ჩვენი საბჭოთა ხალხი. ამასწინანდელ არჩევნებში საბჭოთა ადამიანებმა კვლავ ცხადყვეს, რომ ერთსულოვნად უჭერენ მხარს ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს კურსს. ეს მხარდაჭერა ფრთას გვასხამს და ბევრს გვავალებს.

დღეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რთული და დიდი მოვალეობა დამაკისრა. კარგად მესმის, რაოდენ დიდია ნდობა და რაოდენ დიდია ამასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა. იმედი მაქვს, რომ მომავალ მუშაობაში მხარში მედგებიან და აქტიურად დამეხმარებიან პოლიტბიუროს წევრები, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები და ცენტრალური კომიტეტის მდივნები, საერთოდ, პარტიის ცენტრალური კომიტეტი. თქვენს მრავალმხრივ გამოცდილებაში კონცენტრირებულია ჩვენი ხალხის ისტორიული გამოცდილება. აღგითქვამთ, ამხანაგებო, რომ ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა ერთგულად ვემსახურო ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს, დიად ლენინურ საქმეს.

ნება მიბოძეთ, გამოვთქვა რწმენა, რომ, ეგებებიან რა სკკპ XXVII ყრილობას, ცენტრალური კომიტეტის გარშემო შეკავშირებული ხალხი და პარტია ყველაფერს იღონებენ, რათა კიდევ უფრო მდიდარი და ძლიერი იყოს ჩვენი საბჭოთა სამშობლო, რათა კიდევ უფრო ლაღად გაშალონ ფრთები სოციალიზმის აღმშენებელმა ძალებმა.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა სახელმწიფომ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო — გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისა და ქვეყნად მშვიდობისათვის თანამიმდევრული მებრძოლი.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ მთელი ცხოვრება ლენინური პარტიის საქმეს, საბჭოთა ხალხის ინტერესებს შეალია. სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას, იგი უცვლელად, მისთვის ჩვეული თავდადებით იბრძოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომლის რიგებშიც იყო ორმოცდაათ წელიწადზე მეტ ხანს.

კომკავშირული წინამძღოლიდან და სასაზღვრო საგუშაგოს პარტორგიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნამდე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემდე — ასეთია კ. უ. ჩერნენკოს ცხოვრების გზა. პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლეს პოსტებზე მთელი სისავსით გამოვლინდა მისი როგორც ორგანიზატორის, ლენინური ტიპის ხელმძღვანელის ნიჭი. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ სკკპ XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვისათვის.

თანამიმდევრულად ხორციელდებოდა განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დიდი ამოცანების გადაწყვეტის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მასების შემოქმედებითი აქტიურობის შემდგომი ამაღლების, იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების კურსი. პარტიის ყურადღების ცენტრში მუდამ იყო დისციპლინის, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცების, საკადრო პოლიტიკის, საბჭოების, კომკავშირის, სახალხო კონტროლის საქმიანობის გააქტიურების, სკოლის რეფორმის, ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოებრივი როლის ამაღლების საკითხები. წარმოებს აქტიური მუშაობა სკკპ მორიგი, XXVII ყრილობის მოსამზადებლად, პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის შესამუშავებლად.

საერთაშორისო ასპარეზზე პარტიის მეცადინეობა უმთავრესად ხმარდებოდა მომძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას. კ. უ. ჩერნენკოს მოღვაწეობასთან დაკავშირებულია სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის ახალ ეტაპზე გადასვლა, სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციების განმტკიცება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ და თანამიმდევრულად ახორციელებდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს, გადაჭრით უკუაგდებდნენ იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციული წრეების აგრესიულ ზრახვებსა და მისწრაფებებს, დაუცხრომლად იბრძოდნენ იმპერიალიზმის მიერ გაჩაღებული გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ბირთვული ომის საფრთხის აღკვეთისათვის, ხალხების საიმედო უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

მძიმე დანაკლისთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კომუნისტებს, საბჭოთა ხალხს მოუწოდებენ კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს გარშემო. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ჩვენი ქვეყნის მშრომელები სრულიად საფუძვლიანად მიიჩნევენ საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად. პარტიის ყველა საქმე და განზრახვა მიზნად ისახავს საბჭოთა ხალხის ძირეული ინტერესებისადმი, კომუნიზმის საქმისადმი თავდადებულ სამსახურს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია შეიარაღებულია უკვდავი რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით. იგი განუხრელად მიაბიჯებს ლენინის მიერ დასახული გზით და ამ გზას არასოდეს არ გადაუხვევს.

პარტია კვლავაც განახორციელებს განვითარებული სოციალიზმის ყოველმხრივი სრულყოფის კურსს. მას თავისი საქმიანობის უმაღლეს აზრად მიაჩნია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივი დაჩქარების საფუძველზე. მთელი გულმოდგინებით სულ უფრო სრულად განხორციელდება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში სოციალიზმისათვის დამახასიათებელი სოციალური სამართლიანობის პრინციპი, განუხრელად გატარდება ქვეყნის მშრომელთა მიერ მოწონებული და მხარდაჭერილი დისციპლინის, წესრიგის, ორგანიზებულობის განმტკიცების გეზი. პარტია კვლავაც განამტკიცებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის კავშირს, საბჭოთა ხალხების ძმურ მეგობრობას, რაც ჩვენი საზოგადოების ცხოველმოქმედების საფუძველს წარმოადგენს, განავითარებს სოციალისტურ დემოკრატიას. პარტიას საბჭოთა ადამიანების უზენაეს სულიერ ღირებულებებად მიაჩნდა და მიაჩნია მარქსისტულ-ლენინური მრწამსი, კოლექტივიზმი, პატრიოტიზმი, პროლეტარული სოცალისტური ინტერნაციონალიზმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობდნენ და ხმარობენ სოციალისტური თანამეგობრობის გაძლიერებისათვის, მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმის პოზიციათა განმტკიცებისათვის, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისა და მყარი მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. ჩვენ გვინდა და განუხრელად ვესწრაფვით გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, კოსმოსის მილიტარიზაციის თავიდან აცილებას. ჩვენი საბოლოო მიზანია ბირთვული იარაღის სრული მოსპობა მთელ პლანეტაზე, ბირთვული ომის საფრთხის სრული აღმოფხვრა. საბჭოთა კავშირი უცვლელად იღვწოდა და იღვწის კონსტრუქციული დიალოგისათვის, ისეთი პრაქტიკული ღონისძიებებისათვის, რომელთა მეშვეობითაც შემცირდება საერთაშორისო დაძაბულობა, დამყარდება ყველა ხალხსა და სახელმწიფოს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო.

საბჭოთა კავშირი არავის ემუქრება და არ ესწრაფვის სამხედრო უპირატესობას. მაგრამ იგი არ დაუშვებს, რომ რომელიმე სხვა ქვეყანამ ან სახელმწიფოთა კოალიციამ მოიპოვოს ასეთი უპირატესობა. აი ამიტომ ჩვენ კვლავაც ოაუცხრომლად გავაძლიერებთ სიფხიზლეს, განვამტკიცებთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობას.

ჩვენ სიმპათიით ვეკიდებით და მხარს ვუჭერთ იმ ხალხებს, რომლებიც თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უცვლელად ერთგულობს საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ძალების ყოველნაირად შეკავშირების თანამიმდევრულ კურსს.

პარტიის მიზნები ნათელი და კეთილშობილურია. მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მშრომელთა უსაზღვრო ნდობა მოუპოვებინეს. ხალხთან ერთიანობაა პარტიის ძალა. პარტიასთან ერთიანობა, მისი ხელმძღვანელობაა ხალხის ძალა.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე პარტიის, საბჭოთა ხალხის ერთგულ სამსახურს შეალია, სამუდამოდ დარჩება კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის ხსოვნაში. იგი დარჩება ჩვენს ხსოვნაში როგორც მარქსისტულ-ლენინური იდეების მგზნებარე პროპაგანდისტი, როგორც გულისხმიერი და მომთხოვნი ხელმძღვანელი, როგორც მშრომელი ადამიანების საჭიროებებისა და საზრუნავისადმი უაღრესად ყურადღებიანი ადამიანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი გამოავლენენ დიდ შეგნებასა და ორგანიზებულობას, იშრომებენ მეტი ენთუზიაზმითა და თავდადებით, განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკურ და თავდაცვითს ძლიერებას, ღირსეულად ატარებენ დიდი ოქტომბრის დროშას.

ულიანოვების ოჯახი (1879 წელი). მარჯვნივ — 9 წლის ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი (ლენინი).

# დიდი ოჯახის უკვდავი დედა!

## მარია ალექსანდრეს ასულ ულიანოვას დაბადების 150 წლის თავი



ეს ორმოცდაათი წელი შესრულდა მარია ალექსანდრეს ასულ ულიანოვას დაბადებიდან. იგი სიბირსკის გუბერნიის სახალხო სასწავლებლის ინსპექტორის ილია ნიკოლოზის ძე ულიანოვის მეუღლე იყო. მათ ექვსი შვილი ყავდათ: ანა, ალექსანდრე, ვლადიმერ, ოლგა, დმიტრი და მარია. ულიანოვების ოჯახმა მრავალი წელი გაატარა ქალაქ სიბირსკში, რომელსაც შემდგომ ქალაქი ულიანოვსკი ეწოდა.

მარია ალექსანდრეს ასული თავის შვილებს ზრდიდა სამართლიანობის, კაცთმოყვარეობის სულისკვეთებით. დიდი ამაგი მიუძღვის დედას შვილების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, ამიტომ დაადგნენ ისინი მშრომელი ადამიანების გათავისუფლების ბრძოლის ძნელ გზას.

მარია ალექსანდრეს ასულ ულიანოვას ცხოვრება ნათელი მაგალითია, თუ რა შეუძლია ქალს, დედას, ისტორიის მსვლელობაში.

ვლადიმერ ლენინს უზომოდ უყვარდა დედა. არ შეიძლება აუღელვებლად გავიხსენოთ დიდი ბელადის ნაზი, მგრძნობიარე დამოკიდებულება დედისადმი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სიკეთესა და სათნოებას შესწირა.

„ჩვენ ამ გზით არ ვივლით“... (ვ. ი. ლენინი).

მხატვარი პ. ბელოუსოვი


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 4 (580) აპრილი, 1985

ყურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ყურნალი

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა



© „დროშა“, 1985 წ.


## ნომერშია:


ფილიპე მახარაძე — „წითელი შაგათოგა“

რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატები

თამაზ ხმალაძე — ორნი ღუმელთან (მოთხრობა)

ანაიდა გოსტანჯიანი — მინიატურები

ჯანსულ ღვინჯილია — სიყვარულით გამთბარი მხატვრობა.

ალექსანდრა პისტუნოვა — ნათელი სითბო

თამაზ ნატროშვილი — „ესე საქმე მოურავმა“...

ანა ბედე — ლექსები (თარგმანი მედეა კახიძისა)

შოთა აფრიდონიძე — აღარ უნდა განმეორდეს!

გიორგი ჯიბლაძე — მსახიობ ასკალონ მაგრაძველიძის ლიტერატურული კომპოზიციები

ბაბა თაჰერ ურიანი — ლექსები (თარგმანი ლია ასათიანისა)

ლალი მარტაშვილი — მებრძოლი, მოღვაწე, მთარგმნელი

იონა გადავიძე — გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან



მთავარი რედაქტორი

ხუტა ბერულავა

●

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა გახტაძე (პ/მგ. მდივანი), ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ვახტანგ ესვანჯია, ოთარ თურქია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

# „წითელი შაბათოობა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფილიპე მახარაძე,**
ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი.

შესრულდა ვ. ი. ლენინის დაბადების 115 წლისთავი.

არ იყო და არ არის ჩვენთვის უფრო ძვირფასი ადამიანი, ვიდრე ლენინია. მისი ბრძნული და სამართლიანი ხმა ყველგან ისმის, მისი სჯერათ, ყველას მზერა ლენინის საქმეებისაკენ, მისი იდეალებისაკენაა მიპყრობილი.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინზე იგივე შეიძლება ითქვას, რაც ფრიდრიხ ენგელსმა კარლ მარქსის შესახებ თქვა: „მისი სახელი და საქმე საუკუნეებს გაუძლებს“.

ისტორიამ შემოინახა სრულიად რუსეთის შაბათობის ერთი საინტერესო დღე.

ძნელი დრო იყო, ყველაფერს აჩნდა მძიმე ომის ნაკვალევი: მდინარეებზე აფეთქებული ხიდები, დამწვარი სახლები, რკინიგზებზე დამტვრეული ორთქლმავლები და ვაგონები...

სწორედ ამ დროიდან იღებს დასაბამს დიდი და საჭირო საქმე: შაბათობა. ადამიანებმა დაიწყეს მუშაობა არასამუშაო დღეებში. ისინი შრომობდნენ უფასოდ, ქვეყნის დასახმარებლად, დანგრეული მეურნეობის აღსადგენად. ეს დიდი საქმე წამოიწყეს მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის მუშა კომუნისტებმა 1919 წლის 10 მაისს. ისინი ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილით შეუდგნენ ქვანახშირითა და შეშით დატვირთული მატარებლების გადმოცლას.

ამ სამუშაოებს მუშები ასრულებდნენ შაბათობით. ამიტომაც ამ დღეებს შაბათობები ეწოდა.

1920 წლის პირველ მაისს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით გამოცხადდა სრულიად რუსეთის შაბათობა. ამ დაუვიწყარ საზეიმო დღეს მუშაობდნენ ყველგან — დაწყებული მოსკოვის კრემლითა და დამთავრებული მუშათა დასახლებით — სადღაც შორეულ ციმბირში. ადამიანები შაბათობაზე მიდიოდნენ, როგორც ზეიმზე — ორკესტრების თანხლებით. დაძაბული და მღელვარე იყო გაზაფხულის ეს დღე მთელ ჩვენს ქვეყანაში.

მუშები, მოსამსახურეები, კრემლის მეტყვიამფრქვევეთა კურსების ახალგაზრდა კურსანტები და მეთაურები გამოვიდნენ და დაეწყვნენ მოედანზე სახალხო კომისართა საბჭოს შენობის წინ.

როცა მაცხოვრის კოშკზე საათი ცხრას მიუახლოვდა, უცებ ერთ-ერთმა აღელვებით წამოიძახა:

— ლენინი!.. მართლა ლენინი!..

— სად? — ჰკითხა გვერდით მდგომმა.

— აი, იქ მოდის, მეფე-ზართან...

თავზე კეპით, ძველ კოსტიუმში გამოწყობილი, ვლადიმერ ილიას ძე მიუახლოვდა კომისარს, მხრები მორიდებულად აიწურა და თქვა:

— უკაცრავად, მგონი, დავიგვიანე.

— არა, ვლადიმერ ილიას ძევ, დროზე მობრძანდით.

— მაშ, ნება მომეცით მწყობრში ჩავდგე.

კომისარი შეცბა.

— ვლადიმერ ილიას ძევ, მწყობრში სამხედროები დგანან, თქვენ კი სამოქალაქო პირი ბრძანდებით.

— მართლაც, — გაიცინა ილიჩმა, — როგორ მოვიქცე?

— ყველაფერი მარტივად ეწყობა, ვლადიმერ ილიას ძევ! — უცბად სახე გაუბრწყინდა კომისარს, — თქვენ ხომ რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ხართ. დადექით, ამხანაგო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარევ პირველ ფლანგზე.

ვლადიმერ ილიას ძე კურსანტების გვერდით დადგა, ხოლო კომისარმა დასჭექა:

— ამხანაგო კურსანტებო, შაბათობაზე მოვიდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი!

ამ დროს გაისმა კრემლის კურანტების ზარი, რომელსაც მოჰყვა ქვემეხის სამი გასროლა — სრულიად რუსეთის პირველი შაბათობის დაწყების სიგნალი.

საჭირო იყო, ერთ დღეში მთლიანად გაეწმინდათ და მოეწესრიგებინათ კრემლის მოედანი. ჯერ ხის მორების ზიდვას შეუდგნენ. შაბათობაზე ლენინთან ერთად მუშაობდა კურსების კომისარი ილია ბორისოვი. იგი ცდილობდა, მორი წვრილი ბოლოთი მიეწოდებინა ბელადისათვის, ხოლო თვითონ ეჭიდებოდა მსხვილს, უფრო მძიმეს. ლენინმა შენიშნა ეს და მაშინვე პირველმა დაიწყო მორების აწევა.

კომისარმა ასაკი მოიმიზეზა და თქვა:

— თქვენ ორმოცდაათისა ხართ, მე კი ოცდარვის.

— ასეთ შემთხვევაში უფროსებს უნდა დაუჯეროთ, — გაეღიმა ილიჩს.

ერთ-ერთმა კურსანტმა მხარზე გაიდო მძიმე მორი, მაგრამ მარტო ვერ ზიდა. ვლადიმერ ილიას ძემ შეამჩნია ეს და მეორე ბოლოს მოჰკიდა ხელი. კურსანტი მობრუნდა, ეგონა, რომელიღაც თანაკურსელი მეხმარებაო. ლენინი რომ დაინახა, მოულოდნელობისაგან შეცბა. ვლადიმერ ილიას ძემ ჰკითხა: „რა, ახლა ხომ უფრო ადვილია?“ „ზუსტად ასეა“, — მიუგო კურსანტმა. „აი, ხომ ხედავთ, — დაამთავრა ილიჩმა, — რაც ერთს უჭირს, ის ორს, კოლექტივს ეადვილება“.

შაბათობის ერთ-ერთმა მონაწილემ, რომელიც ბელადთან ერთად ზიდავდა ფიცრებს, თქვა, რომ ურიგო არ იქნებოდა, სურათი გადაეღოთ სამახსოვროდ. ამაზე ვლადიმერ ილიას ძემ კატეგორიული უარი განაცხადა. მაგრამ კრემლის კურსების ერთ-ერთმა მოყვარულმა ფოტოგრაფმა როგორღაც მოახერხა და გადაუღო სურათი ვლადიმერ ილიას ძეს, რომელსაც კურსანტების ჯგუფთან ერთად მორი მიჰქონდა.

შესვენების შემდეგ დაიწყეს ქვებისა და ნაგვის ზიდვა საზიდრებით. რევოლუციის დიდი ბელადი ჩქარობდა, ცდილობდა, უფრო სწრაფად ემუშავა, მაგრამ შაბათობის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე მაინც მოუხდა წასვლა: ლენინს კარლ მარქსის ძეგლისათვის საძირკვლის ჩაყრაზე ელოდნენ. მოედანზე სამუშაოც ბევრი აღარ იყო დარჩენილი. შაბათობაზე ბელადმა სრული ოთხი საათი იმუშავა.

შაბათობებზე კომუნისტები ყოველთვის პირველ რიგებში იყვნენ.

როგორც ამხანაგი მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი აღნიშნავს, ყველა უბანზე, ყველგან და ყველაფერში კომუნისტები სამაგალითონი უნდა იყვნენ მოქალაქეობრივი ვალის მოხდით, საზოგადოების საკეთილდღეო კეთილსინდისიერი შრომით...

ასე იყო ყოველთვის. ასე იქნება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის 115 წლისთავისადმი მიძღვნილ კომუნისტურ შაბათობაზეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინის მეოთხე ფრონტის ყოფილი სამხედრო კორესპონდენტის ლეიტენანტ ფრანციზკ სემიანიკოვის ფოტოები.

▲ სხვადასხვა ეროვნების ფრონტელი ძმები.

◀ სერგო მინასიძე: — ჯარისკაცი ყოველთვის ყოჩაღი უნდა იყოს!



▲ დამსხვრეული ფაშისტური სვასტიკა.




▲ საძმო საფლავი.

▲ „ადგილობრივი პრესა“ ყოველთვის საინტერესო იყო.

▼ 1945 წლის 9 მაისის დილა ფრონტზე.

# ბილოცვით, ეკირეული ეგზობრები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ 1985 წლის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინეს:

— მიღებულ იქნეს საქართველს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წინადადება საქართველოს სსრ 1985 წლის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ. პრემიები მიენიჭათ:

### ლიტერატურის დარგში

**ანა კალანდაძეს,** პოეტს — ლექსების ციკლისათვის „თავაწეული ქართლის დროშები“ (გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ 1984 წლის 21 მაისს) და ბოლო წლებში გამოქვეყნებული მთელი რიგი ლექსებისათვის.

**ჯანსუღ ჩარკვიანს,** პოეტს — 1983-1984 წლებში გამოქვეყნებული ლექსების ციკლისათვის.

**ბაგრატ შინკუბას,** პოეტს, — ბოლო წლების ნაწარმოებებისა და ქართული კლასიკური პოეზიის (შოთა რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი) თარგმნისათვის.

### სახვითი ხელოვნების დარგში

**ზურაბ ნიჟარაძეს, მხატვარს,** — ბოლო წლებში შექმნილი მხატვრული ტილოებისათვის.

### თეატრალური ხელოვნების დარგში

**დიმიტრი ალექსიძეს** (სიკვდილშემდგომ), რეჟისორს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ქუთაისის ფილიალში დ. თორაძის ოპერა „ჩრდილოეთის პატარძლის“ და სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართულ დრამატულ თეატრში შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ დადგმისათვის.

### მუსიკის დარგში

**ბიძინა კვერნაძეს,** კომპოზიტორს, — ოპერისათვის „იყო მერვესა წელსა“ და უკანასკნელი წლების კონომუსიკისათვის.

### კინოსა და ტელევიზიის დარგში

**გრიგოლ ლორთქიფანიძეს,** დამდგმელ რეჟისორს, **ანზორ სალუქვაძეს,** სცენარის ავტორს, **ლევან ნამგალაშვილს,** დამდგმელ ოპერატორს, **კახი ხუციშვილს,** დამდგმელ მხატვარს, **თენგიზ არჩვაძეს, ზურაბ ქაფიანიძეს, ქეთევან კიკნაძეს,** მთავარი როლების შემსრულებლებს — მრავალსერიანი მხატვრული ფილმის „წიგნი ფიცისა“ შექმნისათვის.

### არქიტექტურის დარგში

**ვახტანგ აბრამიშვილს, გურამ მირიანაშვილს, ლევან ჯანდიერს,** არქიტექტორებს — ქალაქ თბილისში ადმინისტრაციული შენობის არქიტექტურისათვის.

## საქართველოს სსრ 1985 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წარდგინება და დაადგინეს, 1985 წლის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიები მიენიჭოთ:

### მეცნიერების დარგში

1. **ლევან ალექსიძეს,** იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საერთაშორისო სამართლისა და საბჭოთა სამართლის საფუძვლების კათედრის გამგეს.

ნაშრომისათვის: „საერთაშორისო სამართლის თეორიის ზოგიერთი საკითხი: იმპერატიული ნორმები“, რომელიც გამოაქვეყნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ 1982 წელს.

2. **ვახტანგ ბოჭორიშვილს,** საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორს, რესპუბლიკის სეფსისსაწინააღმდეგო ცენტრის ხელმძღვანელს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ინფექციურ დაავადებათა კათედრის გამგეს (ხელმძღვანელს);

**გივი ანთელავას,** საქართველოს სსრ დამსახურებულ ექიმს, რესპუბლიკური კლინიკური ინფექციური საავადმყოფოს მთავარ ექიმს;

**ქეთევან გომელაურს,** საქართველოს სსრ დამსახურებულ ექიმს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს;

**ნოდარ დოლიძეს,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს;

**პალიკო კინტრაიას,** საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კ. ვ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინის, მეანობისა და გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს;

**გურამ ნიჟარაძეს,** საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის პედიატრიის კათედრის გამგეს ნაშრომისათვის: „სეფსისით დაავადებულთა სამედიცინო დახმარების ეფექტიანი, წინათ არ [illegible]ებული სპეციალური ორგანიზაციის შექმნა და პრაქტიკაში დანერგვა საქართველოს სს რესპუბლიკაში“, რომელიც განხორციელდა 1973-1983 წლებში.

3. **გიორგი გიგაურს,** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის ვ. ზ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყეევრობის ინსტიტუტის დირექტორს ნაშრომისათვის: „საქართველოს ტყეებში მეურნეობის გაძღოლის საფუძვლები“, რომელიც გამოუშვა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ 1980 წელს.

4. **ვილიამ კაჭარავას,** ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს;

**ნიკოლოზ კეცხოველს** (სიკვდილშემდგომ);

**ლევან მარუაშვილს,** საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგიისა და პალეოგეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელს;

**რევაზ უორდანიას,** ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის კათედრის დოცენტს;

**ბორის ყურაშვილს,** საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს;

**გურამ ფანჯიკიძეს,** მწერალს, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორს;

**არჩილ ჯანაშვილს** (სიკვდილშემდგომ);

ნაშრომისათვის: „საქართველოს სსრ წითელი წიგნი“, რომელიც 1982 წელს გამოქვეყნდა.

### ტექნიკის დარგში

1. **თეიმურაზ დავითაშვილს,** ინჟინერ-მექანიკოსს, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრს;

**ზაალ კილაძეს,** იმავე სამინისტროს „ავტოტრანსტექნიკის“ საწარმოო-სატრანსპორტო გაერთიანების ქუთაისის საცდელ-მექანიკური ქარხნის მთავარ ინჟინერს;

**რობერტ ლეიაშვილს,** ინჟინერ-მექანიკოსს, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის პირველ მოადგილეს;

**უჩა მეგრელიშვილს,** იმავე სამინისტროს საკონსტრუქტორო განყოფილების გამგეს;

**რევაზ ხოჯავას,** ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, იმავე სამინისტროს „ავტოტრანსტექნიკის“ საწარმოო-სატრანსპორტო გაერთიანების მთავარ ინჟინერს;

**გიორგი ცომაიას,** იმავე სამინისტროს „ავტოტრანსტექნიკის“ საწარმოო-სატრანსპორტო გაერთიანების გენერალურ დირექტორს;

**ალექსანდრე ჩხეიძეს,** იმავე სამინისტროს ტვირთზიდვის სამმართველოს უფროსს.

ნაშრომისათვის: „სასოფლო-სამეურნეო და სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადასაზიდი სპეციალური ავტომობილების ოჯახი“, რომელიც 1981-1983 წლებში დაინერგა.

თამაზ ხმალაძე

# ოჩინ ღუმელთან

მოთხრობა

გარეთ თოვს. ალბათ არც ისე გვიანია, მაგრამ ცივა და დიდ-პატარა სახლებში შეყუჩებულა. გაუბზარავი სიჩუმე ჩამომდგარა სოფელში, ახლადმოსული თოვლივით წმინდა, შეურეველი და, როგორც ეტყობა, ამ თოვლის გამო გადიადებული. ჩქამიც არსაიდან ისმის, თავმოძულებული ძაღლის წამოყეფებაც კი არ მისწვდება დაყურადებული კაცის სმენას.

შინ კი ღუმელი გუგუნებს და მხოლოდ სითბოთი არ ავსებს ოთახს, გაიმედებს, რომ ყველაფერი რიგზეა და სამოშავლოდაც არაფერი გაგიჭირდება. დავიწყებას ეძლევა თუკი რამ უიღბლობა და სიმწარე არსებობს ამ ამოუცნობ დედამიწაზე. კარგია. შეგეხარბება, ისეთი უშფოთველობა და სიმყუდროვეა... მაგრამ ამას გრძნობენ და აფასებენ ადამიანები?

ღუმელსა და კედელს შუა, ცხვრის ტყავზე, მოხუცი კაცი მიწოლილა. მეტი თუ არა, ერთი კვირის გაუპარსავი მაინც იქნება, მაგრამ თეთრი ჯაგარი არ აუშნოებს, პირიქით, უხდება კიდეც — მრგვალი სახე ბაკმოვლებულს მიუგავს, თითქოს რაღაცა შუქს შიგნიდან გაუნათებიაო. ძალიან მოხუცია, გაგიკვირდება, ნეტავი ამ ათიოდე წლის ბიჭის ანაბარა როგორ დატოვესო.

მოუწყენიათ, რა ხანია ერთმანეთს აღარ შეხმიანებიან, თითქოს მობეზრებიათ ერთიმეორე. მაგრამ ერთი შეხედვით ჩანს ეგრე, თორემ მოხუცს არც მოწყენილი ეთქმის და მით უმეტეს, შვილიშვილის მობეზრება ვინ გაიგონა. უბრალოდ, ძველ საფიქრალს ჩაჰყოლია, ძალიან შორს წასულა და აქაურობა მივიწყებია, აღარ ახსოვს.

აი, ბიჭს კი ნამდვილად ვერ მოუსვენია, წუხს, არ იცის, რა საქმეს მოჰკიდოს ხელი. ტახტზე, სადაც ახლა მუხლებზე ხელშემოხვეული ზის და წინ და უკან ირწევა, გადაშლილი მოზრდილი წიგნი დევს პირქვე. ეტყობა, ცოტა ხნის წინ კითხულობდა, გული ვერ დაუდო და მიატოვა. რას იზამ, ამ ასაკის ბავშვებს წიგნი ჯერ კიდევ ვერ გაუწევს მარტოობაში ვინმეს მაგივრობას, მეგობრად არ გამოადგება.

— რა არის ეგეთი გახურება, ღუმელს ალმური ასდის— სიჩუმეს არღვევს ბიჭი, — მე ლამის ამ სიშორეზე შევფუცუნდე, შენ მანდ როგორ უძლებ!

მოხუცს არ ესმის, აკი ვთქვით, შორს არის წასული და ბიჭის ნათქვამი იქამდე რას მიაღწევს.

— იიჰ! — ამბობს ბიჭი, ჩანს მიჩვეულია პაპის უყურადღებობას.

ტახტიდან ჩამოდის, ფანჯარასთან მიდის და ცივ, დაჭორფლილ მინას ცხვირს ზედ აჭყლეტს. აღარა თოვს, ბნელი ცა ერთიან ღრუბელს დაუფარავს.

— მარაგიანი ღამეა, ძალიან აღარ ეცივება ამაღამ! — ამბობს გამოცდილი, ცხოვრებამოვლილი კაცივით.

— რა? რა გინდა, შვილო? — ამჯერად გამოერკვა მოხუცი. შეიძლება იმიტომ, რომ ბიჭმა ადგილი შეინაცვლა.

— არაფერი, მარაგია-მეთქი.

— ჰოო, კარგია... მაგრამ შენ რატო არაფერსა სჭამ, კაცო. აგე, სადაც არი, ისინიც მოვლენ, და ხო იცი, რა ამბავს ასტეხავენ.

— ვაჰ, არკი მინდა და...

— რა არ გინდა, შვილო, ეხლა შენი ხნის ყმაწვილისა საყელოც უნდა სჭამდეს. კარგი, ჰო, ვთქვათ და საჭმელს არა ნდომობ, ამდენი ხილი გვაოხრია, იმისაკენ მაინც გაგექცეს თვალი. ეჰ, საამისოდ ენა როგორ მომიბრუნდეს, მაგრამ უნდა გენატრებოდეს, უნდა სიზმარშიაც ნერწყვსა ყლაპავდე და მადლი მაშინ იქნებოდა, მაშინ დააფასებდი, რაცა გაქვს, იმას.

ბიჭი ხმას არ იღებს, ერთხანს ამრეზილი გაჰყურებს სიბნელეს, მერე ბრუნდება, ტახტზე ჯდება და წიგნის კითხვას აგრძელებს. მოხუციც თავის საფიქრალს მიუტრიალდება.

დიდი დრო არ გადის და:

— პაპავ! — უცებ იძახის ბიჭი.

— რა იყო? — შეკრთება შორიდან, თავისივე წიაღიდან მობრუნებული მოხუცი და წამოიწევს.

— ერთი ნახე, რა სწერია აქა... წაგიკითხო?

— მიდი, აბა.

ბიჭი კითხულობს, თუ ადრე წაკითხულსა ჰყვება, ვერ გიგებ:

— კატების სამშობლო ჩრდილოეთ აფრიკა ყოფილა. ეგვიპტელები თურმე ღმერთადა თვლიდნენ. თუ სახლს ცეცხლი გაუჩნდებოდა, ჯერ კატებს გადაარჩენდნენ, მერე თავიანთ ბარგი-ბარხანას. ვინმეს შემთხვევითაც რომ შემოკვდომოდა ეს კრუტუნა ცხოველი, იმასაც ზედ წაალეკავდნენ. თუ კატა თავისით მოკვდებოდა, მაგასაც დიდ უბედურებად სთვლიდნ ე ნ ოჯახში და პატრონები უსაზღვრო მწუხარების ნიშნად წარბებს იპარსავდნენ (ამ ადგილზე ბიჭი თავს ვერ იკავებს და ხითხითებს).

ისტორიას ასეთი შემთხვევაც ახსოვს: ჩვენს ერამდე ხუთას ოცდახუთი წლის წინათ სპარსელების მეფე კამბისე ფარაონ ფსამანტს შეებრძოლა. ეგვიპტელები ვაჟკაცურად დაუხვდნენ მტერს და დაამარცხებდნენ კიდეც, სპარსელებს რომ ხერხი არ ეხმარათ: თავიანთი მეწინავეებისათვის კატები იშოვეს სადღაც და იმათაც ფარებივით აიფარეს მკერდთან. იმის შიშით, რომ კატებს არაფერი ავენოთო, ეგვიპტელებმა ისრების სროლა შეწყვიტეს.

ბრძოლა ეგვიპტელების განადგურებით დამთავრდა.

— უყურე ერთი მაგ ოხერ სპარსელს, პირველიდანვე როგორი სანთიანი და ეშმაკი ყოფილა! — თავს იქნევს მოხუცი.

წიგნი, როგორც ჩანს, ყმაწვილის შესაფერისი არ არის, მაგრამ პაპამ ეს არ იცის და არც ენაღვლება.

— კიდევ წავიკითხო? — ეკითხება შვილიშვილი.

— მიდი, აბა.

— ვაჰ, ნურას უკაცრავად! — ხელებსა შლის ბიჭი. — რა კარგია! სხვა პაპები შვილიშვილებს ზღაპრებსა და ომის ამბებს უყვებიან, ეს კიდევ მე მთხოვს წიგნი წამიკითხეო. შენ არაფერი იცი? ერთხელ შენც მომიყევი რამე!

— მე რა უნდა ვიცოდე, შვილო, და რა უნდა მოგიყვე, წელიწადი—თორმეტი თვე სიცხესა და ქარ-წვიმაში გდებისაგან საქობოური კამეჩივით ვიყავი გაშავრკინებული და ცხრაკეცი ტყავი მქონდა გადამძვრალი ზურგზე.

მე ზღაპრებისათვის ვინ მომაცლიდა...

— კარგი, ჰო, ზღაპარი შეიძლება არ იცოდე, არც მინდა, პატარა ხომ აღარა ვარ, მაგრამ რომ ამბობ, სულ სიცხესა და ქარ-წვიმაში ვიყავიო, თავს არაფერი გადაგხდომია? არაფერი გახსოვს? შენც ადექი და ის მომიყევი.

მოხუცი ხმას არ იღებს. არაფრად ეპიტნავება რამის მოყოლა, მაგრამ რაღაცნაირად მოვალესავით გრძნობს თავს. უწადინოდ, გაუბედავად იწყებს:

— ემაგ კატებზე გამახსენდა, — უჭირს, სიტყვებს ერთმანეთზე ძლივს აბამს.

— ჰო, კატებზე გამახსენდა. ერთ წელიწადს მინდორში სახვნელად რო ვიყავით გასულები, კატა შემოგვეჩვია. რავი, სად ოხრობიდან მოვიდა, საიდან მოაღწია იქამდე, ჩვენ კი საჭმელი აღარაფერი დაგვიტოვა ქოხში და... ერთხელაც მივასწარით და ძაღლი მივუსიეთ. ძაღლი გვყავდა, ადვილად დათვი ვერ შეჰბედავდა შებმას, დაინახა და გამოენთო. კატა კარგად ვერ დარბის, ხო იცი, პირველიდან სწრაფია, მაგრამ მერე ხეზე ან სხვა რამეზე თუ არ შეასწრო, მალე იღლება. იმიტომაც იტყვიან ხოლმე, კატის მანძილი საბძელიაო. იმ მოშიშვლებულ მინდორზე საბძელს ვინ მიაშავებდა, უცბად დაეწია ძაღლი და სწვდა კიდეც, კატა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მიხვდა, საშველი აღარსაიდანა მაქვსო, ერთი ავგრე ამოტრიალდა; ცხვირ-პირში ეძგერა თავის სულთამხუთავსა და ბრჭყალებით დაუწყო ღადვრა. გამწარდა ძაღლი, მაგრამ რა გამწარდა! ხელად შეუშვა პირი, მაგრამ ნურას უკაცრავად, ეხლა უკვე კატამ აღარ დაანება თავი, ალბათ ხვდებოდა, დაეხსნებოდა თუ არა, ძაღლი ისევ ეძგერებოდა და მერე ბასტა! აღარაფერი უშველიდა, გათავებული იყო იმისი საქმე. ძაღლი აწკმუტუნდა, აღმუვლდა, მოჰყვა გორაობას მიწაზე, მაგრამ გაგიგონია, კატა მაინც არ მოეშვა და არ გაერიდა. ეს ოხერი სული ტკბილია და ადვილად არავის ეთმობა... მერე ბიჭები მისცვივდნენ და კეტით მოკლეს.

— კატა?

— მა ძაღლი!

— აბა, რა ისეთი მოსაყოლი ამბავი ეგ იყო, — უკმაყოფილოა ბიჭი.

კატა ეცოდება.

— რაც არი, ეგ არი.

— მაგას ის მირჩევნია, შენი პატარაობისა მომიყვე, პატარაობისა არაფერი გახსოვს?

— პატარაობისა? — წამოიწევს მოხუცი, მერე წამოდგება, ღიმილი ნელ-ნელა ეფინება მთელ სახეზე. არც ისეთი მოხუცი ყოფილა, როგორც წოლელა ჩანდა. პატარაობა, შვილო, არავის ავიწყდება, მაგას ვერც დრო აკლებს რამეს და ვერც წუთისოფლის ვაი-ვაგლახი.

— ჰოდა, მომიყევი, — აჩქარებს ბიჭი. ტახტიდან ჩამოდის და თვითონაც პაპის გვერდით იკალათებს.

მოხუცი წვალობს, ჯახირობს, არ იცის, როგორ დაიწყოს, რომელი გამოარჩიოს ერთბაშად მოძალებული მოგონებებიდან, რა გაიგოს, რომელს უფრო არ დაუწუნებს მოლოდინად ქცეული შვილიშვილი.

—ეჰ, დავიწყებით კი რა დამავიწყებს, მაგრამ როდის იყო, იტყვი, აღარც კი მახსოვს, ვეღარც კი მირწმუნებია, მეც თუ ვიყავი პატარა... მაინც ყველაზე ტკბილად კალობა მახსენდება, რა სიხარულსაც მაშინ ვნახულობდით ბალღები! მერე იმაზე ბედნიერი აღარა ვყოფილვარ.

პირველიდან რო ჩავშლიდით ძნებსა და გავმართავდით კალოს, ეგეთი წესი იყო, კევრზე დავალაგებდით პურსა და ღვინოს და ოჯახის თავკაცი სადღეგრძელოს იტყოდა: ღმერთო და ჩვენო გამჩენო, შენი სახელისა და ძალის ჭირიმე, მოგვეცი პური იმდენი, რო სხვასაც ერგოს და შეცა მქონდეს, ნურავის გაგვხდი სხვათა ხელის შემყურედა, ნუ მოუშიებ ნურავის ცოლ-შვილსა. ამ პირველი განალეწის ხორბალს დავფქვავდით, პურს გამოვაცხობდით, ამოვჭრიდით ზედ ჯვარსა და ჩავდებდით ამბარში. დავაყრიდით ზევიდან ხორბალს. ეს პური მეორე წლამდე ეგრე უნდა დებულიყო იქა, მაგასაც თავისი აზრი ჰქონდა.

კევრზე ჯდომა ერთადერთი საქმე იყო, ბალღებს სული რო გვეცანცქლებოდა და უფროსებიც არ გვიშლიდნენ. გვიშლიდნენ კი არა, გვაქეზებდნენ კიდეც, ეგრე ჩელხი ნაკლები დარჩებოდა და ხელმეორედ საწვალებელი აღარ გახდებოდა. ჰაი დედასა, გართობისათვინ ვინ მოგვაცლიდა, ჩვენთვინ თამაშიც შრომა იყო, მაგრამ ეგეთი გარჯა ძალით მოგონილ და თითიდან გამოწოვილ დროსტარებას მაინცა სჯობდა. თუ ცა კეთილი თვალით გადმოგვხედავდა და დარი ხელს შეგვიწყობდა, კალოს კი დროულად გამოვიყვანდით ხოლმე, მაგრამ მარტო გალეწვა რო არა კმაროდა, განიავებაც რო უნდოდა! ზოგჯერ იმისთანა უხეირო ამინდს დაიჭერდა, ფოთოლი რო ფოთოლია, ისიც არ გატოკდებოდა. გაძაღლორდებოდა საქმე, უნდა მჯდარიყავი გულხელდაკრეფილი და ნიავისათვინ გელოდნა. დაიშრიტებოდა დღე და იშრიტებოდა გულიც, ეხლა უკვე შუაღამის იმედით უნდა ყოფილიყვნენ და თვალი ლეკიმთისკენა სჭეროდათ, იქნება უკუღმა ნიავი მაინც ამოვარდესო.

ბალღებს ეს დროც გვიყვარდა. სხვა საქმე არა გვქონდა რა არც ჩვენ და არც პაპას, წამოვუგორდებოდით აქეთ-იქიდან და შენი არ იყოს, მოსვენებას არ ვაძლევდით, გულს ვუწყალებდით, გინდა თუ არა, რამე მოგვიყევიო. მე შენ გეტყვი, ეხლანდელი ყმაწვილებივით ათ-ათი აღმზრდელი და დამრიგებელი გვედგა თავზე, ჩვენი სკოლაც ის იყო და გიმნაზიაც, ოსტატიცა და მასწავლებელიც, სხვას ვის ეცალა, სხვას ვის რა უნდა ესწავლებინა ჩვენთვინ. ჰოდა, ამიტომ ბევრი რამე პაპის მონაყოლზე ეკიდა: იმით უნდა დავზრდილიყავით, კაცობა და ადამიანობა იმისგან უნდა შეგვეთვისებინა. ისიც გვიყვებოდა ამ მთისას და იმ ბარისას, ძველსა და ახალს, გაგონილსა და გამოგონილს...

ეტყობა, მოხუცს ლაპარაკის დაწყება უჭირდა, თორემ თანდათან ენა რომ გაიტეხინა და თხრობის ეშხში შევიდა, ბიჭის თხოვნა და ხვეწნა-მუდარა აღარაფერში სჭირდება, ხალისიანად ჰყვება, ის კი არა, შიგადაშიგ მჭევრობასა და ენამზეობასაც ცდილობს.

— ეს ამბავიც პაპაჩემისაგან გამიგონია, შენზე პატარა თუ არა, დიდი ნამდვილად არ ვიქნებოდი მაშინ.

ძველად თურმე საინგილოში ორი მეგობარი ცხოვრობდა, ორი ციხოვანი აზნაური გოჩიტა და ბარამი. ისეთი ვაჟკაცები იყვნენ, იტყოდი, ნეტავი თვალი მომცა და მაყურებინაო. ხასიათი ხო — კიდევ უფრო უკეთესები. ერთმანეთს შეზრდილები და ერთმანეთის ჭირ-ლხინის მოზიარები უერთმანეთოდ არ ჩაიდებდნენ პირში ლუკმას. ციხეებიც პირისპირ ედგათ ერთ ხეობაში და პირველებიც ისინი ხვდებოდნენ საქართველოსაკენ დაძრულ ურჯულოებს. ბევრ მტერს აუტირეს დედა, ბევრს გაუშალეს მიწის ლოგინი. მართლაც დიდი სახელი დაიგდეს მთელ ქვეყანაში და მეფისაც დიდი წყალობა დაიმსახურეს. მაგრამ ვინ მიხვდება, ვის რა განსაცდელს უმზადებს, ვის რა გამოცდას უწყობს ეს ცოდვიანი წუთისოფელი! გავიდა ხანი და მოხდა ეშმაკის გასახარი საქმე — ორივეს ერთი ქალი შეუყვარდათ. გოჩიტასაც და ბარამსაც გაიბზარა გაუბზარავი ძმობა, აიმღვრა აუმღვრეველი გული. ამ სიყვარულმა რა ცეცხლსა და სატანჯველში გამოატარა ორივე, არავინ იცის, იმას კი ამბობენ, ბარამმა ვერ გაუძლო სატანის საცდურს, საშინელი ცოდვა წამოიკიდა და ქალის გულისათვის მეგობარი გაწირაო. ერთხელაც როცა ურჯულო ისევ დაიძრა საქართველოსკენ ჩვენს მოსათხრელ-ამოსაძირკვად, პირველები ძველებურად გოჩიტა და ბარამი შეეგებნენ მომხდურს, შუა ბრძოლაში ბარამმა რაღაცა მოიმიზეზა და თავის რაზმიანად ზურგი შეაქცია მტერს, მხარი ჩამოაცალა და სიკვდილს პირისპირ შეატოვა ძმადნაფიცი. მაინც იმარჯვა გოჩიტამ, დიდხანს აკავებდა მტერს, მერე როგორც იქნა დაუსხლტა დუშმანს და თავის შეთხელებული გუნდით სამშვიდობოზე გამოაღწია. ამასობაში მეფემაც მოასწრო ჯარის შეკრება და მომზადებული დახვდა ჩვენი სისხლით გაუმაძღარ ურჯულოს.

მეგობრის ღალატზე, მართალია გოჩიტას თვითონ არსად არაფერი დასცდენია, მაგრამ სხვებსაც ხომ ვერ აუკრავდა პირსა, ეგეც არ იყოს, ამქვეყნად ცოდვა მაინც არ დაიმალება, შემსწრე თუ არავინ გადარჩა, ნარი ამბავს წაიღებს. გაუგეს ბარამს თავისი ავკაცობის ამბავი, ჩაავლეს ხელი და წააყენეს ხელმწიფის კარის სამსჯავროზე. მეგობრის მოღალატეს ვინ დაინდობს, ან რა დასანდობია და მეფემაც არაწმინდის გზაზე შემდგარს

თვალების დათხრა მიუსაჯა. მაშინ წამოდგა თურმე გოჩიტა, მეფეს მუხლი მოუყარა და შეევედრა:

— დიდო მეფეო, შენც იცი და აქ მსხდარმა დიდებულებმაც, რომ მე და ბარამი ერთად დავიზარდენით. რაც ამქვეყნად დავჩნდით, იმის მერე ტოლ-სწორად ვინაწილებდით გაჭირვებასა და ვაებას, სიხარულსა და ლხენას. თანაბრად ვიყოფდით ჩვენი მამულის მტრებთან ბრძოლაში მოპოვებულ სახელსაცა და ალაფსაც, რადგან ბავშვობიდანვე ეგეთი ფიცი გვქონდა მიცემული ერთმანეთისათვინ. შენი მუხლების ჭირიმე, იმ ფიცისათვინ ნურც ეხლა მაღალატებინებ და ეს დღევანდელი სასჯელი შუაზე გაგვიყავიო.

— ე! ეგ როგორაო, პაპავ?— უკვირს ბიჭს, — რათაო?

— როგორაო და ეგრეო. — იცინის მოხუცი. — კაცმა თუ მეგობრობის ფასი იცის, ეს არ გაუკვირდება.

— მე ვიცი, მე და გუჯა მაგარი მეგობრები ვართ.—ეხლა კი შეეტყო ბიჭს, რომ ძალიან პატარაა, ჯერ ისევ გულმართალი და უზაკველი.

— ეგ ვინ არ იცის, კაცო!

— მერე?

— რა მერე?

— გაუყვია მეფეს სასჯელი?

— ეგ აღარ არის მთავარი...

— ჰო, არ არის. — ეთანხმება ბიჭი. — პაპავ, მე გუჯას არ ვუღალატებ.

— ვიცი, კაცო, განა არა, გუჯა კი გიღალატებს?! ეგ წინათ იყო, თორემ ეხლა ერთმანეთს ვიღა ღალატობს, — ეღიმება მოხუცს — ან ვიღას რაში სჭირდება ერთმანეთის მუხთლობა და გაუტანლობა. შენ როცა გაიზრდები, მაშინ კიდე ღალატის სახსენებელიც აღარსად იქნება.

მოხუცი ღუმელს გრძელი მაშით გამოუჩხრეკავს, მერე ერთ-ორ ნაჭერ შეშასაც შეუკეთებს, ვალმოხდილი მიწვება ცხვრის ტყავებზე და აქაურობას ისევ გაშორდება. თუმცა უკვე იმასაცა ხვდება, რომ სულ მალე უფრო შორს, ძალიან შორს მოუწევს წასვლა. იქ თან ვერაფერს წაიყოლებს და რომ წაიყოლოს კიდეც — არაფერში გამოადგება. ჰოდა, ეხლა ამიტომ არის ეგეთი კმაყოფილი თავის თავისაც და დღევანდელი დღისაც, რომ ჰგონია, შვილიშვილს ისეთი რაღაცა უანდერძა, ისეთი რაღაცა დაუტოვა, რის ბოძებასაც, ვინ იცის, სხვები მოიფიქრებდნენ თუ არა...

და ამ ყველაფერსაც რომ თავი დავანებოთ, ცოტახნით ხომ გაართო, ცოტახნით ხომ შეიყოლია ბიჭი. ეხლა რაღა უჭირს, ეხლა სადაც არის იმის დედ-მამაც მოვა.

**ანაიდა ბოსტანჯიანი**

# ბინაქუცები

* * *

ძველი მგოსნები ალვას ქალის ტანს ადარებდნენ. დავქალწულდი და მეც არაერთხელ გამაწითლა ამ ქათინაურმა. მაგრამ მხოლოდ დღეს, როცა ჩემი ორი გოგონას კაბები ისე შრიალებენ, როგორც ფოთლები, გავიგე ამ სიტყვების აზრი და სარკესთან ჩემი პირველი თეთრი თმის დასამალავად მისულმა აღმოვაჩინე, რომ თურმე ხე ვარ. რომ ამოვზრდილვარ შენი ტანიდან ფესვებით შენს გულს ჩაჭიდებული, შენი ცრემლით, შენი სისხლით ვსაზრდოობდი და არც ვიცოდი.

კვირტებად სკდება ყველა ეჭვი ჩემს თხელ ტოტებზე. უცხო ფიქრობს, რომ ვყვავილობ თავმომწონედ და უზრუნველად, მე კი ჩემი ფეხის ხმაც მაკრთობს და ყვავილს ვანთებ, რომ გაგაფრთხილო. წვიმის მონოტონური ხმა მალვით მოსული მტერი მგონია და თვალებად ვიქცევი ხოლმე, სანამ მასში ჩემს კეთილ მეგობარს შევიცნობ!

ყველა ქუხილი, ყველა ელვა...

ნუ გამამტყუნებთ, ჩემს საშშობლოს ხომ საუკუნეების მანძილზე გვერდს უვლიდა ბედნიერება და ყოველი კაცი, შენს გულმკერდზე ფეხის დამდგმელი, კარგს არ გიქადდა, ჩემო მშობელო.

მე კი ყველა ტოტი და ყველა ფოთოლი ზეციასკენ მაქვს აღმართული, შენთვის მშვიდობის შესათხოვად. შეგიძლია ბოლომდე მენდო, საფრთხისთანავე კოშკთა თავებზე ჩემი ტოტები აბრიალდება, და გაგაფრთხილებს, ჩემო სამშობლოვ!

## წვიმა

შენ ახლა გძინავს და დაქანცულს, ალბათ, არ გესმის, სწორედ შენსავით ფეხაკრეფით, როგორ აბიჯებს ყმაწვილი წვიმა ჩვენი სახლის სახურავებზე, როგორც კიბის საფეხურებზე.

შენ ახლა გძინავს და ვერ ხედავ ალვას, რომელიც ჩვენი ფანჯრის წინ დგას. ის კი ათრთოლდა სიახლოვით თავბრუდასხმული ზუსტად ისევე, მე რომ მომდის შენს მოლოდინში.

დაფარულია ჩვენი ეზოს ზეცა ღრუბლებით, როგორც ფარდებით შეყვარებულთა ჩუმი სარკმელი და ვიცი ახლა ვარსკვლავებს და მეჭორე მთვარეს, ცნობისმოყვარე მეზობლებივით ერთი სული აქვთ, ფარდის იქით რა ხდება ნახონ.

მე ვიცი ყველა ქალის მწარე გამოცდილებით, რომ ამაოა ფეხაკრეფით კიბის ამოვლა და ფანჯარაზე მძიმე ფარდის ჩამოფარებაც. რადგან დილას მზე მობრძანდება და ამდენი ხნის გვალვის შემდეგ ძლივს დამშვიდებულ, ბედნიერ და მშვენიერ ალვას ის ათას ყურზე აღმოუჩენს და ყველას თვალწინ გამოაბრწყინებს საყურეებს ბრილიანტისას — შეყვარებული წვიმის სახსოვარს.

## ქვები

წყალი — ცრემლია ცის, ქვა — მიწის ცრემლია.

ო, სომხეთო, ქვების ქვეყანავ, მთელმა შენმა გულისტკივილმა ქვად გამოყონა შენი მწვანე თვალებიდან. შენი ცრემლებით ვაგებდით ტაძრებს, სადაც შენზე მეტს ვლოცულობდით, ვიდრე ღმერთზე.

შენს ცრემლში ვცხოვრობდით. შენ ცრემლზე ვკვეთდით ჩვენს ვაებას ერკათაგირით. შენი ცრემლებით აგებული ციხე-კოშკები გვიცავდა მტრისგან და როცა თვალი ცოდვილთ ცისკენ გაგვექცეოდა, ისევ შენს ცრემლზე წამოკრული ფეხი გვაბრუნებდა დედამიწაზე.

შურით უმზერდნენ უცხოელნი ჩემს თხელ თითზე მორგებულ ბეჭედს და არც ეჭვობდნენ, რომ მასში ახლა, ქვეყნად ყველაზე ძვირფასი განძი — შენი წახნაგა ცრემლი ბრჭყვიალებს. შენს მოედნებზე მდუმარედ დგანან შენს ბედზე დარდით ქვადქცეული გოლიათები.

და მე სუსტმა და გაუბედავმა შენმა ასულმა რაღა ვინატრო იმაზე მეტი, რომ მარგუნო ბედნიერება — ერის წინაშე პირნათელ და ვალმოხდილ ჩემს მკერდს დაეცეს შენი ცრემლი — საფლავის ლოდი.

## რეკვიემი ოქროსთმიანი ბავშვობის გამო

ვინ იძახოდა: „ოქროსთმიანო, სარკმელიდან გადმოიხედე“... და, როდესაც გადმოვიხედე, ჩემი სარკმლის ქვეშ შეკრებილებმა ოქროსთმიანი ჩემი ბავშვობა ისე ხარბად დაინაწილეთ, ვით უპოვრებმა — დედოფლის მიერ აივნიდან გადმოფანტული ოქროს მონეტები.

და მე ვიგრძენი წრეგადასული სიყვარული და შიში თქვენდამი.

„ოქროსთმიანო, ამ სარკმლიდან გადმოიხარე“. ნეტავ ვინაა ჩემს ქალაქში, ასეთი ირლანდიური აქცენტით რომ მიხმობს ქუჩიდან, ვით უაილდის ზღაპრული პრინცი. თუმცა ვიცი, რომ ამ გადმოხრას შეიძლება მოჰყვეს დაცემა — მაინც ვერ შევძლებ ცთუნებისგან თავშეკავებას...

და აი მზისსხივდაკარგული ჩანჩქერივით გადმოხეთქა ჩემმა გაშლილმა თმებმა სარკმლიდან.

თქვენ ყველანი შემკრთალები უკუიქეცით და მხოლოდ იგი, ჩემი რჩეული, მოჰყვება ჩემს თმებს სარკმლისაკენ, როგორც სუროთი დაფარულ კედელს, რათა წამიერი თავდავიწყების საფასურად თან წაიღოს ჩემი საწყალი ყმაწვილქალობა.

მიყვარხართ-მეთქი, რომ გითხარით, როდი გატყუებთ — თქვენს თვალებში სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემი ბავშვობა. სათითაოდ დამინაწილეთ და ახლა უკვე იმდენი ვარ —რამდენიც თქვენ ხართ და მე თქვენს ხანგრძლივ სიცოცხლეზე ვილოცო უნდა, რათა არ მოკვდეს რომელიმე თქვენთაგანთან ერთად თქვენი წილი ჩემი ბავშვობის.

მეშინია-მეთქი — არც ამას ვმალავ, რადგან იქნება რომელიმემ ისურვოს ჩემი ბავშვობის შელამაზება ან სახეშეცვლა, ან იქნებ სულაც ავი ზრახვით დაისაკუთრა და გამოკეტა მეხსიერების ჯურღმულებში.

მე გევედრებით, ნურას ავნებთ.

ჩემი სატრფო კი სადაცაა ფანჯარაში შემოცოცდება.

„ოქროსთმიანო, გადმოიფინე სარკმლიდან თმები“. ახლა უკვე სხვათა საცდურად მოსდებია ეს ხმა ქუჩებს და ჩემგან შველას ნუ ელოდებით — კარგად ვიცი, რომც გირჩიოთ, არ დამიჯერებს ოქროსთმიანი თქვენი ბავშვობა და, სულერთია, სარკმლიდან გადმოიხრებით.

სომხურიდან თარგმნა
**მიხეილ ჟურდიანმა.**

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები



ნოდარ მამრაში — თბილისის საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის“ სათაო ქარხანა „მიკროძრავის“ გადამრთველი.



ივანე ტარკილი — გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

ელგუჯა დვალი — თბილისის ავიასაწარმოს თვითმფრინავ „ტუ-154“-ის მეორე პილოტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი გუგუშვილი — ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის დოკერი — ამწის მემანქანე.

# სიყვარულით გამთბარი მხატვრობა

უხმაუროა მხატვრის ხელოვნება: ჩუმი წვა საოცნებო ფერების მოსახელთებლად, ფუნჯის დაუთვლელი მონასმი, ურიცხვი ხაზი იმ ერთის — ყველაზე ზუსტისა და მშვენიერის შესაქმნელად. მხატვრის შრომის სირთულე რომ დაახასიათო, ალბათ, თვითონ უნდა იყო მხატვარი, გარეშე თვალისათვის მხოლოდ საგრძნობი თუ იქნება ამ სირთულის არსებობა. იქ კი, რასაც მხატვრის სახელოსნო ჰქვია, დამქანცველი შრომა ბატონობს. თავისებურია ეს შრომა, ისევე თავისებური, როგორც თავად მხატვრობა.

შრომა და ნიჭი ერთია. ამ შრომის შედეგი ხალხს ეკუთვნის, ცხადია, მაგრამ ძნელია, დაანახვო ყველას, ვისთვისაც ქმნიდი: ყველგან ვერ მიიტან შენს ტილოებს, ყველა ვერ მოხვდება პერსონალურ გამოფენაზე. ვერც მხატვრის ნამუშევართა ალბომები გასწვდება საქმეს.

ეტყობა, ბევრს უნდა ვფიქრობდეთ მხატვრობაზე, ეტყობა ბევრს უნდა ვწერდეთ მასზე, ხელს ვუწყობდეთ მხატვრისა და მისი მკითხველის (დიახ, დამთვალიერებელი იგივე მკითხველია მხატვრის ნაწარმოებისა) დაახლოებას.

ეს ფიქრები აღმიძრა დავით დუნდუას გამოვლილმა გზამ. სახვითი ხელოვნების ტერმინებზე თავს არ გამოვიდებ და პირდაპირ განვაცხადებ, რომ დავით დუნდუა ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, წიგნის მხატვარია. მისი შემოქმედების სრული დახასიათების პრეტენზია აბა საიდან მექნება, ეს სპეციალისტების საქმეა. მე კი, როგორც მწერალს, დიდი ხნის ნაცნობობა მაკავშირებს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მთავარ მხატვართან.

საქმეში ჩაუხედავი კაცისათვის წიგნის მხატვრობა, შესაძლოა, იოლი საქმეც კი ჩანდეს. მხატვრისათვის სინამდვილეში, ალბათ, არც არსებობს იმაზე უფრო მძიმე სამუშაო, ვიდრე წიგნის მხატვრული გაფორმებაა. ეს არის საქმე, რომელიც პირდაპირ აიძულებს მხატვარს შეზღუდოს თავისი ფანტაზია, შესაძლებლობანი, „სხვის ნებაზე“ იაროს. მე ვგულისხმობ წიგნის მხატვართა მარადიულ დუელს პოლიგრაფიასთან.

პოლიგრაფიას თავისი პრობლემები აქვს, იმდენად დიდი, რომ არ შეიძლება, კაცმა არ უთანაგრძნო პოლიგრაფიის ყველა მუშაკს, ვისი ფიქრიც იქითკენაა მიმართული, რომ ქართული წიგნი ლამაზი და მიმზიდველი იყოს გარეგნულად, საიმედოდ აიკინძოს და შეიკრას.

ცხადია, აქ პოლიგრაფიის საჭირბოროტო საკითხებზე საუბარს ვერ გამოვუდგებით. ერთი რამ კი აშკარაა: წიგნის მხატვარი თითქმის ყოველთვის დაზარალებულია, რადგან ჩვენი პოლიგრაფიის შესაძლებლობანი მეტისმეტად შეზღუდულია და თითქმის არარად აქცევს ხოლმე მხატვრის თავდაპირველ ჩანაფიქრს. მაშინაც კი, როდესაც წიგნი ლამაზი და მიმზიდველი გამოდის, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს მხატვრისა და პოლიგრაფისტების არა მარტო შეთანხმებული, თავდადებული შრომის ნაყოფიცაა.

ასე დღენიადაგ იბრძვის დავით დუნდუა, რ[illegible] „საბჭოთა საქართველოს“ გამოცემული წიგნი, რაც [illegible]ილება უკეთესი იყოს, მოინახოს ის ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც ნაკლებ დაზარალდება სტამბაში, და უფრო სრულად უპასუხებს მხატვრის ინტერესებსაცა და პოლიგრაფიის კანონებსაც.

ქართველი მკითხველი უთუოდ შეამჩნევდა, რომ „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემულ წიგნებს აერთიანებს ერთი მხატვრის თვალი, ყოველ შემთხვევაში, მის საუკეთესო წიგნებს მაინც, რომელთა რიცხვი, საბედნიეროდ, არც თუ ისე ცოტაა. თაროებს უმშვენებს ქართველ მკითხველს: „ვეფხისტყაოსანი“, ქართული პროზის მრავალტომეული, ქართული პოეზიის ტომები, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის თხზულებანი, სასაჩუქრო გამოცემები, მსოფლიო ლიტერატურის ოთხმოცტომეული, თანამედროვე ქართველი მწერლების ნაწარმოებები...

მათი უმრავლესობა თავად დავით დუნდუამ გააფორმა, მისი ხელწერა, მისი სტილი უკვე ნაცნობია ჩვენთვის. მაღალი კულტურა, დახვეწილი გემოვნება, სიზუსტე. ხაზების სიმკაცრე და სილბო ერთმანეთსაა შერწყმული.

დიდი ხანია, მისი ხელწერა სხვებისაგან გამოირჩევა. უკვე აღარ გვჭირდება საგანგებოდ ჩახედვა წიგნში მხატვრის ვინაობის დასადგენად. ამდენი გაუკეთებია და მაინც არ განელებია სურვილი ახლის მიგნებისა, იბრძვის შტამპის წინააღმდეგ. წიგნის მხატვართათვის კი მეტად ძნელია შტამპთან ბრძოლა. ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო ისედაც ფრთაშეკვეცილია მათი ფანტაზია, ისედაც განსაზღვრულია თითქოს ხაზებისა და ფერების რიცხვიც კი.

თავის საქმიანობაში დავით დუნდუას წიგნის ცოდნა უწყობს ხელს. ყოველი წიგნის მხატვრობას იგი არსებითი შინაარსის გათვალისწინებით წყვეტს. ცხადია, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ამ ურყევი კანონის ერთგული ყველა ვერ რჩება ბოლომდე.

ჩემი წიგნის „გიორგი საკაძის პიროვნების“ გაფორმებისას ვიგრძენი, რა ღრმად ჩაწვდა იგი მის დედააზრს, XVII საუკუნის სულს, ეპოქის ვითარებას, როგორი წონასწორობა დამყარდა წიგნის დედააზრსა და გრაფიკულ ხაზებს შორის.

ქართული მწერლობა უსაზღვროდ მადლიერია მისი, თუმცა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დავით დუნდუა ჩვენი მწერლური ოჯახის წევრია. შინაური კაცია, ვინც ასე მწვავედ განიცდის ქართველი მწერლის ავ-კარგს, ბავშვივით გახარებულია, როდესაც ქართული წიგნი სახელს მოიტანს.

ვუსურვებ შესანიშნავ მხატვარსა და ძვირფას მეგობარს ახალ-ახალ გამარჯვებებს. ბევრი წიგნი გვენახოს კიდევ, რომელსაც დაამშვენებს დიდი სიყვარულით გამთბარი მისი მხატვრობა.

**ჯანსუღ ღვინჯილია**

დავით დუნდუა



ეროვნული ბიბლიოთეკა





ᲛᲔᲤᲔᲗᲘᲡ
ᲬᲐᲛᲘᲗᲘ
I


ᲛᲔᲤᲔᲗᲘᲡ
ᲬᲐᲛᲘᲗᲘ
ᲛᲔᲤᲔᲗᲘᲡ
ᲬᲐᲛᲘᲗᲘ


ᲛᲔᲤᲔᲗᲘᲡ
ᲬᲐᲛᲘᲗᲘ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ხალხური სიბრძნე

ალექსანდრა პისტუნოვა



დოდო ვადაჭკორია

„რომ მხოლოდ მზისა ციაგი
მას დილის ნამსა იშრობდეს
და ერთად შესხივებულნი
შვებას მოჰფენდნენ სიცოცხლეს“... —

პასტერნაკის მიერ თარგმნილი ბარათაშვილის ეს სიტყვები ჩამესმოდა ყურში ზამთრის იმ დილას... დიახ, კახეთში ნამდვილი ზამთარი იდგა, ათოვდა მიწიდან ოდნავ ამოწვერილ ენძელებს. ლეონიძის სახლ-მუზეუმის აივნის წინ ზოგი ბავშვი ჩაცუცქულიყო, ზოგნიც წაქცეულ ხეებსა და ღობეებზე ჩამომსხდარიყვნენ და მთელი გულისყურით ისმენდნენ ცისფერთვალება ჭაღარა ქალის ხმადაბალ საუბარს... ქართული სიტყვა აქამდე ბობოქარი სადღეგრძელოების, კამათის ან სიმღერის დროს თუ მომესმინა, მარტის იმ დღეს კი მე პირველად ვიგრძენი, თუ რაოდენ მტრედის ღუღუნივით დამამშვიდებელი და ალერსიანი ყოფილა იგი.

აი ამის შემდეგ დავუმეგობრდი ქართველი ბავშვებისათვის საყვარელ მწერალს — დოდო ვადაჭკორიას. ნაზად შეეცქეროდი მაშინ მოჯადოებულ თვალებში მის მსმენელებს — ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ასაკის ბავშვებს — „პატარა კახის“ შთამომავლებს. ქალბატონი დოდო მათ მოუთხრობდა კეთილ, მამაც, დაუზარელ გოგონაზე, რომელსაც ნათია ერქვა, მის მეგობრობაზე ცხოველებთან და ტყესთან, ფრინველებთან და მთებთან.

დოდო ვადაჭკორიას ზღაპრების წიგნი „ბროლის ციგა“ მე შემდეგ წავიკითხე. აქედან შევიტყვე იმ შორეული მარტის დღის საუცხოო ამბები: კახელი ბავშვები ამ ზღაპრებში საკუთარ თავს ხედავდნენ, გრძნობდნენ თავიანთ დამოკიდებულებას ბუნების სამყაროსთან და ადამიანებთან, სამშობლოსა და ქართულ ეროვნულ ტრადიციებთან, მის ზნე-ჩვეულებებს, უფლებებს, კანონებს. ისინი საკუთარ თავზე ისმენდნენ — ისინი ასეთები დარჩებიან მუდამ. ზღაპარი კი იყო უბრალო, კეთილი, მაგრამ... მოკლე. მცირე ზღაპარი დიდ სიმართლეზე. და ბავშვები ხმამაღლა გაიძახოდნენ: „მერე, დეიდა დოდო! მერე, მერე...“

მათი ეს სიტყვები მე პოეტმა ხუტა ბერულავამ მითარგმნა. ის ლეონიძის სახლის აივანზე დოდოს გვერდით იდგა, მაგრამ ეტყობოდა თვითონაც საკუთარი დათოვლილი ბავშვობის მინდვრებიდან იცქირებოდა. ხომ ყველასათვის ცნობილია, რომ პოეტები მუდამ ბავშვებად რჩებიან.

„მერე, განაგრძეთ, კიდევ განაგრძეთ!“ აი ეს არის მთავარი, რის მოსმენას ოცნებობს თავისი მკითხველისგან საბავშვო მწერალი. მთავარია, მაშინ იკითხოს ბავშვმა, როცა იტაცებს წასაკითხი. მაგრამ იმიტომ კი არ კითხულობს, რომ აუცილებელია და სასარგებლოა მისთვის, კითხულობს სიამოვნებით და ხედავს ჭეშმარიტებას. „ზღაპარი და ჭეშმარიტება?“ იკითხავს ვიღაც ფრიად მომზადებული თეორეტიკოსი. დიახ, დიახ, ზღაპარშიც, სადაც მხოლოდ სიუჟეტია ფანტასტიკური, დეტალები, ხასიათები, საგნები, აუცილებლად ზუსტად ყოფითია. ეს ბოლო სიტყვა შეცდომა როდია. ზღაპარს არ შეუძლია ნატურალისტურად ასახოს ცხოვრება, მაგრამ აუცილებლად აღადგენს ყოფა-ცხოვრებას, მის პოეტურ და მარადიულ ფორმებს, მის ჭეშმარიტებებს.

„...კაჭკაჭი აფრინდა ხეზე, მერე მიწაზე ქვასავით დაეშვა. — რაო, კაჭკაჭო, რა მოგვიდაო? — ჩაიმუხლა ნათიამ. — ბარტყი, ჩემი ბარტყი. ერთი ბარტყი აკლია ბუდეს! — მოთქვამდა კაჭკაჭი. შეწუხდნენ მეგობრები... ერთიც ვნახოთ, ბუჩქებში რაღაცამ გაიშლიგინა. მერე სიბნელეში ორი ცეცხლოვანი წერტილი აინთო და ჩაქრა, აინთო და ჩაქრა. — კლაკუნაა, კლაკუნაო! ახმაურდნენ ცხოველები... არავინ იცოდა, იპოვა და შეეჭამა კლაკუნამ პატარა კაჭკაჭი, თუ ვერ იპოვა და სადმე ბალახებში იჯდა მობუზული... ნათიამ გალოპილი ხის ძირას ბალახებში დაუწყო ძებნა ბარტყს, მაგრამ სწორედ ამ დროს მთვარეს ღრუბელი გადაეფარა და ჩამობნელდა. — ვერაფერს ვხედავ, ჩემო კაჭკაჭო, ცოტა მოიცა, გადაეყაროს მთვარეს ღრუბელიო, — თქვა ნათიამ. იმავ წამს მუხის ძირთან ათასობით ციცინათელა მოფრინდა და ღამის წყვდიადი დღესავით გაანათა. ჩოქვით ძლივს მიიკვლევდა ბუძგურში გზას ნათია, ხელებს აფათურებდა და, ერთიც ვნახოთ, მობუზული, ერთი ბეწო კაჭკაჭი შეამჩნია ნეშომპალაში ჩამჯდარი. ბარტყი ცახცახებდა. ტყის ნამისაგან სულმთლად გაწუწული გაბრდღვნილსა ჰგავდა... ძლივს გამოიტანა ნათიამ თავი უკან. თან ბარტყიც გამოიყვანა და კაჭკაჭს მიუსვა. ჩიტი მოსწყდა მიწას და აფრინდა. ბარტყი ძირს დატოვა. ძალიან მაღლა ჰქონდა თურმე ბუდე კაჭკაჭს. ნათია მიუხვდა ჩიტს გულისტკივილს, იცოდა, ბარტყს ვერ ააფრენდა იმ სიმაღლეზე. ჯერ თვალით გაზომა ხე, მერე სველი ბარტყი უბეში ჩაისვა და შეუდგა ხეზე ასვლას... როგორც იყო. მიაღწია ბუდეს ნათიამ და ბარტყი შიგ ჩასვა... ნათია მშვიდობიანად ჩამოვიდა ძირს. კაჭკაჭიც თან ჩამოჰყვა, რამდენჯერმე თავს შემოევლო. მერე ყველაზე ლამაზი, ჭრელი ფრთა ნისკარტით გამოიძრო და თმაში გაუკეთა, დაგშვენდებაო“...

ასე ვრცლად იმიტომ მოვიყვანეთ დოდო ვადაჭკორიას ციტატი, რომ გვინდა თქვენც ჩვენთან ერთად აღმოჩნდეთ ზაფხულის იმ სურნელოვან ღამეს კახეთის მუხნარში, რათა თუნდაც რამდენიმე წუთი გავატაროთ კეთილი ადამიანისთვის მუდამ გულღია საქართველოს მდიდარი ბუნების სამყაროში. ვადაჭკორიას ზღაპრებში ლეგენდარულია ადამიანთან მოლაპარაკე გარეული ცხოველები და შედარებით ნაკლებ ლეგენდარული ის ადამიანი, რომელიც მათ შველით. მაგრამ ზღაპარი საუკუნეებიდან განამტკიცებდა საუკეთესოს: უძლურისადმი დახმარება და მისი დაცვა, წინააღმდეგობათა გადალახვა, სიკეთის დამახსოვრება! აქ ლეგენდარულია კიდევ ბუნებრიობა, უბრალოება, თხრობის კონკრეტულობა, ლეგენდარულია, ვინაიდან ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს იმ ხალხურ სიტყვიერებას, სადაც სათავეს იღებენ დოდო ვადაჭკორიას ზღაპრები.

მწერალი მარტო ბავშვებს როდი მიმართავს.

მისი ახალი ავტობიოგრაფიული მოთხრობა „ერთი კალთა სიყვარული“ მოიცავს ბავშვობის ყველაზე უფრო „რთულად შესათავსებელ“ — ეპოქას — ეს არის ორიდან ხუთამდე, ხუთიდან რვამდე, რვიდან — ყრმობამდე, პირდაპირ ჭაბუკობის კარამდე. როცა ამ წიგნს ვკითხულობდი, გამახსენდა დიდი რუსი მხატვრის პეტროვ-ვოდკინის მეტად ზუსტი განსაზღვრა. ისიც წერდა თავის ბავშვობაზე შესანიშნავ მოთხრობაში „ხლინოვსკ“ და მან სახელი მოუძებნა იმ საუკეთესოს ბავშვობის წლების ატმოსფეროში, რომელიც შემდგომ განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას. კუზმა სერგის ძემ ასახა ბავშვის ბედნიერების ატმოსფერო და მოგვცა მრავლობით რიცხვში სიტყვა „მყუდროება“. რომელსაც ეს ფორმა თითქოს არ გააჩნდა — „მყუდროებანი“. ამ სიტყვის შინაარსი ძალიან ფართოა, იგი მოიცავს ბავშვის დამოკიდებულებას ოჯახთან, მეზობლებთან, საბავშვო ბაღთან, წიგნებთან, ნივთებთან და შინაურ ცხოველებთან. „მყუდროებანი“ ბავშვის თავდაცვაა, ძალის, სიმამაცის და შრომისმოყვარეობის პირობაა მოზრდილ ასაკში.

ვადაჭკორია იუმორითა და აზარტით აგვიწერს პატარა გოგონას — ჯანიკოს, მის სამართლიან გულს, მის ნიჭს — უყვარდეს და უგებდეს ახლობლებს, შორეულებს, უცხოებს; მის ცელქობასა და შეუპოვრობას. „ლამაზია ჩემი სოფელი“, — ხშირად იმეორებს ჯანიკო და ჩვენც ცხადად ვხედავთ მდელოს, სადაც იზრდებიან ლეღვის ხეები, ხევის წყალს, რომელზედაც ირწევა ჩელტის ხიდი, სოფელს, ზამთრის ცივ და ზაფხულის ცხელ დღეებში რომ იცავენ მწვანით მოსილი მაღალი მთები.

ვადაჭკორია ბიანკისა და პრიშვინს გვაგონებს თავისი საოცრად მსუბუქი შეხებით ველურ, მაგრამ ადამიანის მიერ მოშინაურებულ ბუნების სამყაროსთან. აქ ნაჩვენებია ხეებისა და ყვავილების ურთიერთდამოკიდებულება; კატა, რომელმაც სიკვდილს გადაარჩინა თეთრი ვირთაგვა, ირემი, რომელსაც მოტეხილ ფეხზე არტახი დაადეს და შინ მცხოვრები მონადირე ძაღლები, აქ დაღვრილია ფიროსმანის იდუმალი მთვარის შუქი, ასე შორეული და გამჭვირვალე, და ეს შუქი სიყვარულით ხატავს სამყაროს, დიდი ხნის წინათ დაკარგულს (წიგნის მოქმედება ხომ ოციან წლებში ხდება) და მარადიულს. დედის საშინაო ფეხსაცმელები და რეპროდუქტორის შავი ქაღალდის თეფში; მამის პატრონტაში, გარეული ღორის ტყავისაგან შეკერილი სანადირო ჩანთა, ბრეიმის ტომები, რომლებსაც უფროსი ძმა კითხულობს, ყველაზადებული, წიგნივით მოკეცილი შვრიის პური და სპილენძის ზარი საყვარელ სკოლაში, გაკვეთილის დაწყებისას რომ ჩამორეკავენ ხოლმე. აი აქ, „ერთ კალთა სიყვარულში“, დოდო ვადაჭკორია აგვიწერს ყოფა-ცხოვრებას მთელი თავისი არსითა და წვრილმანებით, მაგრამ გამთბარს ხსოვნით, მისი „ნათელი სითბოთი“. იგი კვლავ მიმართავს ცხოვრებას, აძლევს მას პეტროვ-ვოდკინის სიტყვის ფილოსოფიურ ულერადობას.

დოდო ვადაჭკორიას მყუდროება მკითხველს ანიჭებს ბედნიერების შეგრძნებას და რა გულდასაწყვეტია, რომ ილეჯიან წიგნის გვერდები. როგორ გინდა, რომ კვლავ ითევზაო მდინარე ხევისწყალში, ითამაშო „ჩილკა ჯოხი“, კიდევ და კიდევ მწყემსო თხები, დახრჩობას გადაარჩინო ლეკვები, იმგზავრო სიმინდის ფუჩეჩით დატვირთულმა ურმით, შესცქეროდე ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, ილია ჭავჭავაძის სახლ-კარს, ეხმარებოდე ექიმის მომლოდინე ავადმყოფებს.

„— თქვენი კარგი გამარჯობა, ხალხო! გამოსძახებდა ექიმი შეგროვილ ხალხს. ალბათ მეჩვენებოდა, თითქოს ამ ხალხს ერთი უზარმაზარი თვალი ჰქონდა და ამ ერთი საერთო, იმედის თვალით შეჰყურებდა ექიმს“.

დოდო ვადაჭკორია ძალდაუტანებლად და უბრალოდ ჰყვება შრომის, ზრუნვის, თანაგრძნობის, თავდადების შესახებ. „პატარა დედაკაცის“, როგორც ჯანიკოს ეძახიან, სულიერი ჩამოყალიბების, მისი მისწრაფების შესახებ, დაემსგავსოს მშვენიერ უფროსებს. ბებია რომ მოაგონდება, ჯანიკო მისი ფინჯნიდან სვამს მუქ ჩაის — ასეთი ჩაი უყვარდა ბებიას! — და ტუჩებზე იხუტებს ფინჯანის იმ ნაწილს, რომელსაც ბებიას ტუჩებმა საღებავი გაუფერმკრთალა. ის აღებს კომოდს, სადაც ბებია ტანსაცმელში კომშს აწყობდა და მის არომატს სუნთქავს...

თხრობის დეტალებში არის მისი პოეტური სინამდვილე. ხომ სიმართლეა ხახვის ფურცლით შეღებილი ქსოვილის ნაჭერიც, რომელიც პირველი პიონერული ყელსახვევი გახდა, და მონადირის პატარა ქალიშვილის ვოროშილოვისებური მსროლელის სიმარჯვეც. მაგრამ ნამდვილი ჭეშმარიტება ძევს დიდ და უძველეს აზრში, რომლითაც წიგნია გამსჭვალული: სიყვარული — ეს მუდმივი მოქმედება, საქციელია. ვინც და რაც უნდა გიყვარდეს, უნდა შეგეძლოს მათი დაცვა. აი რისთვის არის საჭირო სწავლა და შრომა.

მგონი, დოდო ვადაჭკორიას თავისი ახალი წიგნის ფურცლებზე ერთხელაც არ უხსენებია სიტყვა „სამშობლო,“ მაგრამ ხატება მისი არასდროს არ ქრება ნაწარმოებში. სამშობლო — ბოსტანი და მოხუცებია, ვენახი და პურის საცხობი ღუმელია, ოპერის თეატრი და „კუდიგორაა“, უნივერსიტეტი, სადაც მისი ძმა კოტე სწავლობს და თომას ეზოს ვაშლის ხეები. ამ დაპირისპირებასა და დიდისა და მცირის ურთიერთშერწყმაში ვითარდებოდა ქართული ლიტერატურა, კონკრეტულობის პოეტიკა. ამას ჩვენ ვხვდებით ორბელიანთან და ვაჟა-ფშაველასთან, თანამედროვე სიტყვის ოსტატებთან ნოდარ დუმბაძესა და ჭაბუა ამირეჯიბთან, ამას გრძნობ დოდო ვადაჭკორიას სათუთ შემოქმედებაშიც, ასე ახალგაზრდულად რომ შეხვდა თავის დაბადების 60 წლის თავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ესე საქმე მოურავმა“...

(მარტყოფის აჯანყების 360 წლისთავი)

**თამაზ ნატროშვილი**

**მარტყოფის აჯანყებას საპატიო და გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიის ღირსსახსოვარ მოვლენებს შორის. 1625 წლის 25 მარტს, მარტყოფის ველზე კიდევ ერთხელ დამტკიცდა ქართველი ხალხის გმირული სული, მისი დაუცხრომელი სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, მისი ერთგულება წინაპართა წმინდა ანდერძის წინაშე – შეენარჩუნებინა თავისი მეობა, არ გადაგვარებულიყო, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა დამპყრობთა უღლის გადასაგდებად და მომავალი საუკუნეებისათვის გადაეცა გაკვეთილი ღირსეული არსებობისა.**

**მარტყოფის აჯანყება, თავისი მნიშვნელობითა და შედეგებით, თამამად შეიძლება ამოუდგეს მხარში ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი საბრძოლო მატიანის ყველაზე დაუვიწყარ გამარჯვებებს, იქნება ეს დიდგორისა თუ ბახიანის ომი. ის გრანდიოზული გამარჯვებანი, მოპოვებული თანასწორ მეტოქესთან ჭიდილში, კანონზომიერი და ლოგიკური შედეგი იყო ერთიანი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური აღმავლობისა. ხოლო მარტყოფის აჯანყება წარმოადგენს ყოფნა-არყოფნის მიჯნამდე მისული ქვეყნის თავგანწირულ გაბრძოლებას და მოვკვაგონებს ბიბლიური დავითის შერკინებას უძლეველ და გოროზ გოლიათთან. ალბათ, ამიტომაც იმსახურებს სამართლიან განცვიფრებასა და აღტაცებას, როგორც თანამედროვეთა, ისე შთამომავალთა წინაშე. ქართველი მემატიანის მიერ დიდგორის ომზე თქმული „ძლევაი საკვირველი“ – არანაკლები, და ეგებ მეტი, უფლებითაც შეგვიძლია ვუწოდოთ მარტყოფის ომს. ბევრმა წყალმა ჩაიარა დიდგორისა და ბახიანის დროიდან მარტყოფამდე; მონღოლთა ბატონობის შედეგად საქართველოს მიწა-წყალზე ჩამომდგარი „დიდი ღამე“ სადაცაა უსასრულო ღამედ გადაიქცეოდა. ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული და მრავალგზის აოხრებული ქვეყანა სულს ღაფავდა და თავის გადარჩენაზე ფიქრობდა. XVI საუკუნიდან ორ მაპმადიანურ იმპერიას შორის მოქცეული საქართველო თითქოსდა უკვე განწირული იყო საიმისოდ, რომ აღგვილიყო პირისაგან მიწისა და გათქვეფილიყო ორივე მხრიდან მოწოლილ მაპმადიანურ ზღვაში.**

**მაგრამ მარტყოფის აჯანყებამ თვალნათლივ აჩვენა გალაღებულ დამპყრობელს, რომ კიდევ იზრდებოდნენ ალგეთს ლეკვები მგლისანი და მტრის ჯავრს არ შეჭამდნენ. ყველამ დაინახა და იგრძნო, მტერმაც და მოყვარემაც, რომ ქართველ ხალხს აღარ ეწერა „გათათრება“ თუ გადაშენება. იმედი, ნაღვერდალივით რომ ბუუტავდა მონობის წყვდიადში, თავისუფლების ჩირაღდნად აბრიალდა მარტყოფის ველზე 25 მარტს, ღვთისმშობლის ხარების დღეს. ცხადია, შემთხვევით არ აურჩევიათ აჯანყების დღედ ქრისტიანული დღესასწაულის დღე; სჯეროდათ, ხორცს შეასხამდნენ გამარჯვების რწმენას და მიულოცავდნენ დღესასწაულს იმ ქვეყანას, რომელიც ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად მიაჩნდათ. მიულოცავდნენ და ეტყოდნენ: „გიხაროდეს, მიმადლებულო. უფალია შენთან“.**

**სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შეუპოვარი და ქედუხრელი მესაჭე თეიმურაზ პირველი თავის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ მოიხსენიებს მარტყოფის გამარჯვებას, როგორც „სასწაულსა მეტის-მეტსა“. მართლაც სასწაულს ჰგავდა ყიზილბაშთა მიერ თერთმეტი წლის მანძილზე „ნაჭამი“ ქვეყნის წელში გამართვა და მხრების გაშლა. მართლაც სასწაული ერქვა ამდენი დამარცხებისა და დამცირების შემდეგ უბადლო გამარჯვების მოხვეჭას. და ამ სასწაულის მთავარი ავტორი იყო დიდი მოურავი გიორგი საკაძე.**

**„ესე საქმე მოურავმა უცხო ქნა და საკვირველი, ვით შემართა ამ საქმესა, არის თუცა გულად რვალი“, – ეკითხულობთ არჩილ მეფის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. მთელი ხალხი მონაწილეობდა ამ აჯანყებაში. საყოველთაო იყო საოცნებო გამარჯვების წყურვილიც და თავგანწირვისათვის მზადყოფნაც. არავის ენანებოდა, თავისი წილი სისხლი გაეღო სამუდამო მტერთან ბრძოლაში. მაგრამ სულისჩამდგმელი და შემოქმედი ამ დიდი გამარჯვებისა იყო დიდი მოურავი. მისი სახელი ამიტომაც დაუკავშირდა სამარადისოდ მარტყოფის აჯანყებას.**

XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი არაქელ თავრიზელი ამგვარად ახასიათებს გიორგი სააკაძეს: „მოურავად დანიშნული ეს კაცი იყო ბრძენი სიტყვით, ძლიერი გონებით, გამოცდილი თავის საქმეში და აგრეთვე წარმოსადეგი, ძლიერ მამაცი, დიდი მებრძოლი და უძლეველი შეომარი. ის მხარე, რომელსაც იგი მეუფდებოდა, მეორე, მოწინააღმდეგე მხარეს სძლევდა და მტრის ჯარს, მსგავსად მოცელილი ბალახისა, მიმოფანტავდა ხოლმე მინდორ-ველზე".

მიუხედავად ზემოთქმულისა (ანდა, ეგებ იმიტომაც) დიდი მოურავის ცხოვრების გზა ია-ვარდით როდი ყოფილა მოფენილი. აღმართს მოსდევდა დაღმართი, ხანმოკლე შვებას — ხანგრძლივი ვაება, სიყვარულს — სიძულვილი, ხოტბას და ჯილდოს — განქიქება და დევნა. ის ერთი თავით მაღლა იდგა სხვებზე, სახელი ჰქონდა მოხვეჭილი არა წინაპართა წყალობით, არამედ თავისი ხმლით. დიდგვაროვანთა წრეს არაფრად ეპატრონავებოდა პირადი ნიჭითა და უნარით აღზევებული კაცი, რომელსაც თანაბრად უჭრიდა ხმალიცა და გონებაც, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა ქვეყნისა და მეფის ძლიერებას. მისი დაწინაურება მოასწავებდა მხოლოდ სამშობლოს კეთილდღეობას, მისი პირადი კარიერა მხოლოდ გამარჯვებას უქადდა ქვეყანას. მაგრამ მეფის გაძლიერება ნიშნავდა თავკერძა ფეოდალთა ძალაუფლების ალაგმვას და ამიტომაც ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი გიორგი სააკაძისა იწვევდა მეშურნეთა გაბოროტებას. ფარული შური გადაიზარდა გაცხადებულ მტრობაში, ამაგი არ დაუფასეს ქვეყნისა და მეფის ერთგულ მსახურს. ავი ენების გესლმა შობა დაუნდობლად მოქნეული ხმალი. უმადური და უნაათო მეფის მიერ სასიკვდილოდ განწირულს ტყე-ღრეში უნდ ეწანწალა დევნილი ნადირივით, რათა გადაერჩინა თავისი სიცოცხლე, თავისი ოჯახი.

გიორგი სააკაძეს წილად ხვდა უცხო მხარეში გადახვეწა და ქართველი ხალხის მოსისხლე მტრის დროშებქვეშ სამსახური. მას წილად ხვდა მწარე ლუკმა ლტოლვილისა, („თუ კაცსა მიხვდეს გრძლად ყოფნა უცხოს თემსა და მიწუბსა, შარბათიც ჰქონდეს სასმელად, ნაღველად აღმოიწუბსა").

შურმა და მტრობამ განდევნა იგი სამშობლოდან, მაგრამ დიდ მოურავს ერთი წუთითაც არ განუდევნია თავისი გულიდან საშობლოს სიყვარული. ითმენდა ყველა გასაჭირს და ცილისწამებას, მოთმინებით ელოდა იმ დღეს, როდესაც დაამტკიცებდა თავის სიმართლეს და სამშობლოს ერთგულებას, როდესაც გააქარწყლებდა ყველა მითქმა-მოთქმასა თუ ბრალდებას. არასოდეს ავიწყდებოდა თავისი ვალი და მოწოდება. არ შერყეულა მისი სულიერი მხნეობა და უსაზღვრო რწმენა მომავალი გამარჯვებისა.

1620 წელს, ისპაანის კარმელიტთა ეკლესიაში წირვაზე მისული ქართველი მოურავი გაიცნო გამოჩენილმა იტალიელმა მოგზაურმა პიეტრო დელა ვალემ და თავისი წიგნის ფურცლებზე შემოგვინახა მასთან საუბრის ჩანაწერი. დელა ვალემ უკვე მშვენივრად იცოდა საქართველოს ამბები. მის დაკვირვებულ თვალს არ გამოპარვია, რომ ქართველთა იძულებითი გამაჰმადიანება, ხშირ შემთხვევაში სრულიადაც არ ნიშნავდა მათ „გათათრებას". თუმცა ისინი გარეგნულად გამაჰმადიანებული არიან და ირანის შაჰს ემსახურებიან უფალმა უწყის — გულში რას ფიქრობენო, წერდა იტალიელი მოგზაური და იქვე შენიშნავდა, ზოგიერთ მათგანზე დანამდვილებით ვიცი, ქრისტიანულ ხარწმუნოებას არ ღალატობსო. ეს სიტყვები პიეტრო დელა ვალეს თავისი წიგნის იმ მონაკვეთში აქვს მოტანილი, სადაც გადმოგვცემს „ბატონ მოურავთან" საუბარს. ეტყობა, სწორედ ამ საუბარმა მიახვედრა იტალიელ მოგზაურს გამაჰმადიანებულ ქართველთა იდუმალი ზრახვანი.

1620 წლისათვის შექმნილი ვითარება სასიკეთოს ვერაფერს მეტყველებდა. ქართლის მეფე ირანის ტყვეობაში იმყოფებოდა და მოახლოებული იყო მისი აღსასრული. ხოლო ოსმალთა სამფლობელოებში გადახვეწილი კახეთის მეფე ხან ოსმალეთის ხონთქარს ეევედრებოდა შველას, ხანაც — რუსეთის ხელმწიფეს.

თითქოსდა დაწყნარდა საქართველო. ჩაიარა აჯანყებათა ციკლმა. რამდენიმე წლის მანილზე აჯანყება აჯანყებას მოსდევდა, მაგრამ ძალზე ძვირად უჯდებოდა ხალხს ეს თავგანწირული ბრძოლა ურიცხვ მტერთან. ყოველი აჯანყება იწვევდა შაჰ-აბასის ათკეც შურისძიებას. ყოველ აჯანყებას მოჰყვებოდა ყიზილბაშთა ახალი თარეში და ქვეყნის გაპარტახება. ქართველი ხალხის ფიზიკურ თუ სულიერ პოტენციალს დაშრეტის საფრთხე ემუქრებოდა.

დიდი მოურავი მოთმინებით ელოდება თავისი ცხოვრების მწვერვალს. ელოდება იმ დღეს როდესაც სამშობლოს ცაზე თავმოყრილ შავ ღრუბლებს გაფანტავს. ელოდება თავისი ყველაზე დიდი გამარჯვების ქუხილს. ეს არის მისი ცხოვრების მიზანი და სანუკვარი იმედი. რამხელა ბედნიერებაა, გააუქმოს ულმობელი განაჩენი მტრისა, რომელსაც სწადია საქართველოს სახსენებლის წაშლა და მისი გადაქცევა ყიზილბაშთა ტომების სადგომ-საძოვრად. დიდ მოურავს, მრავალი ვარამისა და განსაცდელის საზღაურად, ბედი უმზადებს მაღალ მწვერვალზე ასვლას და მშობელი ქვეყნის გადარჩენას. და თუ ჰქონია შეცდომა, ანდა შეცოდება წარსულში, ყველაფერი გაბათილდება, ყველაფერი დავიწყებას მიეცემა, როდესაც დადგება მისი ცხოვრების ყველაზე ნათელი დღე.

სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში მოგვითხრობს რომ 1624 წელს კახეთის გამგებელმა ფეიქარ-ხანმა აცნობა შაჰ-აბასს: კახეთის აზნაურებსა და თეიმურაზს შორის მისვლა-მოსვლა და ფარული მიმოწერა მიმდინარეობსო. ფეიქარ-ხანის ვარაუდით, მოსალოდნელი იყო არეულობა.

თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა გვაუწყებს, რომ საგონებელში ჩავარდნილი ფეიქარ-ხანი სწერდა შაჰ-აბასს: „ქართველები ისევ მომრავლდნენ და ლაშქრობის შემთხვევაში ათი ათასი ხმლიანი ქართველი შეიძლება მოგროდესო. ამაზე თქვენი ბრძანება როგორი იქნებაო?"

ჰორმუზის, ყანდაარისა და ბაღდადის გამარჯვებებით თავბრუდახვეული შაჰ-აბასს ეგებ აღარც ახსოვდა საქართველო, რომელმაც თავად შეახსენა თავი და ამცნო სეფიანთა ირანის ძლევამოსილ ხელმწიფეს, რომ „გურჯისტანის „საკითხი" გადაუჭრელი რჩებოდა. დაუმორჩილებელი ქვეყანა, მიუხედავად ამდენი აოხრებისა და სისხლისღვრისა, განაგრძობდა ფიქრს წინააღმდეგობაზე.

საქართველოზე გალაშქრება დაევალა ირანის სპასალარს ყარჩიღა-ხანს („მეტად გულადი, ხალისიანი, შორსმჭვრეტელი, მართებულად მოაზროვნე და ომში შეუდრეკელი", — ამგვარად ახასიათებს მას სპარსელი ისტორიკოსი).

შაჰ-აბასის ბრძანებით, ყარჩიღა-ხანთან ერთად საქართველოში უნდა წასულიყო ქართველი მოურავი, ვინაიდან მან იცოდა ამ ქვეყნის ავი და კარგი, ხოლო თავისი დიდი ერთგულებითა და მორჩილებით მოპოვებული ჰქონდა ხელმწიფის ნდობა, ამიტომაც შაჰის ღრმა რწმენით, ყველაფერს გააკეთებდა, რასაც შესაფერისად მიიჩნევდა სეფიანთა სახელმწიფოსათვის.

ლაშქრობის ნამდვილი მიზანი ოსტატურად იყო შენიღბული. ქართლის გამგებელს გამაჰმადიანებულ სიმონ-ხანს ცოლად ატანდნენ შაჰ-აბასის შვილიშვილს და ქორწილი უნდა გადაეხადათ საქართველოში. ირანის წარჩინებული ხანები, თავისი ჯარით, საპატიო მაყრებად მიჰყვებოდნენ მას.

მაგრამ სინამდვილეში ყარჩიღა-ხანს ევალებოდა ქართლ-კახეთის მოსახლეობის აყრა-გადასახლება...

მუსტაფა ნაიმას სიტყვით, შაჰ-აბასმა სხვების გასაგონად უბრძანა ყარჩიღა-ხანს, მოურავთან თათბირის გარეშე არც ერთი საქმე არ დაეწყო, მაგრამ მალულად გააფრთხილა, ელოდე საიდუმლო წერილს და ახალი ბრძანების შესაბამისად იმოქმედეო. ჩანს, შაჰ-აბასი ბოლომდე არ ენდობოდა გიორგი სააკაძეს.

როდესაც ყარჩიღა-ხანს კახეთის მოლაშქრეთა გაყლეტის მუხანათური გეგმა ჩაეშალა, ქართველი მოურავის მიმართ აღძრული ეჭვი შეატყობინა შაჰ-აბასს და ახალმა ბრძანებამაც არ დააყოვნა. შაჰ-აბასი სწერდა ყარჩიღა-ხანს: „მმართებს, დათვალიერების მიზნით შეგროვილი ქართველები მთლიანად ამოხოცო. მოურავიც არ გაუშვა ცოცხალი რაც არ უნდა დაგიჯდეს, უნდა მოკლა".

როგორც ცნობილია, ყარჩიღა-ხანთან გამოგზავნილი შიკრიკი ლოჭინის მიდამოებში დადარაჯებულმა გიორგი სააკაძემ შეიპყრო და შაჰ-აბასის საიდუმლო ბარათში გამოტანილი განაჩენი ქართველ დიდებულებს გააცნო.

გადაწყდა აჯანყება. დიდი მოურავი, თავის ოთხ ერთგულ თანამებრძოლთან ერთად ყიზილბაშთა ბანაკში დარჩა, რათა ერთი დარტყმით მოეკვეთა თავი მტრის ლაშქრისათვის.

1625 წლის 25 მარტს, გარიყრაჟზე, მარტყოფის ველზე დაბანაკებულ ყიზილბაშთა ჯარს მიუახლოვდა აჯანყებულთა მხედრობა, ზურაბ არაგვის ერისთავის წინამძღოლობით.

მუსტაფა ნაიმას ცნობით, მოურავი ამხედრდა, აიღო შუბი და მიიჭრა ყარჩიღა-ხანის კარავთან „ხანო, რას გაჩერებულხარ, თეიმურაზი მოვიდა, თავს დაგვესხაო" — ასე მიმართა მას და მერე ცხენზე ამხედრებულს თავისი შუბი იღლიის ქვეშ აძგერა ისე, რომ შუბი მეორე მხარეს გამოვიდა. „ჰე, შე გიაურო, არამი იყოს შენზე შაჰის პური!" — ეს იყო უკანასკნელი სიტყვები ყარჩიღა-ხანისა. სხვა ხანები ვერ მიხვდნენ, რა ხდებოდა და სანამ ასე გაოგნებული იყვნენ, ქართველებმა მუსრი გაავლეს მტერს. თურქი ისტორიკოსის მტკიცებით, ოცდაათი ათასი ყიზილბაშიდან მხოლოდ სამი ათასმა მოახერხა გაქცევა.

ისქანდერ მუნში წერს: „დიდებულებიც და უბრალო ხალხიც საშინლად თავზარდაცემული იქით-აქეთ გარბოდა. ყიზილბაშების მთელი ბანაკი დარბეულ და გაძარცულ იქნა, ქართველებს ხელში აურაცხელი და განუზომელი ქონება და იარაღი ჩაუვარდათ".

ყიზილბაშებს ვერ წარმოედგინათ „ღალატი" ქართველი მოურავისა, რომელიც დიდი პატივისცემით სარგებლობდა ხელმწიფის სამსახურში და თავისი შვილი ირანში ჰყავდა მძევლად. მხოლოდ მას, ყიზილბაშთაგან ერთგულ და სანდო პირად მიჩნეულს, შეეძლო ამ აჯანყების განხორციელება. იმდენად დიდი იყო მარტყოფის აჯანყების ემირით გამოწვეული აღტაცება საქართველოში, რომ ხალხს სურდა გიორგი სააკაძის გამოცხადება მეფედ (როგორც გვაუწყებს ნიკიფორე ირბახი), მაგრამ თვით მან არ ინება მეფობა და ქართლ-კახეთის ტახტი თეიმურაზს ჩააბარაო.

ხოლო შაჰ-აბასსა და ყიზილბაშებს სხვა აღარავინ შეეძლოთ ეხსენებინათ უფრო დიდი სიძულვილით, ვიდრე ქართველი მოურავი. სეფიანთა ირანის ხელმწიფეს თურმე საჯაროდ უთქვამს, ნახევარ სამეფოს ვუწყალობებ იმას, ვინც მოღალატე მოურავს დაატყვევებს და შებორკილს მომგვრისო. შაჰ-აბასის მეხოტბე ისქანდერ მუნში ათასგვარი სალანძღავი სიტყვებით ამკობს გიორგი სააკაძეს: ბედდაბნელებული და ბოროტი მოურავი... ბედუკუღმართი მოურავი... არამზადა მოღალატე...

თორმეტი წლის შემდეგ შაჰ-აბასის მემკვიდრე შაჰ-სეფი თავის ერთ ფირმანში სააკაძეს მოიხსენიებს, როგორც „წყეულ მოურავს".

მშობელი ხალხის სიყვარული და გადამთიელი მტრის სიძულვილი იყო ღირსეული ჯილდო თავისი ცხოვრების მწვერვალზე ასული დიდი მოურავისა.

ანა ბედე
(უნგრეთი)

# ახალი ლირიკიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიკვდილი ნავსადგურთან

გაეცქერი შორეულ ხომალდებს,
ფრთათეთრა, ფოფინა თოლიებს.
დარდებმა ზღვის პირას მომაგნეს —
ფიქრებით შორს გამიყოლიეს.

ოცნების გემი დგას შორეთში,
დამფრთხალი მივყვები ზღვის კიდეს,
და მოგონებების მორევი
სხვანაირ ცეცხლს გულზე მიკიდებს.

წავიდა, ხომალდი დაიმსხვრა,
ვითომდა ყოფილა არც როდის,
თავზე ჩამოექცა ცა რისხვად,
წარსულში ვისთვისაც ვსანთლობდი.

ზეცა თრთის, ნაღველმა იფეთქა,
ტკივილი აწამებს ცთომილებს,
ვიცი, თოლიები იმქვეყნად
ფრთებგადამსხვრეული მომივლენ!

## მდინარე ჰუსთან

მოწყენით ვდგავარ ჰუს შესართავთან.
თევზივით ცივსა და მიმქრალ დაისში
ფრთებს აფარფატებს თეთრი თოლია.
გადაბერებულ ოკეანეში ტალღები
დაკურდღალაობენ,

სადღაც კი ჩემი სიმღერა
ნებივრად ტივტივებს
ცივციველა ნაკადულებში.
შეღერებული გოგოცივცივები

ფეხშიშველები დატყაპუნობენ და
თეთრეულს აღადღადებენ მდინარეში...
წყალში არეკლილ ყვავილების დასტას
თეთრი ტირიფი გადმოჰყურებდა.

ნაკადულებს გულში ჩაეხუტებინათ
ბავშვების ჟივილ-ხივილი,
და საბრალო ხალხის
მოთქმა-გოდება...

ტალღებზე უსწრაფესად
მორაკრაკებდა სალამურის ხმა.
უცებ მდინარე გამოენთო
კლდიდან ხტუნვა-ხტუნვით,

მოიზავთებოდა ტინის აკვანში
და ხრიოკ ბორცვებს
უწველიდა ნოყიერ ძუძუს.
ვანთიადებით გადამთვარული

და რიჟრაჟებით მთვრალი მდინარე,
კისრისტეხით გარბოდა ოკეანისკენ.
თუმცა, იცოდა
სიკვდილის სარეცელზე ცვლიდა

სიცოცხლის აკვანს.
თევზივით ცივსა და მიმქრალ დაისში
წყლით დაფარული ვეებერთელა ველი
ნაკადულს უცდიდა მშვიდად.

ირგვლივ სხვა არაფერი იყო,
ოკეანისა და გოდების გარდა.

## ნავთობიანი მინდორი

ქვესკნელში ნავთობი ბუყბუყებს
და მიწის ქვეშ, ნაკადულებად მოედინება.
თვალთუხილავ სიღრმეებში
ქარიშხალი გრგვინავს.

დაფდაფები დაფდაფებენ.
კოცონს შემოსხდომიან მონადირენი
და ხმამაღლა მოსთქვამენ:
— არსთა გამრიგე, გვაშორე უბედურება!..

ხრიალებდა ტაიგა.
კედლებს ასკდებოდა მდინარე.
გველეშაპის კუდივით
იგრაგნებოდა ცეცხლის ენები.

აკრიახებული ფრინველები
ეძებდნენ თავშესაფარს.
ნავთობს კი ეძინა ფოთლების ნეშოში.
უკუნეთ ღამეში აქა-იქ ანთებული სინათლეები

საუკუნეების საგოდებელს გაპკიოდნენ.
ცეცხლითა და მახვილით
მოდიოდნენ ბედის მაძიებლები.
ჭაობები სისხლით იღებებოდა.

ხვავდებოდა მათი ძვლები
და კოშკებივით მაღლდებოდა.
ირმები მთის მდინარეებს
თავთავქვე მიჰყვებოდნენ.

ბუბუნებდა მიწის გულში
დაბუდებული ზღვა.
სასიკვდილოდ დაჭრილი მხეცის ღრიალით
ამოხეთქა ქვესკნელიდან ნავთმა.

ტაიგის თავზე
ცეცხლის ჭები ამობურბურდა.
გაჭვარტლულ ცას ცეცხლის ენები ლოკავენ.
ირგვლივ იღვრება შუქი და სითბო.

ქობების თავზე ციმციმებს სინათლე.
ჭაობში ოქროს ნამით ინამება
გვიმრის ყვავილები.
მას შემდეგ

წლები ჯირითით წავიდ-წამოვიდნენ...
ახლა მდინარე ობის ნაპირებს მივყვები
და ვხედავ, როგორ წევს სიკვდილი
სიკვდილის სარეცელზე.

თარგმნა მედეა კახიძემ.

---

არჩილ მეფის პოემაში ხაზგასმულია მარტყოფის აჯანყების ორგანიზატორის გიორგი საკაძის და მისი მარჯვენა ხელის — ზურაბ ერისთავის სამაგალითო გმირობა: „სახელისთვის მათ ცოლ-შვილი ორთავ დასთმეს, ეს იცოდეთ! ვინ არ მიჰყვეთ მათ საქმესა, არ იცით, რომ დიდად სცოდეთ? რჯულისა და ქვეყნისათვის რა იქნების, რასაც ჰყოფდეთ? აწც ეს ქენით, ქართველებო, ანდერძსავით შვილს ეტყოდეთ!“

მარტყოფის აჯანყების ამბავი, ცხადია, განცდა საქართველოს ფარგლებს.

შირაზში მყოფი კათოლიკე მისიონერი, იმავე წლის 18 ივნისით დათარიღებულ წერილში, რომს ამცნობდა, რომ საქართველოში მოხდა „მოულოდნელი და დიდი აჯანყება“. ქართველი ელჩის ნიკიფორე ირბახისა და უცნობი ჯულფელი ვაჭრის რელაციები, ჩაწერილი ვატიკანში 1628 წელს, საინტერესო დეტალებით ავსებენ სხვა წყაროების ინფორმაციას ზემოხსენებულ მოვლენათა შესახებ.

მარტყოფის აჯანყების ამბავს მოგვითხრობენ ინგლისელი ტომას პერბერტი, იტალიელი პიეტრო დელა ვალე და ფრანგი კლოდ მალენგრი. სწორედ ამ უკანასკნელის ნაშრომს ეყრდნობოდა ცნობილი გერმანელი დრამატურგი ანდრეას გრიფიუსი, რომლის ხუთმოქმედებიან ტრაგედიაში „ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიშტკიცე“ აღწერილია მარტყოფის აჯანყებაც და საკმაოდ დაწვრილებით არის გაშუქებული დიდი მოურავის სახე (გრიფიუსს, მხატვრული მიზნით, დარღვეული აქვს მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობა. მის ნაწარმოებში მარტყოფის აჯანყება წინ უსწრებს ქეთევან დედოფლის წამებას და საქართველოდან ჩასული ელჩები უამბობენ ტყვე დედოფალს ქართველი ხალხის გამარჯვების ამბავს). აი, რას ეკითხულობთ გიორგი საკაძის შესახებ მონათხრობში: „ახლად აღანთო უწინდელი სახელ-დიდება, ლტოლვა-განდგომით რომ მოუკლა ჟამთა დინებამ. ამბობდნენ, მამულს შეეკრაო წმინდა ფიციოთა, რომ შაპის უღელს დაამსხვრევდა, მამულს იხსნიდა“ (თარგმანი აკ. გელოვანისა).

1625 წელს აყრა-გადასახლება ემუქრებოდა ქართლ-კახეთს. საქართველოს მიწაზე უცხო ტომი უნდა ჩამოთესლილიყო, მაგრამ ქართველმა ხალხმა, თავისი საამაყო შვილის შეთაურობით, ყირაზე დააყენა ისპაანში შეთხზული სცენარი, და მიუხედავად იმავე წლის ზაფხულში მომხდარი ხისხლისმღვრელი მარაბდის ომისა, სულ სხვა გეზით წარმართა თავისი ბედი.

პროფესორი ვ. გაბაშვილი აღნიშნავს: „ქართველობისათვის“ ბრძოლა ძირითადად მაინც მოგებული იყო. ქართველი ხალხის შეუდრეკელმა წინააღმდეგობამ და თავდადებულმა ბრძოლამ შაჰ-აბასი აიძულა, ხელი აეღო საქართველოს გაყიზილბაშებაზე. ქართველი ხალხის ბრძოლამ შაპი დაარწმუნა, რომ „საქართველოს მოთხრა“ მის შესაძლებლობებს აღემატებოდა. შაპი იძულებული იყო, თავი დამარცხებულად ეცნო.“.

მარტყოფის გმირულმა აჯანყებამ დასაბამი მისცა საქართველოს აღორძინებას. 1625 წლის 25 მარტი, უეჭველად, მიეკუთვნება ჩვენი ისტორიის ყველაზე ძვირფას თარიღებს.

# ერთად იჯეიჭებენ



შოთა შენგელია

ეს მხნე და შრომისმოყვარე კაცი ოცდაათ წელზე მეტია, ქართული სამეცნიერო წიგნის გამოცემას ემსახურება.

ვიდრე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერების“ დირექტორად დანიშნავდნენ, შოთა შენგელიამ შრომისა და ბრძოლის სახელოვანი გზა განვლო.

ჭაბუკმა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრა. ერთი პირობა მტს-ში იმუშავა და მერე უმაღლესში გააგრძელა სწავლა. იქაც იბეჭითა და ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი წარჩინების დიპლომით დაამთავრა.

შოთა შენგელია საქართველოს კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივნად აირჩიეს. ის-ის იყო მუშაობას შეუდგა, რომ დიდი სამამულო ომი დაიწყო.

ჩაიცვა ჯარისკაცის ფარაჯა და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა.

სად არ ატარა დენთის კვამლით დაბინდულმა ომის გზამ. ჯერ ხარკოვთან იბრძოდა, მერე დნეპრთან, ბრიანსკის და კიევის მისადგომებთან.

ნაღმმტყორცნელთა ბატალიონმა, რომელსაც მაიორი შოთა შენგელია მეთაურობდა, მრავალჯერ ისახელა თავი. მთავრობის პირველი ჯილდო — მედალი „მამაცობისათვის“ შოთა შენგელიამ ორიოლის მახლობლად გამართულ ბრძოლაში მიიღო. რამდენიმე თვის შემდეგ სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოეს.

ვორონეჟის სამხრეთით, ერთ-ერთი ფიცხელი შეტაკების დროს, შოთა შენგელია მძიმედ დაიჭრა. ბრძოლის ველი არ მიუტოვებია. მხოლოდ მაშინ, როცა სისხლისაგან დაცლილმა მეთაურმა გონება დაკარგა, სანიტრებმა საკაცით გაიყვანეს ზურგში.

გამოჯანსაღების შემდეგ შოთა შენგელია ნაწილში დაბრუნდა და კვლავ რისხვად მოევლინა ფაშისტებს. „პატარა კატიუშები“, ასე შეარქვა ლეგიონის მეთაურმა პოლკოვნიკმა ტერენტი უმანსკიმ შოთა შენგელიას ნაღმსატყორცნებს, რომლებიც მუსრს ავლებდნენ მტერს...

ყოველი 9 მაისის დღესასწაულზე შოთა შენგელია ისევ იცვამს ჯარისკაცის გიმნასტურას.

დიახ, გრძელი და გმირული იყო შოთა შენგელიას ფრონტული გზა.

შოთა შენგელია 1947 წლიდან პარტიულ სამუშაოზე იყო. ნაომარი ვაჟკაცი ჯერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობდა, შემდეგ პარტიის აბაშის რაიკომის პირველ მდივნად.

1952 წლიდან შოთა შენგელია გამომცემლობა „მეცნიერებას“ ხელმძღვანელობს.

რთული და მრავალწახნაგოვანია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. აქ იბეჭდება მეცნიერული მონოგრაფიები, მრავალტომეულები; პერიოდულად გამოდის ჟურნალები, გამომცემლობა მკითხველებს სისტემატურად აცნობს ქართველ სპეციალისტთა კვლევის შედეგებს მეცნიერების ყველა დარგში.

გამომცემლობაში დასტამბული პროდუქცია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც ვრცელდება. ქართველ მეცნიერთა შრომები იგზავნება საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, იტალიასა თუ იაპონიაში. მათზე დიდი მოთხოვნილებაა მომმე სოციალისტურ ქვეყნებშიც.

მოწონება დაიმსახურა გამომცემლობის თანამშრომელთა ერთობლივი მეცადინეობით მომზადებულმა ნაშრომმა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია“. მასში მოთხრობილია რესპუბლიკის მთავარი სამეცნიერო ცენტრის, ამ ცენტრში შემავალი ყველა ინსტიტუტის, სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანობისა და წარმატებების შესახებ.

მოსკოვში მოწყობილ გამოფენა-ბაზრობაზე გამომცემლობამ წარადგინა ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემული 42 დასახელების წიგნი.

წიგნის, გრაფიკისა და პლაკატების საკავშირო გამოფენაზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერება“ მესამე ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა. ნაყოფიერი მუშაობისათვის გამომცემლობას სხვა დიპლომებიც აქვს მიღებული...

დიდია შოთა შენგელიას ღვაწლი იმ ეროვნულ საქმეში, რომელსაც გამომცემლობა „მეცნიერება“ ემსახურება.

ჭაბუკური ენერგიით აღსავსე ვაჟკაცი მთელ ცოდნას, ძალასა და გამოცდილებას ქართული სამეცნიერო წიგნის გამოცემას ახმარს.

ახლახან ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკის გორგიუშის რაიონიდან გამომცემლობაში წერილი მოვიდა. ბარათს დიდი სამამულო ომის ვეტერანი ვასილ ილინი აწერდა ხელს. ორმოცი წლის შემდეგ ფრონტელმა მეგობრებმა ერთმანეთი იპოვეს.

„ძვირფასო, შოთა, — წერდა ილინი. — ბედნიერი ვარ, რომ ათეული წლების შემდეგ ჩვენ ერთმანეთი ვიპოვეთ. როცა სამხედრო კომისარმა თქვენი წერილი გადმომცა, სიხარულით ლამის ავტირდი. ჩვენ ხომ ძმურად გვიცხოვრია და ერთად გვიბრძოლია ვერაგი მტრის წინააღმდეგ. ახლა, ორმოცი წლის შემდეგ, ცხადად ვიგონებ როგორ აკავშირებდით ბატალიონის მებრძოლებს თქვენი ნიჭითა და შეუპოვრობით, საქმიანი დარიგებებითა და ხალისიანი იუმორით... მომავალ შეხვედრამდე! თქვენი მებრძოლი ამხანაგი, პოლიტხელის მოადგილე ვასილ ილინი“.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავი კარზეა მომდგარი. ფრონტელ მეგობრებს გადაწყვეტილი აქვთ, ამ სახალხო ზეიმს აუცილებლად ერთად შეეგებონ...

**ეთერ მაჭავარიანი**

**ბატალიონის მეთაური მაიორი შოთა შენგელია (მარჯვნივ) თანამებრძოლებს შორის.**

# ალარ უნდა განმეორდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი საკონცენტრაციო ბანაკი ინგლისელებმა შექმნეს ბურებთან ომის დროს. შემდეგ ასეთი ბანაკები არსებობდა იტალიაში, ესპანეთში, პოლონეთსა და სხვა ქვეყნებში. საკონცენტრაციო ბანაკების ქსელი განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა გერმანიაში ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მისვლის შემდეგ. პატიმრები მაშინ გერმანელი ანტიფაშისტები იყვნენ, მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ კი ფაშისტებმა საკონცენტრაციო ბანაკები ოკუპირებულ ტერიტორიებზეც გაავრცელეს.

1940 წლის აპრილში, ოკუპირებულ პოლონეთში, ქალაქ ოსვენციმის მახლობლად, ჰიტლერელებმა შექმნეს უდიდესი საკონცენტრაციო ბანაკი, რომელსაც 500 ჰექტრამდე ტერიტორია ეკავა. იქ განლაგებული იყო 620 საცხოვრებელი ბარაკი და რამდენიმე სასამსახურო შენობა. ბანაკს ჰქონდა ფილიალები, მათში მუდმივად იმყოფებოდა სხვადასხვა ეროვნების 250 ათასამდე პატიმარი. ფაშისტები ბანაკის პატიმრებს იყენებდნენ პოლონეთში სხვადასხვა სამხედრო-სამრეწველო საწარმოს მშენებლობისათვის.

ოსვენციმში პატიმრებს ახარისხებდნენ ასაკისა და ჯანმრთელობის მიხედვით. მოხუცები, ბავშვები და არაშრომისუნარიანები მიჰყავდათ სპეციალურ შენობაში — „ბანაში“. შენობის წინა ოთახში მათ აშიშვლებდნენ და გაჰყავდათ მეორე ოთახში. ეს უზარმაზარი ოთახი სინამდვილეში გაზის კამერა იყო. მასში ორი ათასამდე კაცი თავსდებოდა. შემდეგ კარს მჭიდროდ კეტავდნენ და სპეციალური მილით კამერაში უშვებდნენ გაზ „ციკლონ-ბ“-ს.

1941 წლის ოქტომბერში გერმანელმა ფაშისტებმა № 11 ბლოკის უფანჯრო კარცერებში პირველი ცდა ჩაატარეს გაზ „ციკლონ-ბ“-თი პატიმართა მოსასპობად. მაშინ გაზის ნორმა დადგენილი არ იყო, ბლოკში მოთავსებული პატიმრები ორი დღე ებრძოდნენ სიკვდილს. ოსვენციმის გაზის კამერების კომენდანტმა რუდოლფ ჰესმა შვება იგრძნო, როდესაც საბოლოოდ დადგინდა, რომ გაზის კამერაში მოთავსებულთა მოსასპობად საჭირო იყო 8 კილოგრამი „ციკლონ-ბ“ და 20 წუთი დრო. აი რა განაცხადა მან: „მე ყოველთვის თავზარს მცემდა იმის გაფიქრება, რომ უნდა მომეწყო ქალების, ბავშვების, მოხუცების მასობრივი დახვრეტები. ახლა დამშვიდებული ვარ. ჩვენ აღმოვაჩინეთ როგორც საჭირო გაზი, ისე მისი გამოყენების ზუსტი მეთოდები.“

ოსვენციმში გაზის 8 კამერა იყო, რომლებშიც ერთდროულად 10 ათასამდე კაცს სპობდნენ. გერმანელმა ფაშისტებმა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში 4 მილიონზე მეტი ადამიანი მოსპეს.

განწირულის ბარგს და ტანსაცმელს გერმანელები ჯერ ახარისხებდნენ, მერე გადასამუშავებლად აგზავნიდნენ.

№ 14 ბლოკის ერთ-ერთ დარბაზში დღემდეა დაცული მცირეწლოვან ბავშვთა სათამაშო თოჯინები, ფეხსაცმელები და სხვა ნივთები. ამავე ბლოკის ერთ-ერთ დარბაზში დაგროვილია ადამიანების თმები, რომელთა გადასამუშავებლად გაგზავნა ფაშისტებმა ვეღარ მოასწრეს. აქვე, შემინულ ვიტრინაში, ექსპონირებულია სამი თოფი ნაცრისფერი საკოსტიუმე, რომელიც შალის ქსოვილს წაგავს. სინამდვილეში კი ეს საკოსტიუმე ნაჭრები გაზით გაგუდულ ადამიანთა თმიდან არის მოქსოვილი. თმებს, თურმე, წონითაც ჰყიდიდნენ ისე, როგორც ცხვრის მატყლი იყიდება.

ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში ევროპის 24 ქვეყნის უამრავი მოქალაქე დაიღუპა. ამ დაღუპულთა ხსოვნისა და გლოვის ნიშნად ერთ-ერთი ბლოკის პირველი სართულის დარბაზში მათი სამშობლო ქვეყნების სამგლოვიარო ლენტშემოვლებული დროშებია დახრილი.

ბანაკის ტერიტორიაზე მრავალი ექსპონატია დაცული. № 5 ბლოკში გამოფენილია პატიმრებისათვის ჩამორთმეული ნივთები. ორ დარბაზშია მოთავსებული პატიმართა ფეხსაცმელები. ვრცელი დარბაზი აქვს დათმობილი ტანსაცმელს, პირის საპარსებსა და კბილის ჯაგრისებს, ქვაბებს, ჯამებს, ჩაიდნებს, ინვალიდებისათვის ჩამორთმეულ პროთეზებს, სათვალეებს, განსაკუთრებით შემაძრწუნებელია დარბაზი, სადაც ბავშვთა ტანსაცმელი და მატყუარა საწოვრებია ექსპონირებული.

ოსვენციმში ფაშისტები ადამიანებზე სხვადასხვაგვარ ცდებს ატარებდნენ. მაგალითად, დოქტორი კლაუბერი № 10 ბლოკში სტერილიზაციის საშუალებათა დასახვეწად ცდებს ატარებდა არაგერმანული წარმოშობის ქალებზე, რათა მათ ვეღარ ეშვათ ბავშვები. ამით ჰიტლერელებს სურდათ, სისრულეში მოეყვანათ მთელი რიგი ერების ბიოლოგიური განადგურების არაადამიანური პროგრამა. სამაგიეროდ, დოქტორი მენგე აქვე ატარებდა ცდებს იმ მიზნით, რომ გერმანელ ქალებს მხოლოდ ტყუპები ეშვათ.

საკონცენტრაციო ბანაკის განუყოფელი ატრიბუტია ინჟინერ ჰანს კამლერის კონსტრუქციით აგებული კრემატორიუმები, რომლებშიც 1000 გრადუსამდე ტემპერატურა იყო. მათში თავდაპირველად თითო ცხედარს წვავდნენ, შემდეგ, როცა ამ ტემპით პატიმართა დაწვას ვეღარ აუვიდნენ, სამ-სამი ცხედრის ერთად დაწვა დაიწყეს. ფერფლს მიწის გასანოყიერებლად იყენებდნენ.

პატიმართა უნებისყოფო არსებად გადაქცევის ერთ-ერთ საშუალებად ფაშისტები უაზრო შრომას თვლიდნენ. სწორედ ასეთი უაზრო შრომის ნივთიერი დამადასტურებელია ქვისგან დამზადებული საგორებელი სატკეპნი, რომელიც ამჟამად ღია ეზოშია დაცული № 18 ბლოკის წინ. ამ ვეება სატკეპნის ადგილიდან დაძვრა მხოლოდ 6 კაცს შეეძლო. ფაშისტების ბრძანებით, პატიმრები დილიდან საღამომდე მიწას, ყოველგვარი საჭიროების გარეშე, ქანცის გამოლევამდე ტკეპნიდნენ.

უმკაცრესი ტერორისა და სისასტიკის მიუხედავად, ოსვენციმში კომუნისტების ხელმძღვანელობით შეიქმნა წინააღმდეგობის ინტერნაციონალური ორგანიზაცია. ამ არალეგალურმა საბრძოლო ჯგუფმა აჯანყება მოამზადა. საბჭოთა სამხედრო ტყვეებმა, რომლებიც ჩამოგდებული თვითმფრინავების დემონტაჟზე მუშაობდნენ, შეძლეს იარაღის შოვნა, მაგრამ აჯანყებამ დანიშნულ ვადაზე ადრე სტიქიურად იფეთქა 1944 წლის შემოდგომაზე. აჯანყება სასტიკად ჩაახშეს. 200-ზე მეტი კაცი დაიღუპა იარაღით ხელში, დანარჩენებს მხეცურად გაუსწორდა ბანაკის ადმინისტრაცია.

1945 წლის 27 იანვარს უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა გაათავისუფლეს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის ტერიტორია. წითელი არმიის სწრაფმა შეტევამ ფაშისტებს ხელი შეუშალა, გაენადგურებინათ „სიკვდილის გიგანტური ფაბრიკა“ და სისხლიანი ბოროტმოქმედების კვალი დაეფარათ. წითელმა არმიამ იხსნა ბანაკის შვიდი ათასამდე პატიმარი, რომელთა მოსპობა ჰიტლერელებმა ვეღარ მოასწრეს.

კაცობრიობის წინაშე გადაიშალა გერმანიის ფაშისტთა კიდევ ერთი არაადამიანური დანაშაული. საბჭოთა მეომრებმა ოსვენციმში აღმოაჩინეს კრემატორიუმები, გაზის კამერები, წამების სხვადასხვა იარაღი. ბანაკის უზარმაზარ საწყობებში იპოვეს 7 ათასი კილოგრამი თმა, ადამიანის ძვლის ფხვნილით სავსე უთები, პატიმართა ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით სავსე ბარდანები, უამრავი სხვა ნივთი.

ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ფაშისტურ ბრძოლის მონაწილენი არიან ჩვენი თანამემამულენიც. მათ შორის იყვნენ მე-100 მსროლელი დივიზიის ერთ-ერთი პოლკის მეთაურის მოადგილე, პოდპოლკოვნიკი ნიკოლოზ აბაზოვი, მეტყვიამფრქვევთა ათასეულის მეთაური ალექსანდრე აბჟანდაძე, პოლკის ექიმი ოთარ ამაღლობელი (ბანაკის განთავისუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში იგი ავტომატით ხელში წინ წაუძღვა მოიერიშეთა ჯგუფს და გამოჩენილი მამაცობისათვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვეს). ოსვენციმის განთავისუფლებისათვის იბრძოდა აგრეთვე მცხეთის რაიონის სოფელ წავკისის საშუალო სკოლის მასწავლებელი ქიშვარდ ტომარაძე და მრავალი სხვა.

ოსვენციმის შავბნელ საიდუმლოებათა გამომძიებლებმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრზე. კაცობრიობისათვის ერთხელ კიდევ ნათელი გახდა ფაშიზმის ბუნება, რომელიც ჯოჯოხეთური სისასტიკით იყენებდა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს მილიონობით ადამიანის განადგურებისათვის.

ოსვენციმში მიყვანილ პატიმარს ჯვარი დ სახელი აღარ ჰქონდა. მას აძლევდნენ ნომერს და ამ ნომრის ტატუირებას ახდენდნენ ხელზე. 26-ე ბლოკში მოთავსებული იყო ბანაკის არქივი. გაქცევის დროს ჰიტლერელებმა დასწვეს ეს ბლოკი. კაცობრიობისათვის უცნობი დარჩა პატიმართა დიდი ნაწილის ვინაობა. ცოცხლად გადარჩენილმა პატიმრებმა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დახმარებით და მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანის თანადგომით ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მომავალი თაობებისათვის უკვდავეყოთ ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკის მსხვერპლთა ხსოვნა. 1946 წელს, ყოფილი ბანაკის ტერიტორიაზე დაარსდა მუზეუმი, 1958 წლის სექტემბერში კი ევროპის 16 სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან შეიქმნა ოსვენციმის საერთაშორისო კომიტეტი. მისი ინიციატივით 1965 წლის 11 აპრილს, ბანაკის განთავისუფლების მეოცე წლისთავზე, შედგა ყოფილ პატიმართა საზეიმო შეხვედრა.

ხალხის სამართლიან რისხვას ვერ გადაურჩა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის მრავალი ჯალათი. ამ ბანაკის შექმნელი და 1940-1943 წლებში მისი პირველი კომენდანტი ობერშტურმბანფიურერი ფრანც ჰესი (იგი ომის შემდეგ ფრანც ლანგის სახელით იმალებოდა ინგლისის საოკუპაციო ზონაში) 1947 წლის 16 აპრილს პოლონეთის უმაღლესი სახალხო ტრიბუნალის განაჩენით ჩამოახრჩვეს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის კრემატორიუმის წინ სპეციალურად აღმართულ სახრჩობელაზე...

მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საკონცენტრაციო ბანაკები მაინც შეიქმნა მრავალ კაპიტალისტურ ქვეყანაში. სხვადასხვა დროს ისინი მოქმედებდნენ აშშ-ში, სამხრეთ კორეასა და სამხრეთ ვიეტნამში, მონარქისტულ-ფაშისტურ საბერძნეთში, ფრანკისტულ ესპანეთში, სალაზარის პორტუგალიაში და სხვაგან.

საკონცენტრაციო ბანაკების არსებობის ფაქტი ყველა კეთილი ნების ადამიანს მოუწოდებს ბურჟუაზიის დიქტატურის წინააღმდეგ საბრძოლველად. საჭიროა ადამიანთა შოქალაქეობრივი უფლებების მტკიცე დაცვა, რათა მომავალ თაობებს მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატებად და მწარე მოგონებად დარჩეთ საკონცენტრაციო ბანაკების არსებობა.

**შოთა აფრიდონიძე,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

# ცეკვის ისტორია

ეროვნული ბიბლიოთეკა

1930 წელს მიმბარეს ცეკვის სტუდიაში, რომელიც მდებარეობდა გრიბოედოვის ქუჩაზე. სტუდიას ხელმძღვანელობდა ცნობილი პედაგოგი, ქართული ცეკვის უბადლო ოსტატი ალექსი ალექსიძე (სონღულაშვილი). მან პირველმა უწოდა ცეკვას „ქართული“.

ფორტეპიანოზე უკრავდა ყოველთვის მომღიმარი, სათნო ქალი ფენია საფაროვა. ძია ლექსო მეტად წყნარი და კეთილშობილი ადამიანი იყო, ამავე დროს მომთხოვნი. არ მახსოვ, მას ხმამაღლა შენიშვნა მიეცა მოსწავლისათვის. ცეკვის დროს თუ რაიმე არ მოეწონებოდა, უხმოდ შეაჩერებდა მუსიკას. პირადად არავის მიმართავდა. უკმაყოფილოდ, აღელვებული შემოუვლიდა წრეს, განმეორებით ახსნიდა ცეკვის ილეთებს და დინჯად მოგვმართავდა: „ერთხელ კიდევ“. სტუდიაში დაწესებული იყო გადასახადი, მაგრამ ძია ლექსო ამაზე არ ფიქრობდა. მხოლოდ ცდილობდა, გაემრავლებინა ნამდვილი ქართული ცეკვის შემსრულებელნი. თვითონ შესანიშნავად ცეკვავდა, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდას ავადმყოფობამ სამუდამოდ დაუზიანა ფეხი. უჭირდა მუშაობა, სტუდია მაინც არ მიუტოვებია.

ალექსი ალექსიძეს მოსაგონარი ბევრი ჰქონდა: 1895 წელს პარიზში, რუსულ ეთნოგრაფიულ გამოფენაზე ქართული ცეკვის და ქორეოგრაფიული ოსტატობისათვის გამოფენის ხელმძღვანელობამ მოეცეკვეთა გუნდის ხელმძღვანელი ალექსი ალექსიძე (სონღულაშვილი) დაჯილდოვა ოქროს დიდი მედლით — წარწერით: „რუსული ეთნოგრაფიული გამოფენა. პარიზი. 1895 წ.“

1898 წელს თბილისში სტუმრად ჩამოვიდა ბუხარის ემირი, რომელმაც ქართული ცეკვების საუკეთესო შემსრულებელი ალექსი ალექსიძე დაჯილდოვა ვერცხლის მინანქრიანი მედლით. ეს ორივე მედალი და ალექსი ალექსიძის პარიზში გადაღებული სურათი ამჟამად ინახება საქართველოს მუზეუმში.

1895 წელს, პარიზიდან დაბრუნების შემდეგ, დაიწყო ალექსიძის პედაგოგიური მოღვაწეობა წმინდა ნინოს ქალთა დახურულ სასწავლებელში. ტრადიციულად ყოველ წელს, 14 იანვარს, სასწავლებელში ეწყობოდა საღამოები, სადაც ალექსიძის ხელმძღვანელობით იმართებოდა ქალთა ცეკვები.

1902 წელს ალექსიძემ ჩამოაყალიბა ცეკვის სტუდია. ამავე დროს მუშაობდა ოპერისა და ბალეტის თეატრში. ცეკვავდა გლინკას „რუსლან და ლუდმილაში“, რუბენშტეინის „დემონში“ ცნობილ ბალერინა პერინთან ერთად.

1916 წელს მეუღლესთან ერთად თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა გამოჩენილი ბალეტმეისტერი მიხეილ ფოკინი. იგი შეხვდა ა. ალექსიძეს, ფოკინმა რამდენიმე გაკვეთილი მიიღო მისგან ქართული ცეკვების შინაგანი ბუნების გასაგებად და შესასწავლად. გამოთხოვებისას მიხეილ ფოკინმა ალექსიძეს მიმართა: „მე ამ ცეკვებს ვდგამდი ლონდონსა და პარიზში საკუთარი გაგებით, მაგრამ ის, რაც თქვენგან მივიღე და შევისწავლე სულ სხვაა. მე ცუდად ვერკვეოდი, დღეიდან კი ვიხელმძღვანელებ ქართული ცეკვის იმ გაკვეთილებით, რომელიც თქვენგან მივიღე“.

უკვე ხანდაზმულმა ალექსი ალექსიძემ რუსთაველის თეატრში დიდ კონცერტზე ელისაბედ ჩერქეზიშვილთან ერთად შეასრულა „ქართული ცეკვა“. ეს იყო ძია ლექსოს უკანასკნელი და განუმეორებელი ცეკვა.

ალექსი ალექსიძის აღზრდილი იყო ცეკვის ცნობილი ოსტატი სსრ კავშირის სახელმწიფო და შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ილიკო სუხიშვილი. მის აღზრდილთა შორის არიან: სსრ კავშირის სახელმწიფო და შოთა რუსთაველის პრემიების ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნინო რამიშვილი, ცნობილი ქორეოგრაფი ანტონ ჩიხლაძე, საქართველოს სახალხო არტისტი, ჩრდილოეთ ოსეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რომან ჭოხონელიძე და მრავალი სხვა.

1934 წელს თბილისში, ვოროშილოვის სახელობის კლუბში, ჩატარდა საქართველოს ქართული ცეკვის კონკურსი, სადაც ძია ლექსოს ხელმძღვანელობით მივიღეთ მონაწილეობა მისმა მოსწავლეებმა და გავიმარჯვეთ. იმავე 1934 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა ალექსი ალექსიძე, შეწყდა სტუდიაში მუშაობაც...

მისი მოწაფეები, ყველა ვისაც კი ერთხელ მაინც უნახავს საოცრად კეთილშობილი და ცეკვაზე ფანატიკურად შეყვარებული ალექსი ალექსიძე, ვერასოდეს დაკარგავს მის ნათელ ხსოვნას.

**რუსუდან ნათიშვილი**

# რა გედი ეწიათ ფაცია გობრონიძის დისშვილებს?

ჩვენი ჟურნალის მიმდინარე წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა ნამდვილი ამბავი „ფაცია გობრონიძის თავგადასავალი“. რედაქციაში შემოვიდა წერილები. მათი ავტორები გვთხოვენ, მოვუთხროთ, რა ბედი ეწიათ სონია გობრონიძისა და კონსტანტინე მახარაძის პატარებს — ჩვილ ავთანდილსა და ორწლინახევრის ნათელას (მოთხრობაში შეცდომითაა აღნიშნული, რომ ორივე გოგონა იყო), რომლებიც სონიასა და ფაციას გმირული დაღუპვის შემდეგ უპატრონოდ დარჩნენ. ნუთუ ისინიც გასწირა ბედმა?

არა, ისინი არ დაღუპულან. შემწედ გამოუჩნდნენ სხვა მზრუნველი ადამიანები, შეიფარეს ისინი, გამოატარეს ომის ფათერაკებს. თუმცა...

1945 წელს კოტემ მიაგნო ქალიშვილს იქვე, ვლადიმირ ვოლინსკში, ბავშვთა სახლში, სადაც ნათელა სვეტლანა გამხდარიყო. დღეს სვეტლანა გემთმშენებელი ინჟინერია, თავისი მეუღლის ინჟინერ ალექსანდრე ფისენკოს გვარს ატარებს, ზრდის ქალიშვილს.

ავთანდილ გობრონიძე კი ერთმა კეთილმა პოლონელმა ჰიტლერელებისაგან მალულად წაიყვანა თავისთან. კოტემ დიდი ძებნის შემდეგ მასაც მიაგნო. იგი, ბორისლავ იასინსკი, პოლონეთში ცხოვრობს, აქვს ოჯახი. მამის გარდაცვალების შემდეგ მისი კონტაქტები სამშობლოსთან შეწყდა.

**ზურაბ ლომიძე**

# მაგრაქველიძის ოპერისტული კომპოზიციები

**გიორგი ჯიბლაძე,**
აკადემიკოსი

ნახევარ საუკუნეზე მეტი გაატარა ქართულ თეატრში რესპუბლიკის დამსახურებულმა მსახიობმა ასკალონ მაგრაქველიძემ. როცა მუშაობდა რუსთაველის თეატრის სცენაზე სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით (1928 — 1936 წლები), მე ის მინახავს არაერთ როლში — მაღალი, სასიამოვნო ხმის მქონე ახალგაზრდა მსახიობი, რომელიც მაყურებელს ხიბლავდა თავისი ტალანტით, აქტიორული შესრულებით. შემდეგ დიდხანს, თითქმის 22 წელიწადი, მუშაობდა ფოთისა და სოხუმის დრამატულ თეატრებში.

მთელი 22 წლის მანძილზე ასკალონ მაგრაქველიძემ ათეულობით მთავარი როლი შეასრულა ხსენებული თეატრების სცენაზე და მოიპოვა მაყურებლების სიყვარული. ჩვენ არაერთხელ ვიყავით ამ სიყვარულის მოწმე და მონაწილეც. ნიჭი და შრომისმოყვარეობა ასკალონ მაგრაქველიძეს ყოველთვის გამოარჩევდა, როგორც შთაგონებულ მსახიობს, პატრიოტ მოქალაქეს, ქართული თეატრის ერთ-ერთ თავდადებულ რაინდს. მარტო ჩამოთვლა იმ როლებისა, რომლებიც მან შეასრულა, ნათლად მეტყველებს, თუ რა ფართო დიაპაზონი ჰქონდა მსახიობს, რამდენად ძლიერი იყო იგი შემოქმედებითი პათოსითა და მრავალმხრივი აქტიორული მონაცემებით.

ასკალონ მაგრაქველიძემ ქართული თეატრის სცენაზე 107 როლი განასახიერა. მათ შორის: ფერდინანდი (შილერის „ვერაგობა და სიყვარული“), ერემია წარბა (გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯი“), ბეგლარი (კარლო კალაძის „როგორ“), ჰაჯი მურატი (იონა ვაკელის „შამილი“), პიედრო კორელიო (გიორგი მდივნის „ალკაზარი“), ურიელ აკოსტა (კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტა“), ოიდიპოსი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“), ნეზნამოვი (ალექსანდრე ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), გარი სმიტი (კონსტანტინე სიმონოვის „რუსეთის საკითხი“), ოთარბეგი (სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“), ტარიელ გოლუა (ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“), გიგაური (ილო მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“) და მრავალი სხვა.

ასკალონ მაგრაქველიძის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში საგულისხმოა ერთი ფაქტის გახსენებაც: 1948 წელს მოეწყო დრამატული თეატრების საკავშირო დათვალიერება. თბილისში ჩამოვიდა კომისია ცნობილი თეატრალის მიხეილ ოსიპოვის მეთაურობით. როცა სიმონოვის „რუსეთის საკითხი“ განიხილა, კომისიამ ცალკე აღნიშნა ასკალონ მაგრაქველიძის მიერ გარი სმიტის როლის ბრწყინვალე შესრულება, ხოლო კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა: „ორმოცდაორ თეატრში ვნახეთ „რუსეთის საკითხი“. ყველაზე ძლიერი სახე შექმნა მაგრაქველიძემ. მისი გარი სმიტი შეიძლება სტალინს ვუჩვენოთ“. ეს მართლაც დამსახურებული მაღალი შეფასება იყო.

თეატრში მოღვაწეობის პარალელურად, ასკალონ მაგრაქველიძემ შესანიშნავი, ფრიად მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე წამოიწყო. რამდენიმე ათეული წელია, იგი სკოლებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში გამოდის მის მიერვე შედგენილი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციებით, რომლებმაც თავიდანვე წარმატება მოიპოვეს. მსმენელებმა კმაყოფილებით მიიღეს ადრინდელი ნამუშევრები — „ილია ჭავჭავაძე“, „აკაკი წერეთელი“, „იაკობ გოგებაშვილი“, „გალაკტიონ ტაბიძე“, აგრეთვე პოლიტიკურ თემებზე აგებული ლიტერატურულ-ჰეროიკული მონტაჟები. ამ წარმატებებს უეჭველად განაპირობებდა მსახიობის ხავერდოვანი ხმა, დიქცია, ბუნებრივი არტისტიზმი, მომხიბლავი გარეგნობა, დამაჯერებლობა.

მოხარული ვარ, რომ დავესწარი ასკალონ მაგრაქველიძის შესრულებით ლიტერატურულ მონტაჟს — „ილია ჭავჭავაძეს“. დიდი ქართველი განმანათლებლის — „აჩრდილის“ უკვდავი ავტორის შესწავლას მე მოვანდომე ოცდაათი წელიწადი, დავწერე 700-გვერდიანი მონოგრაფია, რომელშიაც დეტალურად არის გაანალიზებული პოეტის ცხოვრება, შემოქმედება, ლიტერატურულ-პუბლიცისტური და მეცნიერული მემკვიდრეობა. ამიტომ ერთგვარი შიში მქონდა— შეიძლებდა თუ არა მსახიობი ყველაფრის ისე დახატვას, როგორც მე მქონდა წარმოდგენილი.

და რა სიხარული ვიგრძენი, რომ ჩვენი ერთ-ერთი უძველესი ფილარმონიის ვეტერანმა ასკალონ მაგრაქველიძემ ილია ჭავჭავაძე დაგვიხატა შეუფერავი რეალისტური შტრიხებით, ცოცხლად და ცხოვრებისეულად, ისე, როგორც ქართველს წარმოუდგება და უნდა წარმოუდგეს დიდი კაცი — ილია ჭავჭავაძე.

არ დამავიწყდება 1979 წლის 18 ოქტომბერი, როცა ჩვენ დავესწარით რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში ასკალონ მაგრაქველიძის ერთ-ერთ საუკეთესო ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციას — „ვაჟა ფშაველა“.

არამარტო მე, მთელმა დამსწრე საზოგადოებამ, დიდი ინტერესით მოისმინა ეს მშვენიერი ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟი. ავტორს მთელი ტექსტი მიჰყავდა ტაქტით, მაღალი სადეკლამაციო კულტურის დონეზე, ხოლო ლიტერატურულ ტექსტს, რომლის შედგენის ავტორიც თვითონვეა, ვერავითარ წუნს ვერ დასდებდით. ყველაფერი ძვირფასი, კარგი, რაც ჩვენმა კრიტიკამ მოახერხა, ეთქვა ქართველ გენიოსზე, უმთავრესად გამოყენებული იყო ზომიერად, უეჭველად არტისტული გემოვნებით.

საზოგადოება აღფრთოვანებული დარჩა იმითაც, რომ მსახიობმა თავის ნაამბობს, მონტაჟის ტექსტს, მუსიკალური ილუსტრაციაც მისცა. რა ჩვენი ქება ესაჭიროება, მაგრამ ბრწყინვალედ ესალბუნებოდა სულსა და გულს დავით გამრეკელის ხავერდოვანი ხმა — „დამისხი დამალევინე“ რომ იმღერა, ზურაბ ანჯაფარიძის მიერ შესრულებული „ველარას ვხედავ“, თუმცა ცალკე უნდა გამოვყოთ ჩვენი ეპოქის ყველაზე დიდი მსახიობის, მართლაც გენიოსის — უშანგი ჩხეიძის უნიკალური ჩანაწერი — „ბაკური“. დიდი ტრაგიკოსი ანტიკური ძალით კითხულობდა ამ გენიალურ ქმნილებას!

ასეთი წარმატება რომ მოიპოვო, უნდა იყო არამარტო გამოცდილი აქტიორი, არამედ განათლებული ლიტერატორიც. ორივე ეს ღირსება ჩვენს ცნობილ არტისტს უთუოდ გააჩნია და ამითვეა განპირობებული მისი შემოქმედებითი წარმატებანიც.

ასკალონ მაგრაქველიძემ ორი კომპოზიცია მოამზადა: „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ და „დავით გურამიშვილი“. ჩვენ იმის მსურველი ვიქნებით, რომ მსახიობი, რაც შეიძლება ხშირად გამოდიოდეს ასეთი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციებით.

# ჯადოქარი ქირურგი

ნიკოლოზ კახიანი

**იოსებ ქურჩიშვილი,**
პროფესორი.

საქართველოში მეცნიერული და პრაქტიკული ქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის გამოჩენილი მეცნიერისა და დასტაქრის, ანატომის, საზოგადო მოღვაწის, შესანიშნავი მოქალაქის პროფესორ ნიკოლოზ კახიანის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა.

ნიკოლოზ კახიანმა ჯერ კიდევ ოდესის უნივერსიტეტში სწავლის დროს მიიპყრო ყურადღება. მეორე კურსის სტუდენტი იყო იგი, როცა სამუშაოდ მიიწვიეს ნორმალური ანატომიის კათედრაზე და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება ანდეს. ოდესასთან არის დაკავშირებული აგრეთვე მეცნიერის პირველი სერიოზული წარმატებანი როგორც ანატომიაში, ისე ქირურგიაში.

1911-1913 წლებში იგი სამჯერ მიავლინეს ეგვიპტეში, ქაიროს უნივერსიტეტის ანატომიის კათედრაზე.

პირველი მსოფლიო ომის დროს ნიკოლოზ კახიანი ბრწყინვალედ ართმევს თავს მთელი რიგი ლაზარეთებისა და ჰოსპიტლების მთავარი ქირურგის მოვალეობას.

1917 წელს ნიკოლოზ კახიანს ირჩევენ დნეპროპეტროვსკის (მაშინდელი ეკატერინოსლავის) უნივერსიტეტის ჯერ ნორმალური ანატომიის, შემდეგ ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის გამგედ. ამავე პერიოდში იგი ეწევა პრაქტიკულ ქირურგიულ მოღვაწეობას.

ნიკოლოზ კახიანი დიდი სიხარულით შეხვდა თბილისის უნივერსიტეტის გახსნას და 1919 წლიდან კიდეც ჩაუდგა სათავეში ჯერ ტოპოგრაფიული ანატომიის და ოპერატიული ქირურგიის, შემდეგ ზოგადი ქირურგიის კათედრასა და ქირურგიული პროპედევტიკის კლინიკას.

ცნობილმა მეცნიერმა თავიდანვე შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდები და საბჭოთა კავშირში პირველთაგანმა გაიკეთა ურთულესი ოპერაციები. აკადემიკოსი ა. წულუკიძე თავის მოგონებებში აღნიშნავდა: „ქირურგიული დახელოვნების მისაღებად რუსეთის სხვადასხვა ქალაქში ვმოგზაურობდი, ვიყავი საზღვარგარეთაც. ვესწრებოდი გერმანელი, ავსტრიელი და ფრანგი ცნობილი ქირურგების ოპერაციებს... მაგრამ როცა ვესწრებოდი და ზოგჯერ ვმონაწილეობდი კიდეც პროფესორ კახიანის მიერ გაკეთებულ ოპერაციებში, ყოველთვის იმ დასკვნამდე მივდიოდი, რომ კახიანი არ ჩამოუვარდებოდა ქირურგიული ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლებს. ჩემს თანამემამულეს ვაფასებ სრულიად ობიექტურად და უნდა ვთქვა, რომ იგი ზეშთაგონებული პოეტი იყო მედიცინაში“. აკი ამიტომაც მისცა მაღალი შეფასება ნიკოლოზ კახიანის ოპერაციებს რუსული ქირურგიული აზროვნების ლიდერმა, პროფესორმა ს. ფედოსოვმა.

ნიკოლოზ კახიანი სამაგალითო პედაგოგიც იყო. ყოველდღიურ ცხოვრებაში სიტყვაძუნწი მეცნიერი ლექციაზე სულ სხვაგვარი ხდებოდა და არაჩვეულებრივი გატაცებით გადასცემდა ახალგაზრდობას თავის ცოდნასა და გამოცდილებას. ამიტომ იყო, რომ მის ლექციებს მხოლოდ სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტები როდი ესწრებოდნენ. გადაჭედილ აუდიტორიებში ვის არ ნახავდით: ისტორიკოსებს, ფილოლოგებს, მათემატიკოსებს...

ზაფხულს იგი ყოველთვის მშობლიურ სოფელში — რიკოთში ატარებდა. ამ დროს ნიკოლოზ კახიანი უსასყიდლო სამედიცინო დახმარებას უწევდა არა მარტო ბაღდადის (მაიაკოვსკის) რაიონს, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოს. სოფლის პირობებში, სახელდახელოდ მოწყობილ საოპერაციოში იგი თავის ახალგაზრდა თანაშემწეებთან ერთად აკეთებდა რთულ ქირურგიულ, ნეიროქირურგიულ, უროლოგიურ და სამეანო-გინეკოლოგიურ ოპერაციებს, თან სოფლის საჭირბოროტო საქმეებზე ფიქრობდა: მისი აქტიური მონაწილეობით გაიხსნა სოფლის დაწყებითი სკოლა, გაყვანილ იქნა სარწყავი არხი, მდინარე ხანისწყალზე ააგეს ხიდი.

ნიკოლოზ კახიანის მიერ შექმნილმა ქირურგიულმა და ტოპოგრაფიული ანატომიის სკოლებმა ჩვენს ქვეყანას მისცა მრავალი გამოჩენილი მეცნიერი და პრაქტიკულად მოღვაწე მედიკოსი. მათ შორის აკადემიკოსები: კ. ერისთავი და ი. ფიფია, პროფესორები: დ. იოსელიანი, ე. ზაქარაია, მ. ჩაჩავა...

ნიკოლოზ კახიანმა — ჯადოქარმა ქირურგმა, მეცნიერმა და პედაგოგმა წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის მედიცინის ისტორიაში. მისი კეთილშობილური მაგალითი დღესაც ზრდის მკურნალთა თაობებს.

# უთქმელად ვხვდები...

**— სტამბას თავისი თილისმა აქვს.. ჩვენი მასპინძელი შეეყოვნდა. გამოღებული სარკმლიდან ჩაფიქრებულმა გახედა გაკვირტულ ხეს და ჩვეული სიდინჯით განაგრძო:**

**— ახალდაბეჭდილ გაზეთს თუკი ერთხელ მაინც ეზიარე, შეუშრალი საღებავის უცნაურად საამო სურნელს ვეღარასოდეს შეელევი. ასეა, ბატონო.**

**სწორედ რომ ასე იყო.**

**1926 წელი იდგა.**

**თბილისის უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტი თედო მღებრიშვილი ადგა და ერთ მშვენიერ დღეს რედაქციაში ბუღალტრად მომუშავე შამიდაშვილს ეახლა.**

**შიდგნენ. მიიძიეს-მოიძიეს. სხვა ჩარა არ იყო და ხელმოკლე მომავალი ინჟინერი გაზეთ „ახალი სოფლის“ რედაქციაში რაღაც ტექნიკურ სამუშაოზე გააფორმეს.**

**ის დღე იყო და ის დღე.**

**კვირა—კვირას გაჰყვა, თვე — თვეს. სიტყვასთან ჭიდილში წელი წელს აება.**

**თედო მღებრიშვილმა საინჟინრო ფაკულტეტი მართალია დაამთავრა, მაგრამ ოთხმოცი წლისა ისე მოიყარა, სამუშაო მაგიდის ქვედა უჯრაში ჩაკეტილი დიპლომი არც არასოდეს ამოუღია.**

**მიმადლებულმა ნიჭმა, შრომამ და ძიებამ თავისი გაიტანა.**

**აკი ვთქვით, ტექნიკური სამუშაოდან დაიწყო. მერე ის იყო — იმარჯვა, საქმეში გაიწაფა და ფხიანი ახალგაზრდა გაზეთ „კომუნისტში“ კორექტორად გადაიყვანეს.**

**სად არ იმუშავა: ჟურნალ „დროშაშიც“ და გამომცემლობა „ტექნიკა და შრომაშიც“, გაზეთ „კოლექტივიზაციაშიც“, რკინიგზის გაზეთ „სტალინური ლოკომოტივის“ პასუხისმგებელი მდივანიც იყო, საქართნო გაზეთ „ჩვენი საყვირის“ რედაქტორიც...**

**როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო, გამობრძმედილი კომუნისტი ირანში განამწესეს. არც იქ შეურცხვენია თავი. რკინიგზის პოლიტგანყოფილებაში ყოველთვის ზუსტად და ოპერატიულად ასრულებდა დავალებებს.**

**დიდ სიხარულს სიხარული მოჰყვა.**

**1945 წლის მაისის ნათელ დღეს — აი, სწორედ იმ სასიხარულო ნათელ დღეს, როცა ფაშიზმზე გამარჯვებას ვზეიმობდით — თედო მღებრიშვილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს გაზეთ „კომუნისტის“ პასუხისმგებელ მდივნად დაამტკიცეს.**

**ამ პოსტზე იგი შვიდი წელი მუშაობდა.**

**შემდეგ საქინფორმის დირექტორის მოადგილე იყო.**

**ყველგან, სადაც თედო მღებრიშვილმა იღვაწა, მადლი და კვალი დაამჩნია. კალამიც უჭრიდა, მომთხოვნიც იყო პრინციპულიც, ახალგაზრდების ქომაგი და შემწეც...**

**გაკვირტულ ხეებს ისევ არწევს ქარი.**

**დინჯი კაცია ჩემი მასპინძელი. დინჯი და ტკბილმოუბარი. არც რა ეტყობა ოთხმოცი წლის.**

**გავიქერი კარადას და ვინიშნავ: აი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების თარგმანები. ეს, მაგიდაზე გაშლილი ქაღალდები რაღაა?**



თედო მღებრიშვილი

**უთქმელადაც ვხვდები:**

**ისევ შრომობს, თარგმნის და იღვწის 80 წლის გაუტეხელი ჟურნალისტი — რვა შვილიშვილისა და ოთხი შვილთა შვილიშვილის სახელოვანი პაპა.**

**ოთარ ქავთარაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მებრძოლი, მოღვაწე, მთარგმნელი

ცხრაასიანი წლების მღელვარებამ, 1905-1907 წლების რევოლუციურმა ქარიშხალმა შვა და განავითარა ეპოქის მოთხოვნის შესაფერისი მხატვრული ლიტერატურა, რომლის მედროშეც პოეტი-ტრიბუნი იროდიონ ევდოშვილი გახდა.

იროდიონ ევდოშვილის, ია ეკალაძის, ვარლამ რუხაძის, მიხეილ კინწურაშვილისა და სხვათა გვერდით თავისი მოკრძალებული ღვაწლი მიუძღვის მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ნიკო კურდღელაშვილს (ნარკანს).

ნიკო კურდღელაშვილი პირველი სახალხო რევოლუციის ბობოქარი დღეების ღვიძლი შვილია. იგი დაიბადა 1872 წელს ქალაქ თელავში. მის მშობლებს — „სახაზინო ყმათა“ შთამომავალს სიმონ კურდღელაშვილსა და იყალთოელი გლეხის ქალს თამარ ისაიაშვილს შინაური განათლება ჰქონდათ მიღებული და შვილებსაც უნერგავდნენ წიგნის სიყვარულს. თელავის სასულიერო სასწავლებელში ნიკო კურდღელაშვილის მასწავლებელი იყო თავის დროზე ცნობილი მწერალი ილია ზურაბაშვილი (ნადიკვრელი), რომელმაც უფრო გაუღრმავა მას სიყვარული ქართული ლიტერატურისადმი.

მერე თბილისის სასულიერო სემინარია და რევოლუციურად განწყობილი მოსწავლეები, აკრძალული ლიტერატურა...

არ ეძინა სემინარიის რეაქციულ ხელმძღვანელობას. ერთ-ერთი ჩხრეკის დროს ნიკო კურდღელაშვილს ბალიშქვეშ უპოვეს ჩერნიშევსკის „ოთხი ძმის ზღაპარი“, რომელიც ჟურნალ „თავისუფლებაში“ იყო დაბეჭდილი და იმ დროს დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამის გამო ნიკო კურდღელაშვილი თავის მეგობრებთან ერთად რომელთაც აგრეთვე აღმოაჩნდათ ან საკუთარი ლექსები, ან ფარულად წასაკითხი წიგნი, გარიცხეს სემინარიიდან.

ნიკო კურდღელაშვილი 1892 წლის ბოლოს დაუახლოვდა ეგნატე ნინოშვილს.

1893 წლიდან მან კისრად იდო სოფლის მასწავლებლის მძიმე ტვირთი. ნ. კურდღელაშვილი სხვადასხვა დროს ხაშმის, პანკისის და შემდეგ კი ქ. კავკავის ქართულ სკოლაში მუშაობდა და ყველგან ფართო საზოგადოებრივ მუშაობაში იყო ჩაბმული: სოფლად ბიბლიოთეკის დაარსების, დრამატული დასის ჩამოყალიბების თაოსანი იყო. უსასყიდლოდ ამეცადინებდა საკვირაო სკოლის მოსწავლეებს. იგი ცდილობდა, სკოლა ყოფილიყო ნამდვილად „სანათაური სოფლისა“.

1904 წელს ნიკო კურდღელაშვილი სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა საფრანგეთში. პარიზის კომუნის სამშობლო იტაცებდა მას, მაგრამ მატერიალური სივიწროვე ისევ საქართველოსკენ ეწეოდა, იქ, პარიზში, ნიკო კურდღელაშვილი გაეცნო ცნობილ რევოლუციონერს ია იაშვილს (არქიპო პორფირის ძე იაშვილს), რომელიც ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დახმარებით გაიქცა ციხიდან და ემიგრაციაში იმყოფებოდა.

რუსეთში რევოლუციური აღმავლობა იწყებოდა, საქართველოში დიდი ამბები ხდებოდა და ნიკო კურდღელაშვილი თავის მეგობართან, ია იაშვილთან ერთად, დაბრუნდა სამშობლოში.

1905 წელს „ივერიაში“ დაიბეჭდა ნიკო კურდღელაშვილის ნოველა „ლაჩარი“.

„... სიცოცხლე, თავისუფლება! ზრიალებდა მთელი სამყარო, აფრიალდა წითელი დროშა, მეორე, მესამე, მთელი კამარა დროშებმა დაფარა, იარაღი ელერდა, ცა მრისხანედ გუგუნებდა“.

რევოლუცია დამარცხდა, „მთელი სამყარო ბნელმა დაფარა“. რეაქცია გაძლიერდა. „სისხლი, სისხლი! ირყეოდა სამყარო და ქვეყანას ანთებულის თვალებით დანთქმას ემუქრებოდა“. ამ დროს გამოჩნდა „სიმშვიდის ანგელოზი, თეთრი, სპეტაკი დროშა ააფრიალა და „ზავი, ზავი“ დაიკვნესა“. ახალგაზრდა მწერალი კიცხავს ლაჩარს, რომელიც მოერიდა მოძმეთა გვერდით სისხლის ღვრას, ზავის ანგელოზის წინ პირქვე დაემხო და თაყვანი სცა.

კრულვა და განდგომა დაიმსახურა მან ხალხისაგან, სულის მშვიდობას გამოესალმა.

1906 წელს გამოქვეყნდა ნიკო კურდღელაშვილის „ამაყი სული“. ამ ნოველაში გამოხატულია რევოლუციის ამაყი ძალა, რომელსაც ვერ მოდრეკს ვერაფერი, რადგან სიმართლე მისკენაა. რევოლუციის დამარცხებამ, „ცხოვრების აფორიაქებულმა ტალღებმა დაქსაქსა ხალხის გულისთქმა, გაინაბა იგი, როგორც მტრედი ქორის კლანჭებში.

„— აჰაი, თქვე ლაჩრებო! დაიძახა ამაყმა სულმა და თვალებიდან ცეცხლი დააკვესა. ამაყი სული ქარიშხალივით დააქროლებდა მერანს აღმადაღმა და ჩაღველფილ ქვეყანას ზავთიანად გადასძახოდა: რას განაბულხართ... სიცოცხლე გწყურიათ? შეიყვარეთ იგი. თავისუფლება გწყურიათ? იბრძოლეთ მარად!“

1906-1907 წლებში ნიკო კურდღელაშვილი თავის მეგობარ იროდიონ ევდოშვილთან ერთად ცხოვრობდა ჭიათურაში. აქ დაუახლოვდა იგი მაღაროელებს, ჩასწვდა მათ სულიერ სამყაროს. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია მოთხრობა „იტირე, იტირე, საბრალოვ“, რომელიც ეხება ჭიათურის მაღაროელთა ცხოვრებას იმ დროს, „როცა გაიფთრებული რეაქციის სუსხი ბუგავდა ქვეყანას“.

1907 წელს ნიკო კურდღელაშვილმა მიიღო გაზეთ „ზარის“ გამოშვების ნებართვა. თუმცა გაზეთი ლიტერატურული უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგი ვერ ასცდა პოლიტიკურ ვითარებას და მალე იქცა სოციალ-დემოკრატიული მიმართულების პოპულარულ გაზეთად. რვა ნომრის გამოსვლის შემდეგ თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით გაზეთი „ზარი“ დახურეს და მისი რედაქტორი მეტეხის ციხეში ჩასვეს.

ციხეში შექმნა მან თავისი შესანიშნავი ნოველა-ლეგენდა „თავისუფლება“.

„თავისუფლებამ“ თავი დაიღწია ცხრაკლიტულს და დაიბეჭდა გაზეთში „ჩვენი ცხოვრება“, რომელიც გამოდიოდა სოსო ჯუღაშვილის ხელმძღვანელობით.

ამ ნოველაში თავისუფლება წარმოდგენილია ზღაპრული მზეთუნახავი ქალის სახით, რომელიც დაეშვა ცოდვილ ქვეყანაზე.

რეაქციის წლებში გამოქვეყნდა ნიკო კურდღელაშვილის ნოველები „ხეტავ მოეკლათ“ და „მტრედები ღუღუნებდნენ“. ამ ნოველებში სიმართლითაა წარმოდგენილი რეაქციის სისასტიკე, ეს „ჯაგარაშლილი ბოროტება, რომელიც გესლიანი ასპიტივით დასუნთქვას უქადდა მის მოწინააღმდეგე სამყაროს“.

როგორც ჩანს, შემდეგ რევოლუციის დამარცხებით გამოწვეული გულგატეხილობა ნიკო კურდღელაშვილსაც გადაედო. მთისკენ მიმსწრაფს „მუხლი მოეკვეთა“, 1908 წელს გაზეთ „სხივში“ დაიბეჭდა მისი ლექსი „ამონაკვნესი“. სევდიანი პოეტი ეევდრება მთვარეს „მთვარევ, წამიყვა ღრუბელთა ნავით, გადამაცილე სამშობლო მხარეს“. იქ, უცხო მხარეში, ეძებს იგი სულის სავანეს. ამ ლექსს ლექსითვე გამოეხმაურა იმ დროს უკვე ცნობილი პოეტი ბაბილინა ხოსიტაშვილი: „არ მინდა არა, დავშორდე ბინას, ბრძოლის სამეფოს, შრომის კერასა. ზეცას კი არა, აქ მაშვრალთ ვუძღვნი ნაზ სიყვარულით გულის ძგერასა“.

ნიკო კურდღელაშვილი გარდაიცვალა 1938 წელს. მას მკითხველი საზოგადოება იცნობს მხოლოდ თარგმანებიო (ჟიულ ვერნის „საიდუმლო კუნძული“, „ოთხმოცი ათასი კილომეტრი წყალქვეშ“, „კაპიტან გრანტის შვილები“). არც ნიკო კურდღელაშვილის სიცოცხლეში და არც მისი გარდაცვალების შემდეგ არ გამოცემულა მისი მოთხრობებისა და ნოველების თუნდაც მცირე კრებულიც კი.

**ლალი მარტაშვილი**

# ახალი აზრები

ქართველი მკითხველისათვის დღემდე თითქმის უცნობია სუფიზტურ-დერვიშული მისტიციზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის — ბაბა თაჰერ ურიანეს შემოქმედება (927-1055 წლები). ეს მაშინ, როცა იგი მეტად პოპულარულია მთელ ირანულენოვან სამყაროში.

**ბაბა თაჰერ ურიანი**

## დუგეითეგი

ღმერთი ის არის, ვისაც ვერსად იხილავ ღმერთად,
ვინც ყველგან სუფევს, თვით სულთან და სუნთქვასთან ერთად,
იგი ანიჭებს სილამაზეს ყოველ არსებას,
კეთილს ასხვავებს და განარჩევს ფერთაგან ფერთა.

არაკაცისგან ნუ მოელი ვაჟკაცურ საქმეს,
სულის ნათელი არ ამშვენებს უტკივარ სათქმელს,
სიმართლეს გეტყვი ფერიდუნის შთამომავალი:
ცივი ბუხარი ალს ცეცხლისას არასდროს აფრქვევს.

გიხილავ ღამით, გამიჩნდება სურვილი ერთი,
მე შენს გარშემო მოფარფატე პატარა წერტილს.
შენ უწილადე დედამიწას მარადი ბრუნვა,
დაე, თაჰერმაც იტრიალოს განგებით ღმერთის.

ფუჭია, რაც ხვალ მოისპობა, ან დაბერდება,
მონაპოვარი განძი ყველა გაცამტვერდება.
ამქვეყნიური ტკივილები წიგნად აჰკინძე,
საიქიოში ტვირთით მისვლას რა შეეძრება?

ამ ქვეყანაზე არ დარჩება არვინ მარადის,
რაც უნდა ბედი გწყალობდეს და ღმერთი გფარავდეს,
არ მეგულება ამქვეყნიურ სიტკბოს მფლობელი,
რომ განკითხვის ჟამს თუნდ ერთ ცოდვას გადამალავდეს.

ღმერთო მაღალო, სამართალი შენი სად არის,
ვარდის ძარღვებმა ჩემი ცრემლი შემოატარეს,
მე ვრწყავდი ვარდს და მე ვუვლიდი თავგამოდებით...
ვარდის წყალს ალბათ, ხვალ გამოხდის სულ სხვა ათარი.

ალბათ, ვარდი ხარ, ისერიგად მესურნელები,
დაკოდილი ვარ, დამეკაწრა ეკლით ხელები,
ან ლეილი ხარ, შენს გამო რომ მაჯნუნად ვიქეცი,
რომ მოვიარე შორი გზები, უცხო ველები.

ჩემი ამბავი მოიკითხე, მაგ გულს გაფიცებ,
შეგებრალები, თანაგრძნობას მაინც გამიწევ.
სხვის ცეცხლკიდებას რომ გაუგო, რომ უთანაგრძნო,
თვითონაც ერთხელ იმავ ცეცხლში უნდა დაიწვე.

მე გულისსწორი ფეხქვეშ მიგებს ვერაგულ ხაფანგს,
ცეცხლზე მიფიცხებს საბრალო გულს, ვითარცა ტაფას,
რა ვუყოთ, ბოლოს გასწორდება ერთად ყოველი,
მეფეს და ღატაკს მოახვევენ ერთნაირ ქაფანს.

აყვავილებულ ბაღჩა-ბაღის მუდმივი ტყვე ვარ,
ეწერ მიწაში ფესვგაბრჯნილი მწყურვალი ხე ვარ.
არღავანი ვარ, შემომხედე სისხლად ვიღვრები,
წითელ ნაყოფით შენს წინაშე კენტად რომ ვდგევარ.

გამაბრუა და გადამრია მზის სადარებმა,
აღარ მოსწყინდა ცხელ ქვიშაში ჩემი ტარება.
თვითონ ამ გულში მოიპოვა მარადი ბინა,
მე კი გამრიყა მისმა გულმა მიუკარებმა.

თუ მოხვალ ჩემთან, სულს გაგითბობ ნაზი ფერებით,
თუკი არ მოხვალ, მწუხრის სხივად გადვიწვერები.
მო, შევაწებოთ გული გულს და ტყუპად ვიაროთ
განუყრელებმა, ერთნაირი ჰანგთა ჟღერებით.

ჩემი თვალები შენ დანისლე უზომო სევდით,
შენ კლავდი ჩემს გულს და ჩემს მზერას უწყალოდ რევდი.
დე, სიყვარულის ვერ გამგებმა იგემოს გვემა,
ტრფობის ისარმა განუგმიროს ნეტარი მკერდი.

აყვავილდება და დაჭკნება ყვავილი უმალ,
ისევ გაფრთხილებ ამა სოფლის დროებით სტუმარს.
სიყვარულის წუთს ნუ გააცდენ, ნუ შეელევი,
მოზოზინენი სამარეში წვანან და სდუმან.

სპარსულიდან თარგმნა **ლია ასათიანმა**

**იუმორი**

# ვაშა მედიცინას!

რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში რობერტ სტურუამ ვიქტორ როზოვის პიესა „ვახშმობის წინ“ დადგა. მახსოვს მაყურებელს ძალიან მოეწონა წარმოდგენა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ სალომე ყანჩელი, გიორგი გეგეჭკორი, ეროსი მანჯგალაძე, ზინა კვერენჩხილაძე და მე. ჩემი როლი მომგებიანი გახლდათ. ოფელიას ვასახიერებდი. თუმცა, შექსპირის ოფელიასთან მას არაფერი ჰქონია საერთო. ეს გახლდათ ერთი ანჩხლი ქალი, რომლის ფანჯარას სპექტაკლის მთავარი გმირი ამსხვრევდა. ამ როლს ასრულებდა გოგი ქავთარაძე.

მე ბურთით ხელში სცენაზე გავვარდებოდი, მივიჭრებოდი მეზობელთან და ლანძღვა-გინებით ვიკლებდი იქაურობას. ვქაქანებდი, თავს ვესხმოდი მარტო ბიჭს კი არა, ოჯახსაც, ვლანძღავდი მთელ ქალაქს...

პრემიერის დღეა... ყველა ჭაღი გაჩახჩახებულია. სარკეებთან რეჟისორის მორთმეული მიხაკები აწყვია, დიდი ფაციფუცია... ვღელავთ. დაირეკა პირველი ზარი, მე მზადება დავიწყე. ფეხსაცმლის შესაკრავად დავიხარე და... ვეღარ გავიმართე. რაშია საქმე?! ვეღარ ვსწორდები. წელის არეში მძაფრი ტკივილი ვიგრძენი. ავკივლდი, ახლოს არავის ვიკარებ. დირექცია ღელავს... არის ერთი ვაი უშველებელი.

— სასწრაფო, სასწრაფო გამოიძახეთ!— დაიძახა ვიღაცამ.

სასწრაფო მაშინვე გაჩნდა თეატრში. შემოცვივდნენ თეთრხალათიანები. დირექტორმა მათ კატეგორიულად მიმართა:

— მსახიობს ვერ შევცვლით! წარმოდგენას ვერ ჩავშლით, ყველანაირი ზომები მიიღეთ, წელში რომ გაიმართოს და სცენაზე გავიდეს.

ექიმებმა ერთმანეთს რაღაც გადაუჩურჩულეს, ერთი თეთრხალათიანი უშველებელი ნემსით მეძგერა. წუთსაც არ გაუვლია, მიბრძანეს:

— გაიმართეთ!

გავიმართე.

— დაიხარეთ!

დავიხარე.

— მიტრიალდით, მოტრიალდით, დაბზრიალდით!

დავბზრიალდი და ყველამ შვებით ამოისუნთქა.

ექიმებს მადლობას ვუხდიდი, რომ გავიგონე, რაღაც დავალებებს აძლევდნენ ეროსი მანჯგალაძეს.

დაირეკა მესამე ზარი და ყველა საზეიმო განწყობილებით გავემართეთ მცირე დარბაზისკენ. თავს შევატყვე, რომ პრემიერისწინა ჩვეულმა მღელვარებამ გამიარა. მაყურებლის ჟივჟივი იავნანასავით მეამა და წავყვინთე. ეროსიმ ეს მაშინვე შემნიშნა და ლოყაზე შემომკრა. მე გავიღიმე და ისევ დავხუჭე თვალები. ეროსიმ ისევ გამაწნა სილა, თან ახარხარდა და თქვა.

— რა სულელური გამომეტყველება აქვს, ვეღარ ვუყურებ. აბა, გეყოფა ძილი, შენი ჯერია! იცოდე, არ შეგვარცხვინო! — გამამხნევა, ხელში ბურთი მომცა და სცენაზე გამაგდო.

მე ზლაზვნით გავედი სცენაზე. ვუცქერი გოგი ქავთარაძეს — ამან ჩაამტვრია ჩემი ფანჯარა? გავუღიმე. რა მოხდა მერე? ვფიქრობ, კაცი ხომ არ მოუკლავს? დიდი რამე, ფანჯარა ჩაამტვრია, ენა გამიხმეს, თუ ვუყვირო როდისმე გოგი ქავთარაძეს და ხმადაბლა, დინჯად, ღიმილით ვეუბნები ჩემს სათქმელს.

კულისებიდან მესმის ხითხითი, ეროსი მანიშნებს — პირი დამუწე, რას დაგიღიაო. ვფიქრობ, ხომ არ გაგიჟდა ეს კაცი, მაშინ როგორ ვილაპარაკო? თქვენი ვერაფერი გამიგია, რა გაცინებთ?! იცინეთ, იცინეთ, მე კი ჩემი ვალი მოვიხადე სცენაზე, მაყურებელი ტაშს მიკრავს. სტუმრებიც ტაშს მიკრავენ, სხვა რაა კიდევ საჭირო? ღმერთმა უშველოთ ექიმებს. ვაშა, ვაშა მედიცინას!

**ელენე საყვარელიძე**

# გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან

## მადმუაზელ მარი და ვიქტორ ჰიუგო

ვიქტორ ჰიუგოს პირველ ლირიულ დრამას „ჰერნანს“ დგამდნენ. მთავარი როლი 50 წლის მსახიობს მადმუაზელ მარის, იგივე ანა ბუტეს შესთავაზეს. იგი 35 წელიწადს წარმატებით გამოდიოდა სცენაზე და ხელოვნების სამყაროში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, თეატრში წამყვან მსახიობად ითვლებოდა. მას მხოლოდ კლასიკური პიესები უყვარდა, რომლებშიც ახალგაზრდობისას ეთამაშნა, და, რასაკვირველია, ახალი ხელოვნების აღქმა უძნელდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ის ვიქტორ ჰიუგოს აგრძნობინებდა, რომ ბევრ რამეში არ ეთანხმებოდა.

ხშირად, შუა რეპეტიციისას, მადმუაზელ მარი უცებ შეწყვეტდა თამაშს და ჰერნანის როლის შემსრულებელ მსახიობს მიუბრუნდებოდა:

— ბოდიში, ბატონო ფირმენ, ავტორისათვის სიტყვა მაქვს სათქმელი და ეძახდა: — ბატონო ჰიუგო! ბატონი ჰიუგო დარბაზშია?

— აქა ვარ, ქალბატონო, — პასუხობდა დარბაზში მჯდომი ჰიუგო და წამოდგებოდა.

— აჰ, ძალიან კარგი... მითხარით, ბატონო ჰიუგო, ხომ ვერ შესცვლიდით ერთ სიტყვას თქვენს პიესაში? მაგალითად, ტექსტის მიხედვით, ბატონ ფირმენს უნდა ვუთხრა: „— თქვენ ჩემი ლომი ხართ“, სიტყვა „ლომის“ ნაცვლად სხვა რაიმე ხომ არ შეგიძლიათ წარმოისახოთ?

— ქალბატონო მარი, გახსოვდეთ, თუ თქვენ იმ წუთში წარმოიდგენთ, რომ ჰერნანს ელაპარაკებით და არა ბატონ ფირმენს, მაშინ ყველაფერი კარგად წავა.

— მაშ, თქვენ მხარს უჭერთ სიტყვა „ლომს“?

— დიახ, ვინაიდან ასე მაქვს დაწერილი და ვერაფრით ვერ შევცვლი.

— კარგი, კარგი, რახან ასეა, აღარაფერს ვამბობ.

მაგრამ, მომდევნო რეპეტიციაზე, მადმუაზელ მარი ისევ მართავს ნაცნობ დიალოგს ვიქტორ ჰიუგოსთან. იგი ბოლოს მოთმინებიდან გამოდის:

— მისმინეთ, ქალბატონო, თუ როლი არ მოგწონთ, შეგიძლიათ დააბრუნოთ.

— როლი დავაბრუნო? — გული მოუვიდა მსახიობს, — 35 წელია თეატრში ვარ და ასეთ რამეს არ მოვსწრებივარ. კი მაგრამ, ვის უნდა გადასცეთ ეს როლი?

— მსახიობებს შორის მოიძებნება მისი შემსრულებელი, თუნდაც, მაგალითად, მადმუაზელ დიბუა. მართალია, ის თქვენსავით ნიჭიერი არ გახლავთ, მაგრამ, სამაგიეროდ ახალგაზრდაა, და თანაც ძალზე ლამაზი.

— ო, არა, არასოდეს, ვიტოვებ როლს, მე მას ვითამაშებ, აი, ნახავთ!

მართლაც, მან დაიტოვა როლი და ისე ბრწყინვალედ ითამაშა, რომ სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა. იმ დღიდან მადმუაზელ მარი მუდამ ლირიულ დრამებში თამაშობდა.

## სასწაული

ზაფხულის ერთ დღეს ცნობილი მსახიობი პოლ მენიე მკვდარი ჯარისკაცის როლს თამაშობდა. ათიოდე წუთის განმავლობაში ის გაუნძრევლად უნდა წოლილიყო სცენის იატაკზე. უცებ იგრძნო, რომ ცხვირზე ბუზი დააჯდა.

— ჩქარა ჩამომეფარე, — წაუჩურჩულა გვერდზე მდგომ ამხანაგს. ამხანაგმა ვერ გაიგო ჩურჩული, რადგან თავისი როლით იყო გართული და სცენიდან მაყურებელს ელაპარაკებოდა:

— ეს საწყალი ჯარისკაცი სიცოცხლეს გამოესალმა!

პოლ მენიე ვეღარ ითმენდა და უმეორებდა:

— ჩამომეფარე, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, ცხვირი უნდა მოვიქავო.

„გენერალი“ კი ისევ განაგრძობდა:

— სასწაულის გარდა, არაფერს შეუძლია სიცოცხლე დაუბრუნოს მას, ამ საცოდავ ახალგაზრდა კაცს!

ამ დროს „მკვდარი“ ხელს მაღლა წევს და ცხვირს იქავებს. შენიშნა რა ეს „გენერალმა“, წამოიყვირა:

— აი, სასწაული!

ამან დიდი ხარხარი გამოიწვია მაყურებელთა დარბაზში. მხოლოდ პოლ მენიე არ იცინოდა და იმ დღიდან მას არასოდეს უთამაშია ზაფხულობით მკვდრის როლი.

„ძალზე ბევრი ბუზია“ — იტყოდა ხოლმე იგი.

## თქვენ მლიქვნელს ესაუბრებით

ოპერის ცნობილი მომღერალი სოფი არნულდი ბაღში სეირნობისას ერთ უხეირო პოეტს შეხვდა, რომელსაც თავი ნიჭიერად მოჰქონდა. სოფიმ დაინახა მისი ჩაფიქრებული სახე და ჰკითხა:

— რაზე ფიქრობთ, მეგობარო?

— საკუთარ თავს ვეკამათები საკუთარი პოემების შესახებ.

— იცით რა, თქვენ მლიქვნელს ესაუბრებით, უფრო სწორად.

## შვილის პასუხი

ქალბატონი არნულდი არასოდეს ამხელდა თავის ასაკს. მისი წლოვანება რომ დაედგინათ, ვიღაცამ მსახიობის 20 წლის ქალიშვილს ჰკითხა და ასეთი პასუხი მიიღო:

— არ ვიცი, დედა რამდენი წლისაა, მაგრამ ვინაიდან ყოველ წელს მას ერთი წელი აკლდება, მე მალე უფრო ხნიერი ვიქნები, ვიდრე ის.

ფრანგულიდან თარგმნა **იონა გადავიძემ.**


კორექტორი ცისანა სიჭინავა

მონტაჟი ნანული დანელიასი


**გარეკანის პირველ გვერდზე: ლენინის ძეგლი.** მოქანდაკეები საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი მიხეილ ყიფიანი და ლევან ფოფხაძე. არქიტექტორი — საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვახტანგ აბრამიშვილი.

ფოტო ედუარდ გიგილაშვილისა.

**გარეკანის მეოთხე გვერდზე: თბილისური მოტივები.**

ფოტო სერგო ედიშერაშვილისა.


გადაეცა წარმოებას 28. 03. 85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 04. 85. უე 05156. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5, 09. ტირაჟი 48.000. შეკვ. 570. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

**Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.**

**Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. ул. Руставели, 42.**

**რედაქციის მისამართი:** 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის— 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ატმის ყვავილობა.

ფოტოეტიუდი თენგიზ ფურცხვანიძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი 76056

# დილაობა